პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 თებერვალი **ოთხშაბათი** 2011

№ 043 (13340) ფასი 60 თეთრი

## ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, ოღონდ, გადავრჩით. გადარჩება ხორვატია?

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიშელ პლატინი მხარს ვლატკო მარკოვიჩს უჭერს

## რიგგარეშე არეულობა ჩვენი მეტოქის ბანაკში

7

## ავხედოთ ცას მოთოვს?



ფიზიკის კანონი ფეხბურთში: სიცივეში ტურებიც იკუმშება

3

დღევანდელი ტურის ცენტრალური მატჩი პირველ წრეშიც ცენტრალური იყო. 22 აგვისტო 2010 წელი. ოლიმპი-დინამო 1:0

## ფრანკოფონია ლიონსა და კოპენჰაგენში

CHAMPIONS LEAGUE



ნიკოლა ანელკამ კოპენჰაგენი დუბლით დააჩოქა



რეალი ქარიმ ბენზემას გოლს ზეიმობს



ბაფეტიმბი გომისმა ლიონს შანსი შეუნარჩუნა

9

## ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს ერთით მეტი მეტოქე ჰყავს

2



ზესტაფონის პრეზიდენტი ილია კოკაია



ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა

## არაკალენდარული და სკანდალური თამაში: ზესტაფონი VS ფედერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

# ზესტაფონი ზესტაფონი მარტში იქნება



სეზონის მეორე ნახევრისთვის უცხოეთში მომზადება უმაღლესლიგელთა ზუსტად ნახევარმა შეძლო და ერთ-ერთი მათგანი "ზესტაფონია". იმერული კლუბის ესპანურ ვოიაჟზე სისტემატურად გიამბობდით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ "ზესტაფონმა" ესტეპონაში ოთხი საკონტროლო მატჩი ჩაატარა, აქედან სამი – ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალში გასულ კლუბებთან. პოლონურ "ლეხთან" გია გეგუჩაძის გუნდმა 2:2 ითამაშა, შემდეგ კი "ზესტაფონი" "მარბელიის თასზე" გადაერთო, რომლის მეოთხედფინალშიც ფეროელები ჩეხურ "სპარტასთან" 0:5 დამარცხდნენ, კიევის "დინამოს" 2:2 ეთამაშნენ და პენალტების სერიით წააგეს, მეშვიდე ადგილისთვის მატჩში კი ბულგარულ "ლოკომოტივს" 3:0 სძლიეს. "ზესტაფონის" შეკრება ქომაგებს გიორგი ხიდეშელსა და ნიკოლოზ გელაშვილთან დაკავშირებული უსიამოვნო ამბითაც დაამახსოვრდებოდათ, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ეს დუეტი კვლავაც "ზესტაფონის" ღირსებას იცავს. დიდი ხანია, გია გეგუჩაძის ინტერვიუ აღარ შემოგვითავაზებია და მასთან გასაუბრება "დინამოსთან" ჩატარებული მატჩის შემდეგ ვამჯობინეთ. "ზესტაფონის" თავკაცს ამ პრინციპულ შეხვედრაზეც ვკითხეთ, განვლილი შეკრებაც გავიხსენეთ და გუნდის მიზნებზეც ვისაუბრეთ.

**- პირველ ყოვლისა, "ზესტაფონის" ესპანური შეკრება შევაფასოთ.**

- გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, შეკრებას დადებითად ვაფასებ. ესტეპონაში ყველა პირობა გვქონდა სრულყოფილად მომზადებისთვის – კარგი მინდვრები და საყოფაცხოვრებო პირობები, ძლიერი სპარინგპარტნიორები... ვფიქრობ, იქ ჩვენი პროგრამა მაქსიმალურად შევასრულეთ, რაც რა თქმა უნდა, გუნდის მომავალ შედეგებში უნდა აისახოს. "ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონობისა და თასისთვის იბრძვის და ამ მიზნის მიღწევაში განვლილი შეკრება ძალიან უნდა დაგვეხმაროს.

**- ესპანეთში ჩატარებულ საუკეთესო მატჩად ალბათ, კიევის "დინამოსთან" თამაშს მიიჩნევთ.**

- დიახ, ბიჭები იმ შეხვედრაზე განსაკუთრებული მოტივაციით გავიდნენ და ასეთ ძლიერ მეტოქეს ტოლ-სწორად ამიტომაც ეთამაშნენ. უკრაინელებთან სპარინგში "ზესტაფონმა" მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**- მანამდე პრაღის "სპარტასთან" დიდი ანგარიშით დამარცხდით. რატომ ითამაშა "ზესტაფონმა" ამ ორ, კლასით ერთმანეთისგან არცთუ დიდად განსხვავებულ გუნდთან ასეთი განსხვავებული მატჩები?**

- ესპანეთში ყველა მეტოქესთან შეხვედრაში მიზნად არა შედეგი, არამედ ჩვენი თამაშის სრულყოფა გვქონდა დასახული. ბუნებრივია, მარცხს გამარჯვება სჯობს, მაგრამ შეკრებაზე შედეგზე გაცილებით მნიშვნელოვანი სხვა ფაქტორებია. თქვენს შეკითხვას რაც შეეხება, "სპარტასთან" შეხვედრის შემდეგ "დინამომდე" რამდენიმე დღემ განვლო და ამ პერიოდში "ზესტაფონი" უკეთეს ფორმაში შევიდა. გუნდი უფრო სწრაფ ტემპშიც ათამაშდა და ფიზიკური მომზადების დონეც უკვე სასურველს მიუახლოვდა.

**- უსიამოვნო ამბის შემდეგ ნიკოლოზ გელაშვილმა და გიორგი ხიდეშელმა "ზესტაფონთან" ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლეს. მათი ფიზიკური კონდიციები სხვებისას საგრძნობლად ჩამორჩება?**

- ჩამორჩენა უმნიშვნელოა. ბუნებრივია, რამდენიმე დღის უვარჯიშებლობა ფეხბურთელს დაღს ასვამს, მაგრამ ფორმა მათ თითქმის სრულად აღიდგინეს და მინიმუმ ტაიმნახევრის მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ. ზედმეტადაც კი მიმაჩნია იმის თქვა, რომ ორივე "ზესტაფონისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.

**- გელაშვილი "დინამოსთან" შეცვლაზე შევიდა და თამაშიც გაამწვავა, ხიდეშელი კი განაცხადში სიცხის გამო ვერ მოხვდა. "სპარტაკთან" თამაშს თუ შეძლებს?**

- გელაშვილიც და ხიდეშელიც "სპარტაკთან" მატჩის განაცხადში იქნებიან.

**- "დინამოსთან" თამაშის შედეგითა და ხარისხით კმაყოფილი ხართ?**

- "დინამოსთან" სტუმრად ვითამაშეთ და ამიტომაც ჩვენი მთავარი მიზანი არწაგება იყო, რასაც მივაღწიეთ კიდეც. თუმცა იმ შეხვედრის მხილველები დამეთანხმებიან, რომ აქცენტი მხოლოდ ფრეზე არ გაგვიკეთებია და მატჩის მიწურულს გამარჯვებამდე ცოტა დაგვაკლდა. თამაშის ხარისხს რაც შეეხება, სეზონი ახლა განახლდა, ოპტიმალური ფორმისგან ყველა გუნდი შორსაა და გამონაკლისი არც "ზესტაფონია". სამწუხაროა, რომ მეორე ეტაპის პირველ ტურში დიდთოვლობის გამო "ტორპედოსთან" შეხვედრა გადაგვედო. შეკრება იმგვარად წარვმართეთ, რომ პირველი ტურისთვის სათანადოდ მოვმზადებულიყავით, მაგრამ უამინდობამ გეგმებში იძულებითი კორექტივები შეგვატანინა. სამწუხაროდ, მზადების პროცესში ცვლილებები მხოლოდ პირველი კი არა, ამ ტურის წინაც მოხდა. სავარჯიშოდ ზესტაფონში ჩავედით, მაგრამ დიდთოვლობის გამო უკან გამოვბრუნდით და სამგზავრო დრო და ენერგია ფუჭად დავხარჯეთ. კიდევ კარგი, "სპარტაკთან" თამაშს სტუმრად მაინც რომ ვახერხებთ და კიდევ ერთი გადადებული შეხვედრა არ გვემატება.

**- კალენდარმა ჩემპიონატის მეორე ეტაპის საწყის ტურებში ძლიერი მეტოქეები გარგუნათ. არაოპტიმალურ ფორმაში მყოფი გუნდისთვის უშუალო კონკურენტებთან თამაში რამდენად სასურველია?**

- უნდა მოვემზადოთ იმ კალენდრის მიხედვით, რაც წილად გვხვდა. მეტოქეთა თანმიმდევრობას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

**- რა დრო დასჭირდება "ზესტაფონს" შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად?**

- ამისთვის რამდენიმე მატჩი საკმარისი იქნება. მთლიანი პოტენციალის გამოვლენას მარტის შუა რიცხვებისთვის ვვარაუდობთ.

**- სამი ახალწვეულიდან "დინამოსთან" შეხვედრის განაცხადში მხოლოდ გიორგი ფოფხაძე მოხვდა. როდის ექნებათ ზურაბ მენთეშაშვილსა და გორან გრუიცას თამაშის უფლება?**

- ამას წინ არაფერი უდგას, მაგრამ გარკვეული ფორმალობები ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. ცუდია, რომ ახალწვეულებს ჯერ ვერ ვიყენებთ, მაგრამ იმედია, მათ გულშემატკივარი "ზესტაფონის" მაისურით მალე იხილავს. "სპარტაკთან" მენთეშაშვილის თამაში ვერ ხერხდება, გრუიცას ამბავი კი ჯერაც გარკვევის სტადიაშია. აი, ფოფხაძე კი ამ შეხვედრაში ვერ დაგვეხმარება, რადგან სიცხე აქვს.

**- მას და მენთეშაშვილს ქართველი გულშემატკივარი კარგად იცნობს, გრუიცაზე კი თქვენი აზრის მოსმენაა საინტერესო.**

- ხისტი და მებრძოლი ფეხბურთელია, გამოირჩევა ლიდერის თვისებებითა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით. ცენტრალური მცველია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში დაცვის მარჯვენა ფლანგზეც გამოვიყენებთ.

**- "დინამოს" დღევანდელი დონე "ზესტაფონმა" უკვე შეამოწმა. ჩემპიონობის კიდევ ერთი რეალური პრეტენდენტის, "ოლიმპის" თამაში ხომ არ გინახავთ?**

- ამის დროც მოვა, ახლა კი მთლიანად უახლოეს მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი. "სპარტაკი" უდავოდ ძლიერი მეტოქეა, მაგრამ ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა და ვიმედოვნებ, სამი ქულა ჩვენ დაგვრჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● კონფლიქტი

# ზესტაფონი და სფფ: ურთიერთპრეტენზიები

## ფულზე მეტად პრინციპის ამბავი, რომელიც კლუბს და ხორვატ ფეხბურთელს აზარალებს

"ზესტაფონის" ხორვატ ახალწვეულ **გორან გრუიცას** "დინამოსთან" მატჩი გაუცდა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვერც დღეს ითამაშებს "სპარტაკთან". მეტიც, არც ისაა გამორიცხული, იმერული კლუბის შემადგენლობაში საერთოდ ველარ ვნახოთ.

"ლელოს" მკითხველმა იცის, რომ 24 წლის გრუიცას დღემდე არ მიუღია საქართველოს ჩემპიონატსა და თასზე თამაშის უფლება. არადა, ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციიდან მისი გათავისუფლების ფურცელი უკვე ჩამოვიდა. როგორც გავარკვიეთ, ყველაფრის თავი და თავი ისაა, რომ "ზესტაფონს" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ლეგიონერის დარეგისტრირებისთვის დაწესებული თანხა, 15 000 ლარი არ შეუტანია.

საქმე ისაა, რომ იმერული კლუბი სფფ-ის ძველ ვალს, 4 000 ევროს ედავება და გრუიცას განაცხადში შესაყვანად სწორედ ამ თანხის გაქვითვას ითხოვს. ბუნებრივია, დავინტერესდით, თუ რატომ არ დგამს ფედერაცია ამ ნაბიჯს, რაზეც სფფ-ის გენერალური სამდივნოს უფროსმა **რევაზ შენგელიამ** შემდეგი გვითხრა: *"ეს 4 000 ევრო ჯერაც სადავო თანხაა და თუ დამტკიცდება, რომ ფედერაციას "ზესტაფონის" ვალი მართებს, ბუნებრივია, გაქვითვაც არ იქნება პრობლემა. ხაზს გავუსვამ იმ ფაქტსაც, რომ "ზესტაფონთან" დათმობაზე წავედით და 15 ათასი ლარის გადახდა არა ახლავე, არამედ 10 მაისამდე შევთავაზეთ. თანაც, სავსებით შესაძლებელია, მანამდე იმ 4 000 ევროს საკითხი გარკვეულიყო და თუ ფედერაციას ამ თანხის გადახდა დაეკისრებოდა, გაქვითვასაც წინ აღარაფერი აღუდგებოდა. ჩვენი წინადადება არ გაიზიარეს, მაგრამ იმედია, "ზესტაფონი" აზრს შეიცვლის. თუ ასე მოხდა, გრუიცას თამაშის უფლება უმალ მიეცემა. თეორიულად, ეს შეიძლება ხვალ დილასვე (დღეს, რედ.), მოხდეს და გრუიცას "სპარტაკთან" თამაში შეეძლება".*

"ზესტაფონს" 15 000-ის გადაუხდელობისთვის მეორე არგუმენტიც აქვს – სეზონის დაწყებამდე პროფესიული ფეხბურთის ლიგაში მხოლოდ ამ კლუბმა და ქუთაისის "ტორპედომ" გადაიხადეს უმაღლეს ლიგაში სამონაწილეო თანხა სრულად. მოგვიანებით პფლ-მ კლუბებს საწევრო გაუნახევრა, მაგრამ "ზესტაფონს" შეტანილი ფულის ნახევარი არ დაბრუნებია. ამაზე ფეხბურთის ფედერაციას ასეთი პასუხი აქვს – პროფლიგის ვალებთან მე არაფერ შუაში ვარ. პროფლიგა კი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და ჩემპიონატისა და თასის ჩატარების უფლება სფფ-ს გადაელოცა, თუმცა ეს ორგანიზაცია იურიდიულად არ გაუქმებულა...

მოკლედ, ჯერჯერობით აზრის შეცვლას არც ფედერაცია აპირებს და არც "ზესტაფონი", შექმნილი სიტუაცია კი კლუბს აზარალებს, რომელიც კვალიფიციურ ფეხბურთელს ვერ იყენებს. ადამიანურ თანაგრძნობას იმსახურებს თვითონ გრუიცაც, რომელსაც შექმნილ ჩიხურ მდგომარეობაში ბრალი საერთოდ არ აქვს და საქართველოში მაინც ტურისტის სტატუსით უწევს ყოფნა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სადავო ეპიზოდი

# სამსაჯოს, მსაჯი არ შემცდარა

შაბათს რუსთავში, სადაც ერთმანეთს "ოლიმპი" და ქუთაისის "ტორპედო" დაუპირისპირდნენ, მსაჯის მიერ 90-ე წუთზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ სტუმართა უკმაყოფილება გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის "ოლიმპი" 0:1-ს აგებდა, როდესაც "ტორპედოს" მცველებთან ბრძოლაში მათ საჯარიმოსთან მასპინძელთა თავდამსხმელი **ირაკლი მოდებაძე** წაიქცა. მთავარმა მსაჯმა **ლაშა სილაგავამ** "ტორპედოს" კარის მიმართულებით ჯარიმა დანიშნა, რომელიც **ვაკო ტყემალაძემ** შეასრულა, **ჯაბა უგულავამ** კი გოლი გაიტანა და მასპინძლებმა ქულა მოიპოვეს – 1:1. სტუმრების აზრით, მსაჯმა უსამართლო გადაწყვეტილება გამოიტანა.

ეს იმდენად დინამიკური ეპიზოდი იყო, მატჩის ჩანაწერის ნახვის გარეშე ვერ დაამტკიცებდი, ქუთაისელმა მცველებმა წესი დაარღვიეს თუ არა - ეს დასაფიქრებელი იყო და "ლელოს" მიმოხილვაში სწორედ ასეც გვეწერა – *"მთავარმა მსაჯმა ლაშა სილაგავამ "ტორპედო" უყოყმანოდ დააჯარიმა, არადა, ეპიზოდი დასაფიქრებელი იყო – დაარღვიეს კი თამაშის წესი სტუმართა მცველებმა?"*

საკამათო ეპიზოდი რომ იყო, ამიტომაც შეიკრიბა ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელობა და ეპიზოდის ჩანაწერი დაატრიალეს. განხილვის შედეგი კი ფედერაციის პრესსამსახურისგან შევიტყვეთ:

*"საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეოცე ტურის მატჩს რუსთავის „ოლიმპსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის, პრესაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა.*

*როგორც მოგეხსენებათ, რუსთაველებმა მსაჯის მიერ მატჩის დამატებულ წუთზე დანიშნული საჯარიმო გამოიყენეს და ანგარიში გაათანაბრეს.*

*გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მატჩის მთავარი მსაჯის, ფიფას არბიტრის, ლაშა სილაგავას მიერ რუსთაველთა თავდამსხმელის, ირაკლი მოდებაძის წაქცევისათვის დანიშნულმა ჯარიმამ.*

*სფფ-ის სამსაჯო განყოფილებამ განიხილა მატჩის ჩანაწერის კონკრეტული ეპიზოდი და მიუხედავად ფირის დაბალი ხარისხისა, მიიჩნია, რომ მსაჯის მიერ ქუთაისელთა კარში საჯარიმო დარტყმის დანიშვნას სერიოზული საფუძველი ჰქონდა"* – იუწყება ფედერაციის პრესსამსახური.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# სრული მოლოდინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ახლა კი ნამდვილად „სრული ტურის“ მოლოდინი გვაქვს: XXI ტურის ხუთივე მატჩი დღეს უნდა ჩატარდეს; ოღონდ, იმის იმედადაც უნდა ვიყოთ, მაინცდამაინც დღეს რომ არ დაათოვოს ჩვენს სტადიონებს. ყოველ შემთხვევაში, წინა ორი ტურისაგან განსხვავებით, კონკრეტულ შეხვედრებს ჯერჯერობით გადადება არ ემუქრება და სასურველია ასეც მოხდეს; აბა, ისედაც შემჭიდროებულ კალენდარში სარეზერვო დღეების ჩასმა რომ არცთუ იოლი საქმე იქნება, ამაში, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება. თუმცა უამინდობამ დღევანდელ ტურში გარკვეული კორექტივები მაინც შეიტანა: „ზესტაფონისა“ და „სპარტაკის“ შეხვედრა... თბილისში, სპორტკომპლექს „შატილის“ სტადიონზე ჩატარდება. თანაც, მასპინძელი „სპარტაკი“ იქნება, სამაგიეროდ ამავე გუნდების XXX ტურის შეხვედრა, 15 აპრილს რომ არის დანიშნული, ამჯერად უკვე ზესტაფონში გაიმართება. მოკლედ, თემქაზე მდებარე „სიხარულის“ ყოფილი სტადიონის რეკონსტრუქცია... ეროვნულ ჩემპიონატს მართლაც წაადგა: წინა ტურში „ვიტ ჯორჯიამ“ და „ბაიამ“ ჩაატარეს ამ სარბიელზე პირველი ოფიციალური მატჩი, დღეს კი „სპარტაკი“ და „ზესტაფონი“ იპაექრებენ. ამ წყვილის გუნდებს ჩემპიონატში დიამეტრულად განსხვავებული მიზნები აქვთ, აი, ტურის დანარჩენ შეხვედრებში კი ერთმანეთს სატურნირო ცხრილის „მეზობლები“ ხვდებიან და ყველა ეს დაპირისპირება დიდ ინტერესს იწვევს. თუნდაც, XXI ტურის ცენტრალური მატჩი რად ღირს: ქვეყნის ჩემპიონი და ამჟამინდელი ლიდერი „ოლიმპი“ მშობლიურ „ფოლადის“ სტადიონზე „დინამოს“ უმასპინძლებს!

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
| | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | |
| 1 | ოლიმპი | 20 | 12 | 5 | 3 | 32 | 17 | 41 | 11 | 9 | 2 | 0 | 19 | 4 | 29 | 9 | 3 | 3 | 3 | 13 | 13 | 12 |
| 2 | ზესტაფონი | 19 | 12 | 2 | 5 | 39 | 12 | 38 | 8 | 7 | 0 | 1 | 23 | 2 | 21 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 10 | 17 |
| 3 | დინამო | 20 | 10 | 7 | 3 | 24 | 10 | 37 | 11 | 7 | 4 | 0 | 18 | 5 | 25 | 9 | 3 | 3 | 3 | 6 | 5 | 12 |
| 4 | ბაია | 20 | 7 | 5 | 8 | 20 | 23 | 26 | 11 | 6 | 3 | 2 | 14 | 10 | 21 | 9 | 1 | 2 | 6 | 6 | 13 | 5 |
| 5 | სიონი | 20 | 6 | 6 | 8 | 14 | 23 | 24 | 10 | 5 | 3 | 2 | 10 | 7 | 18 | 10 | 1 | 3 | 6 | 4 | 16 | 6 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 20 | 7 | 2 | 11 | 19 | 27 | 23 | 10 | 5 | 1 | 4 | 14 | 13 | 16 | 10 | 2 | 1 | 7 | 5 | 14 | 7 |
| 7 | ტორპედო | 19 | 5 | 8 | 6 | 10 | 11 | 23 | 9 | 3 | 5 | 1 | 5 | 3 | 14 | 10 | 2 | 3 | 5 | 5 | 8 | 9 |
| 8 | კოლხეთი | 20 | 6 | 4 | 10 | 16 | 31 | 22 | 10 | 6 | 1 | 3 | 13 | 8 | 19 | 10 | 0 | 3 | 7 | 3 | 23 | 3 |
| 9 | სამტრედია | 19 | 5 | 4 | 10 | 18 | 33 | 19 | 9 | 5 | 2 | 2 | 10 | 7 | 17 | 10 | 0 | 2 | 8 | 8 | 26 | 2 |
| 10 | სპარტაკი | 19 | 4 | 5 | 10 | 19 | 24 | 17 | 9 | 3 | 3 | 3 | 16 | 10 | 12 | 10 | 1 | 2 | 7 | 3 | 14 | 5 |

## ოლიმპი–დინამო

Bwin: 1.75 3.20 4.40

23.02. რუსთავი. ფოლადი

14:00

არბიტრი: ლ. კვარაცხელია; ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, გ. ყრუაშვილი; მეოთხე მსაჯი: ზ. ნინუა



2010 წლის 31 ოქტომბერი. დინამო-ოლიმპი 1:1

ამ გუნდების ურთიერთდაპირისპირების ისტორია მეექვსე წელიწადს ითვლის და მცირე უპირატესობა „დინამოს“ მხარეს არის: 5 მოგება, 4 ფრე და 4 წაგება (ბურთების სხვაობა — 14-9). „ოლიმპისა“ და „დინამოს“ წინა ცამეტივე დაპირისპირება უშელავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ორჯერვე სულაც ჩემპიონობის ბედი გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ „ოლიმპს“ ორივეჯერ „ოქროს ქულა“ სჭირდებოდა ჩემპიონობისათვის და ასეც მოხდა: 2007 და 2010 წლებში რუსთაველებმა სწორედ „დინამოსთან“ ნათამაშები ფრის წყალობით მოიპოვეს ტიტული. თანაც, ორივე შემთხვევაში 5 მაისი იყო და ჩემპიონატის დასრულებამდე ორჯერვე 4 ტური რჩებოდა...

დღევანდელი მეტოქეების ურთიერთდაპირისპირებას ვიხსენებთ და ისიც აღვნიშნეთ, რომ „ოლიმპისა“ და „დინამოს“ თითქმის ყველა მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა; თუმცა, ერთი გამონაკლისი მაინც იყო: წინა სეზონის დასაწყისში, კერძოდ, 13 სექტემბერს **კახა კაჭარავას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ“ პრინციპული მეტოქის კარში 4 უპასუხო გოლი გაიტანა. ისე, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი შემთხვევით არ გვიხსენებია: ამ სეზონის პირველი წრის შეხვედრაში კაჭარავას ოპონენტი **თემურ მახარაძე** გახლდათ, მეორე წრის მატჩში რუსთაულ გუნდს **რამაზ მუმლაძე** მოძღვრავდა, აი დღეს კი **თორნიკე მაისურაძე** პირველად დაუპირისპირდება ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს...

... პირველი წრის მატჩი რუსთავში რომ ჩატარდა, ბევრი რამით დაგვამახსოვრდა: „ოლიმპის“ ცენტრალური მცველის **გიორგი რეხვიაშვილის** ზუსტი დარტყმითაც და „დინამოს“ ფეხბურთელთა გაცუდებული მომენტებითაც, სამსაჯო ლაფსუსებითაც და მეტოქეთა შორის კინკლაობითაც; აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე ოფიციალური მატჩი... პროჟექტორების შუქზე ჩატარდა. ოღონდ პროჟექტორებს სიმძლავრე აშკარად აკლდა და ცოტაც რომ გაგრძელებულიყო მატჩი, ფეხბურთელებს სტადიონზე დაუღამდებოდათ...

...სამწუხაროდ, დღევანდელი მეტოქეების მეორე წრის შეხვედრა სანახაობრივი თვალსაზრისით დიდი ვერაფერი გამოდგა. თუმცა, აქაც შეგვიძლია ორივე გუნდის ფეხბურთელები „გავამართლოთ“ და ამ შემთხვევაში, რალა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურ ფაქტორს ვგულისხმობთ. შეგახსენებთ, რომ ვიდრე „დინამო“-„ოლიმპის“ მატჩი დაიწყებოდა, „ზესტაფონმა“ აუტსაიდერი „სპარტაკის“ ძლევა ვერ მოახერხა; ანუ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ „დინამო“-„ოლიმპს“ შორის გამარჯვებული გუნდი სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცეოდა. ყველაფერი იქითკენაც მიდიოდა, რომ ლიდერი „დინამო“ უნდა გამხდარიყო: **მათე ვაწაძის** მოხდენილი პასის მერე მასპინძელთა ახალგაზრდა გარემარბი **ირაკლი ლექვთაძე** ასაკთან შეუფერებელი ოსტატობით ჩინებულად გაერკვა სიტუაციაში და ზუსტადაც დაარტყა. მეტოქეებმა რამდენიმე სახიფათო დარტყმა „გაცვალეს“, მატჩიც დასასრულს უახლოვდებოდა და სწორედ მსაჯის მიერ დამატებულ დროში, შეცვლაზე შემოსულმა **რევაზ გეწაძემ** მოწინააღმდეგის საჯარიმოს მისადგომებიდან „სტანდარტული“ მართლაც ეფექტურად შეასრულა და თავის გუნდს ქულა მოუტანა!..

დღევანდელ მატჩს დიდი სატურნირო მნიშვნელობაც რომ აქვს, ბევრი მტკიცება არ სჭირდება: „ოლიმპი“ უკვე 4 ქულით უსწრებს „დინამოს“ და გამარჯვების შემთხვევაში თორნიკე მაისურაძის გუნდი თავის ერთ-ერთ კონკურენტს გვარიანად ჩამოიშორებს. მოკლედ, „დინამომ“ მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქროს, თანაც, ალბათ, უკვე დროა, რომ „საყაიმო სინდრომისგანაც“ გათავისუფლდეს: მეორე ეტაპის სტარტზე „დინამომ“ ორივე შეხვედრა ფრედ დაამთავრა. რა თქმა უნდა, ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ათეულობით ახალწვეულს ერთმანეთთან შესათამაშებლად გარკვეული დრო სჭირდებათ, მაგრამ თუ კონკურენტები წინ გაიჭრებიან, მერე იმათი დაწევა ადვილი ნამდვილად არ იქნება...

## კოლხეთი–ვიტ ჯორჯია

Bwin: 1.91 3.10 3.80

23.02. ფოთი. ფაზისი

14:00

არბიტრი: ხ. გაგნიძე; ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია; მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

აი, ამას ჰქვია „ექვსქულიანი“ თამაში — სატურნირო ცხრილში სიახლოვეში მყოფი გუნდების დაპირისპირებაც დიდ ინტერესს იწვევს. „კოლხეთმა“ მეორე ეტაპი გამარჯვებით დაიწყო, როცა საშინაო შეხვედრაში თავის ერთ-ერთ კონკურენტს „სამტრედიას“ მოუგო. საერთოდაც, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ბესიკ შეროზიას** გუნდმა სწორედ საშინაო მატჩებში უნდა შეძლოს „აუცილებელი და საკმარისი“ ქულების მოგროვება. თუმცა, დღევანდელ მეტოქესაც არანაკლებ სჭირდება სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება: **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა ბოლო ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულის მოგროვება მოახერხა და ყოველივე ეს ცხრილშიც აისახა. მართალია, „ვიტ ჯორჯია“ ამჟამად VI ადგილზეა, მაგრამ სახიფათო ზონაც ძალიან ახლოს არის და არც ის არის უმნიშვნელო ფაქტი, რომ ზოგ კონკურენტს („სამტრედიასა“ და „სპარტაკს“) „ვეტერინარებთან“ შედარებით ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული. რას ვიზამთ: გვიჭირს იმასთან შეგუება, რომ ამ სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ მხოლოდ და მხოლოდ მოკრძალებული მიზნები ექნება; თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობა სწორედ „ვიტ ჯორჯიას“ ჰყავს.

დღევანდელმა მეტოქეებმა ამ სეზონში სამ-სამი ქულა „გაცვალეს“: პირველ წრეში „კოლხეთმა“ 2:0 მოიგო, აი, მეორე წრის შეხვედრა კი უჩვეულოდ უხვგოლიანი გამოდგა; თანაც, არანაკლებ საინტერესო იყო 31 ოქტომბერს ჩატარებული მატჩის სცენარიც: „ვიტ ჯორჯიასა“ და „კოლხეთის“ მატჩის პირველი ტაიმი 0:0 დამთავრდა, აი, მეორე ტაიმში ერთდროულად ექვსი გოლი ვიხილეთ („ვეტერინარებმა“ მეტოქეს 5:1 მოუგეს). თუმცა, იმ პერიოდში „კოლხეთს“ სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა და თითქმის ყველა მეტოქესთან მარცხსაც, ფაქტობრივად, წინასწარ შეგუებული იყო...

## ბაია–ტორპედო

Bwin: 1.65 3.30 5.00

23.02. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე

14:00

არბიტრი: თ. გვანცელაძე; ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია; მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

...რამდენიმე წამიც და ქუთაისის „ტორპედო“ მეორე ეტაპის სტარტზე ერთ-ერთ ხმაურიან სენსაციასაც შემოგვთავაზებდა: ჩემპიონ „ოლიმპთან“ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში **გია გიგატაძის** გუნდი იგებდა, მაგრამ საკუთარ კარში, ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლი მიიღო და საბოლოოდ, ქულასლა დასჯერდა. ერთი შეხედვით, ფრეც არ უნდა იყოს ურიგო შედეგი (მით უფრო, ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან), მაგრამ ამბიციურ და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში საგრძნობლად გაძლიერებულ „ტორპედოს“ სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებაზე ფიქრიც მოუწევს. არადა, ქუთათურთა საყვარელ გუნდს ისეთი შემადგენლობა ჰყავს, სულ მცირე, საპრიზო სამეულში მოხვედრისათვის უნდა ებრძოლათ; თუმცა, გუნდს სეზონის სტარტი ჩაუვარდა და „ტორპედოსაც“ ამჟამად არცთუ „სასიამოვნო“ ადგილი უკავია სატურნირო ცხრილში. ზამთრის სატრანსფერო კამპანია ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „ტორპედოს“ ორმა ახალწვეულმა სეზონი სწორედ „ბაიაში“ დაიწყო — **გია მეგრელაძემ** და **გრიგოლ დოლიძემ**. აი, ზუგდიდურ გუნდს რაც შეეხება, ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, ბევრს არ ეგონა, „ბაია“ მეორე ეტაპს ასე რიხიანად თუ დაიწყებდა. არადა, ასე მოხდა და **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდისთვის ორ მატჩში მოპოვებული 4 ქულა, უდავოდ, წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. თანაც, გამოცდილი ფეხბურთელების (**როინ ონიანი, გიორგი სომხიშვილი**) გარდა მშვენივრად ასპარეზობენ ახალგაზრდებიც და კონკრეტული მოთამაშეც გვინდა ვახსენოთ: 18 წლის **ირაკლი ქობალია** ზედიზედ ორი მატჩია მოედანს უგოლოდ არ ტოვებს!

## სპარტაკი–ზესტაფონი

23.02. თბილისი. სპორტკომპლექსი შატილი (თემქაზე)

14:00

Bwin: 13.50 5.75 1.16

არბიტრი: გ. ვადაჭკორია; ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე; მეოთხე მსაჯი: ლ. სილაგავა

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ამ გუნდებს აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები აქვთ: „სპარტაკი“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვის, „ზესტაფონი“ კი საჩემპიონო რბოლაშია ჩართული. ორივე გუნდის შემადგენლობებიც რომ შევადაროთ, რალა თქმა უნდა, უპირატესობა იმერული გუნდის მხარეს იქნება; თუმცა გადაჭრით იმის მტკიცება, ამ წყვილში „ზესტაფონი“ უპირობო ფავორიტიაო, ალბათ, გადაჭარბებული იქნება. ამის მიზეზი კი „სპარტაკის“ ბოლოდროინდელი წარმატებული ასპარეზობაა: **ბადრი კვარაცხელიას** ხელმძღვანელობით გუნდი აღარ ითვლება განწირულ აუტსაიდერად და უშუალო კონკურენტების გარდა, უკვე ლიდერებსაც აკარგვინებს ქულებს.

აბა, ვინ იფიქრებდა, მეორე ეტაპის საწყის ტურში „სპარტაკი“ თუ „დინამოსთან“ ფრედ ითამაშებდა! სხვათა შორის, „სპარტაკმა“ დღევანდელი მეტოქის „გამწარებაც“ მოახერხა, როცა მეორე წრის შეხვედრაში ფრედ ეთამაშა იმ დროისათვის ერთპიროვნულ ლიდერს. ისე, „სპარტაკს“ მართლაც „კოშმარული“ კალენდარი აქვს: „დინამოს“ უკვე ეთამაშა, დღეს „ზესტაფონს“ ხვდება, ერთი ტურის შემდეგ კი ჩემპიონატის კიდევ ერთ ფავორიტს „ოლიმპს“ უნდა დაუპირისპირდეს.



ზესტაფონს თორნიკე აფციაური დააკლდება

## სამტრედია–სიონი

Bwin: 2.00 3.00 3.60

23.02. სამტრედია. ე. მანჯგალაძე

14:00

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი; ასისტენტები: ზ. ბერულავა, ს. სპიცინი; მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე

წინა ტურში მოპოვებულმა სამმა ქულამ „სიონის“ სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გააუმჯობესა, — **გიორგი ყიფშიძის** გუნდი ამჟამად V ადგილზე იმყოფება და შემადგენლობიდან გამომდინარე, უშანსოდ არც დღეს უნდა იყოს. კვალიფიციური და გამოცდილი ფეხბურთელების ფაქტორი ჩვენს ჩემპიონატში გადამწყვეტად თუ არა, მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ და ამ მხრივ „სიონს“ თავის დღევანდელ მეტოქესთან უპირატესობა აქვს. აღარაფერს ვამბობთ კიდევ ერთ და ალბათ, ბევრად უფრო მნიშვნელოვან ფაქტორზე: „სიონისგან“ განსხვავებით, „სამტრედია“ სეზონის დასაწყისიდანვე სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს „ებრძვის“, მაგრამ ჯერჯერობით დამაიმედებელი არაფერი ჩანს. ასეთ შემთხვევაში კი, გუნდში კვალიფიციურ ფეხბურთელებსაც ველარავინ დააკავებს და პირველ ეტაპთან შედარებით, „სამტრედიას“ შემადგენლობა უფრო დასუსტებულია. თუმცა ამ გუნდს ხომ არაერთი სიურპრიზი შემოუთავაზებია და, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე მოთამაშე „სამტრედიის“ ძალა ამ სეზონში რამდენიმე ფავორიტმა საკუთარ თავზე იწვნია.

გვერდი მოამზადა **გია ტუხაშვილმა**

# ქართული ფეხბურთი

## ქართველები დანიაში

დანიის რანგით მეორე დივიზიონის ლიდერი "ორჰუსი" ქართველების საქომაგო კლუბი ჯერ კიდევ მაშინ გახდა, როდესაც იქ დავით დევდარიანი ჩაირიცხა. ამის შემდეგ კლუბში ქართველებისადმი ინტერესი გაიზარდა და 2010 წელს გასასინჯად ოთხი ჩვენებური მიიწვიეს: მეკარე დავით ლეგაშვილი, შემტევი ნახევარმცველი გიორგი დიასამიძე და თავდამსხმელები, ლაშა შინდაგორიძე და დავით სხირტლაძე.

ოთხეულიდან მხოლოდ მეკარე ლეგაშვილი არ დაიტოვეს, მაგრამ ისიც არ დაუწუნებიათ – ამაზე ქვემოთ შეიტყობთ. დიასამიძემ და შინდაგორიძემ კი კონტრაქტები უკვე გააფორმეს და 19-წლამდელების გუნდში ვარჯიშობენ. ამავე ასაკობრივ გუნდშია სხირტლაძეც.

ჯერ სიახლეებზე ვთქვათ: მთავარმა "ორჰუსმა" "ფრედერისიასთან" ამხანაგური მატჩი 1:3 წააგო, დევდარიანმა კი მცირე ტრავმა მოირჩინა და შეუცვლელად ითამაშა.

„ორჰუსის" ძირითადი გუნდი 24 თებერვალს თურქეთში შეკრებას იწყებს. ცხადია, გუნდში იქნება დევდარიანი, სიახლე კი მთავარ გუნდში დიასამიძის გამოჩენაა. 18 წლის პლეიმეიკერი ახალწვეულ ქართველებში ყველაზე უფროსია და მწვრთნელები მეტს სთხოვენ.

19-წლამდელების "ორჰუსმა" კი ოთხი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და ქართველებმა თავი საუცხოოდ წარმოაჩინეს: დანიის მეორე ლიგის მოყვარულთა გუნდს 10:0 მოუგეს, სამ-სამი გოლი გაიტანეს დიასამიძემ და შინდაგორიძემ, სხირტლაძემ - ერთი. ნორვეგიის 20-წლამდელების ჩემპიონ "ტრომსოსთან" მატჩში კი, რომელიც დანიელებმა 3:0 მოიგეს, დიასამიძემ და სხირტლაძემ გაიტანეს, შინდაგორიძის დარტყმული ძელს მოხვდა და დამატებაზე დანიელმა ფეხბურთელმა გაიტანა.

მესამე შეხვედრაში "ვიბორგი" დაამარცხეს 4:1 - სხირტლაძემ გოლი და საგოლე გადაცემა მიითვალა. მერე იყო საკონტროლო მატჩი „ოლბორგის" თანატოლებთან, რომელიც ჩვენებურთა გუნდმა 4:0 მოიგო. ოთხი გოლიდან სამი ქართველების ანგარიშზეა: დიასამიძემ ორი გაიტანა, აქედან ერთი პენალტით, რომელიც შინდაგორიძის წაქცევისთვის დაინიშნა. თავად შინდაგორიძემ კი ერთი მიითვალა. სამივე ქართველმა ძირითადში ითამაშა.

ქართველი ფეხბურთელებით დანიური კლუბი "შპორტვიჟენისა" და "პლეიერსაგენტის" დამფუძნებლებმა, ფიფას აგენტებმა, მალხაზ მუსერიძემ და გუგა კაჭახიძემ დააინტერესეს. "ლელო" ორივეს ელაპარაკა.

# ბიჭების კაცური მისია: აფიქრე საქართველოზე

**მალხაზ მუსერიძე:** "ახლა მოსამზადებელი პერიოდია, ბიჭები ვარჯიშობენ, თამაშობენ და კვირიდან კვირამდე უმატებენ. ხელმძღვანელობა სამივეთი ძალიან კმაყოფილია - დიასამიძე 24 თებერვალს პირველ გუნდთან ერთად თურქულ შეკრებაზე მიემგზავრება. შინდაგორიძე საიმიგრაციო სამსახურიდან საბუთს ელოდა და მისი წასვლა-არ წასვლა ამაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ საბუთების გაფორმება ისე გაიწელა, 19-წლამდელებში დარჩენა მოუხდა. სხირტლაძე კი მარტში ხდება სრულწლოვანი და კონტრაქტიც მხოლოდ ამ დროისთვის გაუფორმდება.

"ორჰუსის" 19-წლამდელების საკონტროლო მატჩში ბიჭებმა თავი გამოიჩინეს და დანიელები დარწმუნდნენ - სამეული ტყუილად არ აუყვანიათ. იმედია, "ორჰუსი" უმაღლეში დაბრუნდება, ჩვენი ბავშვები კი მის ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდებიან და ახალგაზრდულ ნაკრების ხელმძღვანელთა ყურადღებას დაიმსახურებენ".

**გუგა კაჭახიძე:** "დანიელებს 19-წლამდელთა გუნდში ჩვენი ბიჭების იმედი აქვთ. კარგ სავარჯიშო პირობებში არიან და დარწმუნებული ვარ, ხვალ-ზეგ უკეთაც ათამაშდებიან და დიდ გუნდში გადაიყვანენ. ყველა საკონტროლო შეხვედრა, ფაქტობრივად, ამ ბავშვებმა მოიგეს. სამეულზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, თავს თუ გამოიჩენენ, დანიელებს ჩვენი ფეხბურთის მიმართ ინტერესი უფრო გაუღრმავდებათ და შესაძლებელი გახდება, "ორჰუსთან" თანამშრომლობას სისტემური სახე მიეცეს. ჯერ რომელიმე ქართულ სკოლასთან ურთიერთობაზე ლაპარაკი არ გვქონია, მაგრამ სამომავლოდ ეს შესაძლებელი მგონია. სხვათა შორის, კიდევ რამდენიმე საინტერესო ბავშვი შევარჩიეთ და, ვფიქრობ, ზაფხულისთვის სიახლეებს კიდევ შეიტყობთ".

პლეიმეიკერი **დავით დევდარიანი** მიმდინარე სეზონში "ორჰუსის" ლიდერად ჩამოყალიბდა.

*"დევდარიანი გუნდის გული და სულია. ცოტა საზარდული აწუხებდა, მაგრამ უკვე ვარჯიშობს და ითამაშა კიდეც. დათო ისეთ ფორმაშია, მჯერა, მისით ეროვნულ ნაკრებშიც დაინტერესდებიან,"* - ამბობს მუსერიძემ.

დიასამიძეს ნახევარწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. შეგახსენებთ, რომ გიორგი 19-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო და პორტუგალიაში თამაშობდა, გასულ წელს კი რამდენიმე კლუბში ისინჯებოდა, მათ შორის, არნემის "ვიტესში".

*"15 წლამდე "ნორჩ დინამოში" ვვარჯიშობდი, მერე კი პორტუგალიის "CD ოდიაჟერეში" ორი სეზონი ჩავატარე. ახლა "ორჰუსის" ძირითადი გუნდის შეკრებაზე მივდივარ. მუშაობის უფლებას ველოდი და მივიღე კიდეც, თუმცა ოფიციალურ მატჩებს ჯერ მხოლოდ 19-წლამდელებში ჩავატარებ,"* - გვითხრა დიასამიძემ.

თავდამსხმელი **ლაშა შინდაგორიძე** 18 წლის 30 იანვარს გახდა და საჩუქრად "ორჰუსთან" კონტრაქტი მიიღო. ხელშეკრულება 2012 წლამდე იმოქმედებს. ლაშა შინდაგორიძე საქართველოში რეგიონული ლიგის "სასკოში", აგრეთვე საქართველოს 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებში თამაშობდა.

ამ მოვლენას „ორჰუსის" სპორტული დირექტორი **ბრაიან სტინ ნილსენი** ასე გამოეხმაურა: *"ლაშა ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია, რომელიც დავით დევდარიანს მაგონებს. ის ტექნიკური და ძალიან არაორდინარულია. ბურთით მშვენივრად მოძრაობს, შეტევის დაგვირგვინებაც ეხერხება და ნახევარდაცვის ცენტრსა და მარცხენა ფლანგზე თამაშიც. თავდაპირველად შინდაგორიძე "ორჰუსის" 19-წლამდელთა გუნდს გააძლიერებს, მაგრამ იმხელა პოტენციალი აქვს, საბოლოოდ უმაღლეს დონეზე თამაშიც შეუძლია".*

ლაშას გუშინ ველაპარაკეთ.

**- დატვირთვებს როგორ შეეუგუე და რა განსხვავებაა ჩვენსა და დანიელების მომზადებაში?**

- დანიაში იმ დროს ჩავედი, როცა „ორჰუსმა" შეკრება დაიწყო და მძიმე დატვირთვები იყო, მაგრამ ჩვეულებრივად შევეგუე.

განსხვავება ბევრია: საქართველოში გუნდს მაქსიმუმ ორი მწვრთნელი ჰყავს და ისიც ყველას არა. „ორჰუსში" კი ხუთი მწვრთნელია. თანაც, აქ აქცენტი ფიზიკურ ვარჯიშზეა გადატანილი. სამწუხაროდ, საქართველოში ასე არ არის.

აქ ფეხბურთელს უკეთ ამზადებენ, სულ ფიზიკური და ძალისმიერი ვარჯიშებია. თავს ვატყობ, ფიზიკურად უკეთ ვარ, დღევანდელ ფეხბურთში კი ეს დიდი პლუსია.

**- ახლა 19-წლამდელებში თამაშობ. ძირითად გუნდში მოხვედრა ძნელი იქნება?**

- რა თქმა უნდა, ძნელი იქნება. "ორჰუსი" დანიაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. სუპერლიგიდან დროებითი ჩავარდნის გამო გავარდა. თუმცა ახლა პირველ დივიზიონში ლიდერობს და იმედია, სუპერლიგას დაუბრუნდება.

რაც შეეხება ჩემს პერსპექტივას: ვფიქრობ, მთავარ გუნდში თამაში შემიძლია და იმედია, ეს მალე მოხდება.

**- ალბათ, "ორჰუსში" თქვენი ჩარიცხვა დევდარიანის ფაქტორმაც განაპირობა?**

- გუნდის ხელმძღვანელობა ნდობით მოგვეკიდა, რადგან დევდარიანი კლუბის ლიდერია და ქართველებზე კარგი აზრი ჩამოუყალიბდათ. ამხანაგურ თამაშებში სამივე ქართველმა ჩვენი მოვალეობა კარგად შევასრულეთ და კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა.

მე „სასკოს" აღზრდილი ვარ და თენგიზ კაციას დამსახურებაა, დღეს რომ დანიაში ვთამაშობ.

17 წლის თავდამსხმელი **დავით სხირტლაძე** მარტში 18 წლის გახდება და "ორჰუსთან" კონტრაქტის გაფორმების უფლებას მისცემენ. მანამდე არასრულწლოვან ქართველს ევროკავშირულ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება ეკრძალება. შეგახსენებთ, რომ სხირტლაძემ **გიორგი დევდარიანის** 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ელიტრაუნდში ითამაშა:

- "ნორჩ დინამოში" თენგიზ კაციასთან ვვარჯიშობდი. შემდეგ სპონსორი გამოგვიჩნდა და გუნდი "სასკოს" სახელით გამოდიოდა. „ორჰუსთან" კონტრაქტი ასაკის გამო ვერ გავაფორმე, მაგრამ 18 წლის მარტში გავხდები და გუნდში ჩავირცხები.

**- ფაქტობრივად, გუნდის წევრად ითვლები?**

- ალბათ, ასეც არის, რადგან „ორჰუსში" ვვარჯიშობ და ყველა ამხანაგური მატჩიც ვითამაშე.

**- როგორია დანიურ ფეხბურთზე საერთო შთაბეჭდილება?**

- მშვენიერი, დანიაში ყველა ის პირობაა შექმნილი, რომ განვითარდე და პროფესიონალი ფეხბურთელი გახდე.

### ლეგაშვილი სიონში

როგორც გითხარით, დანიაში მხოლოდ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მეკარე დავით ლეგაშვილი არ დაიტოვეს.

*"სამწუხაროდ, ლეგაშვილზე უარი გვითხრეს იმის გამო, რომ მათ მეკარეს, რომელიც დანიის ასაკობრივი ნაკრების წევრია, გზას ჩაუკეტავდა. მომწონს თუ არა, „ორჰუსის" ხელმძღვანელებმა ანგარიშგასაწევი არგუმენტი დაგვისახელეს. არადა, ლეგაშვილის სახით ნიჭიერი მეკარე გვეზრდება"* - ამბობს მუსერიძე.

ჩვენ ლეგაშვილსაც ველაპარაკეთ, რომელმაც ბოლნისის „სიონის" დუბლშემადგენლობაში გადასვლის ამბავი გვაცნობა: *"ორიოდე დღის წინ "სიონის" დუბლშემადგენლობის განაცხადში შემიყვანეს. რა თქმა უნდა, დანიაში დარჩენა კარგი იქნებოდა, მაგრამ "სიონში" პრაქტიკას მივიღებ და გიორგი დევდარიანის ხელმძღვანელობით ვითამაშებ. ეს ძალიან მახარებს. თუმცა ბოლნისელებთან საკონტრაქტო ვალდებულებები არ ამილია".*

**მერაბ მამულაშვილი**



მარცხნიდან: დავით სხირტლაძე, დავით დევდარიანი, გიორგი დიასამიძე, ლაშა შინდაგორიძე

## ხმაურიანი ტრანსფერი

### დიდი ფული რუსულად: რაღაც საშუალო სიგიჟესა და ცოფს შორის

# ამისულაშვილის კრასნოდარი: კვირა რუსეთისთვის, ისტორია საქართველოსთვის

ევროსპორტ.რუ-მ რუსეთის პრემიერლიგის კვირის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერების ხუთეული შეადგინა და მეორე ადგილზე საქართველოს ნაკრების მოთამაშე დაასახელა.

ახლა თანმიმდევრულად: პირველი ადგილზე გავიდა „ბარსელონას" აღზრდილის, „ლიონისა" და „სელტიკის" ყოფილი ხავბეკის, ბრაზილიელი **მარკ კროსასის** ნიჟნინოვგოროდული ტრანსფერი. რაღა სხვათა შორის და, ჩვენებურები აქაც უნდა ვიგულისხმოთ, რადგან „ვოლგას" **ომარ თეთრაძე** ავარჯიშებს, ტრანსფერებზე კი კლუბის სპორტული დირექტორი **მამუკა ჯუღელი** მუშაობს. თუმცა რუსული მასშტაბით ამ ტრანსფერზე კლუბმა კაპიკები დახარჯა – „ვოლგამ" სულ რაღაც 350 ათასი ევრო გადაიხადა.

ლამის ათჯერ მეტი, 3 მილიონი ევროთი შეითხელა ბიუჯეტი „კრასნოდარმა", **ალექსანდრე ამისულაშვილი** „ქაისერიდან" 4,5 წლით რომ გადაიბირებინა – „ევროსპორტ.რუ"-მა ეს ტრანსფერი თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილზე დააყენა.

*„რუსეთის ელიტური საფეხბურთო ლიგის დებიუტანტის სატრანსფერო კამპანია შთამბეჭდავია. კრასნოდარული კლუბი ყოველ კვირას იმატებს პრემიერლიგის გამორჩეულ ფეხბურთელებს, ან მათ, ვისაც მსგავსი გაბრწყინების პერსპექტივა აქვს.*

*უდავოა, ამისულაშვილი პირველ კატეგორიას მიეკუთვნება - ნალჩიკის „სპარტაკში" თამაშისას ბრგე მცველი რუსეთის ჩემპიონატის უძლიერეს ცენტრალურ მცველთა შორის სახელდებოდა, ნალჩიკში მისი და მიოდრაგ ჯუროვიჩის ტანდემი კი ერთ-ერთი ყველაზე საიმედო იყო.*

*თურქეთის ჩემპიონატში ძალების გამოცდა რომ გადაწყვიტა, საქართველოს ნაკრების მცველი არ შემცდარა - მან მიმდინარე სეზონში „ქაისერში" 20 შეხვედრა ჩაატარა, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში იყო და გუნდთან ერთად საკმაოდ სოლიდურ ლიგაში მე-8 ადგილი დაიკავა.*

*ასე რომ, გარიგების სიძვირე არ უნდა გვაკვირვებდეს - სტაბილურ და გამოცდილ 28 წლის მცველს უფასოდ ვერ გადაიბირებდი. „კრასნოდარი" დიდ ფულს შეელია, თუმცა ამ შენაძენს სარისკოსაც ვერ დაარქმევ, რადგან შემადგენლობა აშკარად გააძლიერა. მიზეზები, რის გამოც შეიძლება ალექსანდრემ „კრასნოდარის" შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ მოახერხოს, ძალიან მცირეა,"* – წერს „ევროსპორტ.რუ".

ალეკო ამისულაშვილის ტრანსფერმა ქართველი ფეხბურთელების ყველაზე ძვირადღირებულ ტრანსფერებში მესამე ადგილი დაიკავა.

ამ ნომინაციაში, ალბათ, დიდხანს ილიდერებს **კახა კალაძე**, რომლის კიევის "დინამოდან" გადაყვანა „მილანს" 15,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. მეორე ადგილზეა **გიორგი ქინქლაძე**, მისი გამოსყიდვა ამსტერდამის „აიაქსმა" „მანჩესტერ სიტიდან" 8 მილიონ დოლარად მოახერხა, მესამეზე კი ამისულაშვილის უკვე ნახსენები ტრანსფერია – „კრასნოდარის" გაღებული 3 მილიონი ევრო ჩვენი ფეხბურთის ისტორიაშიც შევიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

## U17

| ესპანეთი–საქართველო | 2:1 |
|---|---|

1:0 ვიკო (35), 2:0 ერნანდესი (42), 2:1 არაბული (50. პენ.)

ესპანეთი: ერერო – მანკილიო, ლუკე, გარიდო (45. მენენდესი), ბილბაო (65. ოლივანი) – ერედია, დელუფო (80. ვალენსია), კალვე (60. სუარესი), ნიგესი, ვიკო (60. ვადილიო) – ერნანდესი.

საქართველო: თებიძე – მთივლიშვილი, ცნობილაძე, სანდოხაძე, მონიავა (45. ჭილვარია) – გოგიჩაიშვილი, ჰუფნაგელი (65. ტარყაშვილი), ენდელაძე (45. ექვთიმიშვილი), დიასამიძე (45. მარკოზაშვილი), სამუშია (75. ფანცულაია), არაბული.

# ასე საჭირო ესპანეთი

ესპანურ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და მარცხის მიუხედავად, ღირსეულად ითამაშა. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ ესპანელებს ამ ასაკში ყოველთვის გამორჩეული გუნდი ჰყავთ, მათ თავკაც **ხიმენეს მელენდესს** კი წინა თაობებთან ერთად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოუგია.

ესპანეთის ეროვნული ნაკრების კუთვნილ "ლას როსასის" საწვრთნელ ბაზაზე გამართულ შეხვედრაში მასპინძელთა უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა და გოლებიც ლოგიკურად გავიდა, შესვენების შემდეგ კი ქართველები გამოცოცხლდნენ და თამამად შეუტიეს. **ბაჩანა არაბულმა** თერთმეტმეტრიანით ერთი ბურთი გაქვითა და **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს დარჩენილ ნახევარ საათში გაყაიმებაც შეეძლო, მაგრამ საბოლოოდ ერთი ბურთის სხვაობით დამარცხდა.

საკონტროლო მატჩში ანგარიშს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, მაგრამ ეს 1:2 იმის იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი ნაკრები ელიტრაუნდში თავს არ შეირცხვენს. კარგია, რომ ასეთი შეკრებისა და შეხვედრების ორგანიზება მოხერხდა. ამით ჩვენი ბიჭები საერთაშორისო გამოცდილებასაც გაიმდიდრებენ და სახელიანი მეტოქის წინააღმდეგ აულელვებლად ბრძოლასაც მიეჩვევიან.

ესპანელებთან რევანშის შანსი კი ჟორჟიკაშვილის ბიჭებს ხვალ მიეცემათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





**დოსიე: იან რაიტი**
47 წლის ყოფილი ფეხბურთელი, საფეხბურთო ექსპერტი, მსახიობი
კლუბები: კრისტალ პალასი, არსენალი, ვესტ ჰემი, ნოტინგემი, სელტიკი, ბარნლი
კარიერა: 501 თამაში, 239 გოლი
ინგლისის ნაკრებში: 33 თამაში, 9 გოლი

## გემუდარები, არსენ!

**კვირას ინგლისში „ქარლინგის" ანუ ლიგის თასის ფინალია: „არსენალი" „ბირმინგემს" ხვდება. მეთოფეთა ლეგენდა იან რაიტი ამბობს, რომ არსენ ვენგერისა და მისი გუნდისთვის ამ შეხვედრაში გამარჯვებასა და ჯილდოს მოპოვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რა უნდა ქნას ვენგერმა? დაასვენოს თუ არა უძლიერესი ფეხბურთელები „ბარსელონასთან" გადამწყვეტი მატჩის წინ?**

*„თუ „არსენალი" გაიმარჯვებს, წერტილი დაესმება ექვსწლიან პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კლუბმა ერთი ჯილდოც კი ვერ მოიპოვა. ეს იქნება „მეთოფეთა" ზურგიდან უდიდესი ფსიქოლოგიური ტვირთის მოხსნა. გარდა ამისა, „ქარლინგის თასის" მოპოვება ლონდონელებს სეზონის ბოლომდე სხვა შეჯიბრებებში თამაშის უდიდეს სტიმულს მისცემს, დამარცხების შემთხვევაში კი კრიტიკოსები კვლავ ერთ ამბავს ატეხენ. ვენგერს ხომ ისედაც საყვედურობენ, რომ სატრანსფერო ბაზარზე პასიურობს და ლამაზი თამაშის მიუხედავად წარმატებებს ვერ აღწევს. შესაბამისად, „არსენალს" „უემბლიზე" საუკეთესო შემადგენლობით თამაში მართებს".*

*„ფინალში „არსენალის" ნაცვლად „მანჩესტერ იუნაიტედი" რომ თამაშობდეს, ალექს ფერგიუსონი უეჭველად საუკეთესო შემადგენლობას გამოიყვანდა, მაგრამ არსენზე ვერასდროს იტყვი, რას გააკეთებს. და მაინც, ვფიქრობ ვენგერმაც ის უნდა გააკეთოს, რასაც ფერგიუსონი გააკეთებდა. მოდი ნუ დაგვავიწყდება, რომ „არსენალის" დღევანდელ ფეხბურთელთა დიდ ნაწილს ინგლისში არასდროს არაფერი მოუგია. ჰოდა, გთხოვთ, ნუ დამიწყებთ ახლა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ „ქარლინგის" თასია. ეს არასწორი მიდგომაა, გულგრილ დამოკიდებულებასა და წაგებას ყოველთვის უარესი გაგრძელება მოსდევს. მე ლიგის თასი 1993 წელს მოვიგე და დამიჯერეთ, იმ გამარჯვებისთვის მიღებული მედალი შინ ფეხბურთის ასოციაციის თასის, პრემიერლიგის ჩემპიონის და თასების მფლობელთა თასის მფლობელის მედლებთან ერთად მიდევს. 20 წლის შემდეგ არავის უნდა ეთქვა: ჩვენ კარგი გუნდი გვყავდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ვიყავით, მაგრამ არაფერი მოგვიგია. ამიტომაც, არსენ, გემუდარები, „ბირმინგემთან" საუკეთესო შემადგენლობა ათამაშე.*

*მე რომ ვენგერი ვიყო, რასაკვირველია, საუკეთესო შემადგენლობით ვითამაშებდი და თან იმედი მექნებოდა, რომ ბიჭები საქმეს 60-70 წუთში მოათავებენ. სწორედ ამას აკეთებდა ფერგი თავის დროზე და, არ დაგავიწყდეთ, სეზონში სამი შეჯიბრებაც კი მოუგია.*

*რასაკვირველია, იმას, რასაც ქვემოთ ვიტყვი, ფერგი არ მომიწონებს, მაგრამ კაცმა ბედის იმედად რისკიც უნდა გასწიო. განა 1999 წელს, სამი ჯილდო რომ მოიგო, „მანჩესტერ იუნაიტედს" ბედმა არ გაუღიმა? გაიხსენეთ, დენის ბერგკამპის აცილებული პენალტი ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში, მეოთხე რაუნდში, „ლივერპულის" კარში ბოლო წამს გატანილი ორი გოლი და, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელშიც მოწინააღმდეგემ მთელი მატჩის განმავლობაში აჯობა, „იუნაიტედმა" კი მხოლოდ ბოლო სამი წუთი ითამაშა უკეთ".*

● მანჩესტერ იუნაიტედი

# ანდერსონი დაშავდა, ევრამ მოაწერა



**პატრის ევრა**
29 წლის, მარცხენა მცველი
კლუბები: ნიცა, მონაკო
32 თამაში საფრანგეთის ნაკრებში



**ანდერსონ ოლივეირა**
22 წლის, შემტევი ნახევარმცველი
კლუბები: გრემიო, პორტუ
8 თამაში ბრაზილიის ნაკრებში

„მანჩესტერ იუნაიტედს" ამ სეზონში სამი ჯილდოს მოპოვება უნდა, მაგრამ ამიერიდან მიზნისთვის ბრძოლა **ანდერსონის** გარეშე მოუწევს - ბრაზილიელ ნახევარმცველს შაბათს, ფეხბურთის ასოციაციის თასზე, „კროულისთან" შეხვედრაში, მუხლში მიარტყეს და როგორც სკანირებამ აჩვენა, ხრტილი აქვს ძლიერ დაზიანებული. ამრიგად, ანდერსონს ორი თვის განმავლობაში მოუწევს მკურნალობა. ორშაბათს ნახევარმცველმა ქერინგტონის საწვრთნელი ბაზა ყავარჯნებით დატოვა.

„იუნაიტედში" ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ ფეხბურთელის გამოჯანმრთელება ოპერაციის გარეშეც არის შესაძლებელი, მაგრამ ის, რომ მას აპრილის შუამდე უნდა გამოეთხოვონ, უკვე აშკარაა. შეგახსენებთ, რომ დიდი ხანი არ არის, რაც ანდერსონმა ჯვარედინი მყესების ტრავმა მოირჩინა და მოედანს დაუბრუნდა. ფერგიუსონმა დეკემბერში მასთან ახალი, 4,5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ბრაზილიელი მას ძალიან სჭირდებოდა, რადგან **დარენ გიბსონი** და **მაიკლ ქერიკი** დამაჯერებლად ვერ თამაშობდნენ. მოკლედ, ანდერსონის დაშავება „იუნაიტედისთვის" დიდი დარტყმა იყო, რადგან ის არ არის პირველი, ვინც გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდა. მოგეხსენებათ, სერ **ალექს ფერგიუსონს** სწორედ ნახევარდაცვაში აქვს ყველაზე მეტი პრობლემა და არა მარტო იმიტომ, რომ ქერიკი და გიბსონი კარგად ვერ თამაშობენ. ტრავმებიც ყველაზე მეტად ამ ამპლუის ხალხს დაერია: **ოუენ ჰარგრივზი** დიდი ხანია მკურნალობს, **ანტონიო ვალენსია** და **პარკ-ჯი სუნი** სულ ახლახან გადაბარგდნენ მოედნიდან სამედიცინო კაბინეტში.

აი, **პატრის ევრამ** კი ბოლოს და ბოლოს გააფორმა კლუბთან ახალი ხელშეკრულება, რომელზეც ბოლო ხანს სულ ლაპარაკობდნენ. კონტრაქტი 3,5-წლიანია. ამბობენ, რომ ფრანგი მცველით დაინტერესებული იყვნენ „რეალი" და „ბარსელონა", მაგრამ ფეხბურთელმა „ოლდ ტრეფორდზე" დარჩენა ამჯობინა. 29 წლის ევრას ახალი ჯამაგირი კვირაში 90 ათასი ფუნტი იქნება.



ამ ეპიზოდის გამო ანდერსონი ორ თვეს იუქმებს

„ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად ძალიან ბევრი ტიტული მოვიგე, მაგრამ კიდევ მინდა, რომ გავიმარჯვო. კარგად ვიცი, ამ კლუბში ყველას იგივე მიზანი აქვს და ამიტომაც გადავწყვიტე დარჩენა" - თქვა კმაყოფილმა ევრამ.

● სატრანსფერო ომი

# 350 000€ არსენალმა ბარსას აქაც მოუგო

### სესკ II: მეთოფეებმა კატალონიელებს კიდევ ერთი ვუნდერკინდი წაჰგვარეს

„არსენალისა" და „ბარსელონას" დაპირისპირება მარტო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალით არ შემოიფარგლება. კატალონიელები ბრაზობენ, რომ ინგლისელები მათი აკადემიის 16 წლის აღსაზრდელის, ვუნდერკინდად წოდებულ **ჯონ მიგელ ტორალ ჰარპერის** წართმევას ცდილობენ - ზუსტად ისე, თავის დროზე **სესკ ფაბრეგასი** რომ წაიყვანეს. „სანმა" შეიტყო, რომ გუნდების პირველ დაპირისპირებამდე, რომელიც „არსენალმა" 2:1 მოიგო, „ბარსას" პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** „მეთოფეთა" აღმასრულებელ შეფ **აივან გაზიდისთან** ლაპარაკის დროს უკმაყოფილება მკაცრად გამოხატა. ადამიანმა, რომელიც ამას შეესწრო და რომლის ვინაობას გაზეთი არ ასახელებს, თქვა:

*„როსელმა ხმასაც კი აუწია, გაზიდისი კი ჩუმად იდგა და ისმენდა. პასუხი არ გაუცია. აშკარა იყო, რომ როსელი ბრაზობდა და ემოციას ვერ თოკავდა".*

მიაქცევდით ყურადღებას, რომ ჯონ მიგელ ტორალ ჰარპერს უჩვეულო გვარ-სახელი აქვს. მას ტორალად იცნობენ, ფეხბურთს ამ გვარით თამაშობს, ჯონ ჰარპერი კი ინგლისელი დედითაა. ამბობენ, რომ ტორალი ახლოსაა ცხოვრებაში პირველი პროფესიული კონტრაქტის გაფორმებასთან და ისე, როგორც თავის დროზე ფაბრეგასს, ამ კონტრაქტს მასაც „არსენალი" სთავაზობს. ბედის ირონიით ტორალმა და ფაბრეგასმა უკვე მოასწრეს ერთად „ნაიკის" რეკლამაში თამაში.

ყმაწვილის გამო კლუბებს შორის დაპირისპირება იმდენად დიდია, რომ დაძაბულობით ფეხბურთის მოედანზე არა, მაგრამ ოფისებში ლიგის მერვედფინალს ნამდვილად გადააჭარბებს. „სანი" წერს, რომ „არსენალს" ტორალის გადასაბირებლად ულირსი საქციელი არ ჩაუდენია, თუმცა მისი შეძენის მტკიცე სურვილი აქვს და ესპანეთის ჩემპიონს ეს აბრაზებს. მეორე მხრივ, ნუ გამოვრიცხავთ, რომ ლონდონელები კლუბამდე ბავშვის ოჯახში მივიდნენ და „ოპერაცია" იქიდან დაიწყეს. ასეა თუ ისე, 2003 წელს, როდესაც „მეთოფეებმა" ფაბრეგასი წაიყვანეს, „ბარსელონას" ოფისში ყველაზე მეტად როსელი გაცხარდა. ის, მაშინ, ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ. „არსენალის" იმჟამინდელ ვიცე-პრეზიდენტ **დევიდ დინს** სწორედ როსელმა უთხრა პირველი უარი, თუმცა, ფაბრეგასის ისტორია რითაც დამთავრდა, კარგად მოგეხსენებათ.



კიდევ ერთი ვუნდერკინდი კატალონიიდან

**დოსიე**
**ჯონ მიგელ ტორალ ჰარპერი**
16 წლის
მარცხენა ნახევარმცველი
კლუბები: ბარსელონა (12 წლის ასაკიდან)
ესპანეთის U 16-ის წევრი

კლუბებს შორის დაძაბულობას, რასაკვირველია, ფაბრეგასის თემაც ამძაფრებს. „ბარსელონა" უკვე რამდენიმე წელიწადია ფაბრეგასის დაბრუნებაზე ლაპარაკობს, გასულ ზაფხულს კი ლაპარაკმა კონკრეტული სახე მიიღო - კატალონიელები 31 მილიონს იხდიდნენ, მაგრამ „არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** სესკი არ გაუშვა. მოგეხსენებათ, ვენგერი ფაბრეგასისთვის ძალიან ავტორიტეტული ადამიანია და მისი ნებართვის გარეშე ვერსად წავიდოდა. სხვათა შორის, ზაფხულში ვენგერიც ბრაზობდა, „ბარსა" ფაბრეგასის გადასაბირებლად ზურგიდან შემოვლის ხერხებს მიმართავსო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

**P.S.** *გუშინ ცნობილი გახდა, რომ „არსენალმა" მიზანს მიაღწია და ესპანეთის 16-წლამდელთა ნაკრების წევრი 350 ათასი ევროს სანაცვლოდ გადაიბირა (ინფორმაცია კატალონიური რადიოსადგურის რაც 1-ის). „მეთოფეებს" ტორალის თანაგუნდელის სერხი სამპერის შეძენა სურდათ, მაგრამ თავად ფეხბურთელმა იუარა ინგლისში გადასვლა. ჭორიკანა, მაგრამ ხშირად საკმაოდ ინფორმირებული „ტრაიბალ ფუტბოლი" საერთოდ საოცარ ამბავს ჰყვება: თურმე, ტორალის ტრანსფერს ხელი პერე გვარდიოლამ შეუწყო, რომელიც „ბარსელონას" თავკაც პეპ გვარდიოლას ძმა და ტორალის აგენტია.*

● ოცნებაავ, ჩემო...

# იაია ტურე: გვაცალეთ და ბარსას ვაჯობებთ

**იაია ტურე** იქადნება, რომ „მანჩესტერ სიტი" რამდენიმე წელიწადში „ბარსელონაზე" ძლიერი გუნდი იქნება, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ დღეს ამ ორი გუნდის შედარება არ შეიძლება. ეს 27 წლის ნახევარმცველი, მოგეხსენებათ, ამ სეზონამდე თავად „ბარსელონას" ფეხბურთელი იყო. ისტლენდელებმა მასში 24 მილიონი ფუნტი გადაიხადეს.

*„ჯერჯერობით „სიტის" „ბარსასთან" შედარება არ შეიძლება. კატალონიელებს უმაღლესი დონის გუნდი ჰყავთ, სადაც უმაღლესი კლასის ვარსკვლავები თამაშობენ. ჩავი, ინიესტა, მესი და დანი ალვეში ფანტასტიკური ფეხბურთელები არიან, მაგრამ ჩვენ ჯერ არ ვართ დაკომპლექტებული. აი, გავა რამდენიმე წელიწადი და არ გაგიკვირდეთ „ბარსელონაზე" ძლიერები თუ ვიქნებით. დღეისათვის კი ჩვენ წინაშე მკაფიო ამოცანა დგას: დაუღალავად უნდა ვიშრომოთ და თამაშის ხარისხი თამაშიდან თამაშამდე გავაუმჯობესოთ. ამაზე ჩემს ძმას, კოლოს და ოჯახის სხვა წევრებს ხშირად ველაპარაკები. დიახ, „სიტი" დიდებული გუნდია, მაგრამ უმაღლეს დონეზე ასასვლელად ჯერ კიდევ ბევრი შრომა გვმართებს".*

ტურე ამბობს: *„ჩვენი მთავარი მიზანი მაინც ოთხეულში შესვლაა. მომავალ სეზონში აუცილებლად ჩემპიონთა ლიგაში უნდა ვითამაშოთ, თუმცა ამ მიზნის მიღწევა ძნელია, რადგან „ლივერპული" ძალებს იკრებს და მწამს, „ჩელსიც" გამოფხიზლდება".*

კვირას „სიტიმ" ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ნოთს ქაუნთის" 5:0 მოუგეს. ორი გოლი გუნდის თილისმამ, არგენტინელმა **კარლოს ტევესმა** გაიტანა. ეს ისტლენდელთა შემადგენლობაში ჩატარებულ 73 შეხვედრაში მისი 49-ე და 50-ე გოლები გახლდათ.

*„კარლოსი ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია ვის მხარდამხარაც ოდესმე მითამაშია. მას საოცარი შედეგი აქვს. თან, ტევესი ძალიან ბევრს მუშაობს, რათა სულ უკეთ და უკეთ ითამაშოს. „ბარსელონაში" მე ლეო მესის თანაგუნდელიც ვიყავი. ვფიქრობ, ორივენი დიდი ვარსკვლავები არიან, მაგრამ მესის შეუძლია ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელი იყოს. ის, მშვიდად რომ არის, მაშინაც სახიფათოა".*



ეროვნული ბიბლიოთეკა

● რომა

# მონტელა დებიუტის მოლოდინში




იტალიურ სპორტულ პრესაში ყველაზე აქტუალური თემა „რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ვინჩენცო მონტელას** დანიშვნაა. ბუნებრივია, არ ავიწყდებათ **კლაუდიო რანიერიც**, რომელმაც რომში ჩასვლისთანავე პრესკონფერენცია მოაწყო და გუნდს თბილი სიტყვებით დაემშვიდობა:

„ორი დღეა ტელეფონის ზარი არ წყდება, მირეკავენ და მამხნევებენ, გვერდში მიდგანან, რასაც არასდროს დავივიწყებ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, რომელიც ასეთ მძიმე დროს გვერდში დამიდგა და ცხოვრება გამიადვილა. ეს დღეები კი მართლაც მძიმეა, რადგან დავტოვე გუნდი, სადაც თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში. დიდი მადლობა კლუბის პრეზიდენტს, რომელმაც მომცა საშუალება „ჯალოროსიში" მემუშავა და მთელი ამ დროის განმავლობაში, ერთხელაც არ უცდია ჩემს საქმეებში ჩარევა. ვესაუბრე მას და ძალიან თბილი სიტყვებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. არასდროს დამავიწყდება გულშემატკივართა მხარდაჭერა, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი და დღესაც ვგრძნობ. მინდა ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო გუნდს და ფეხბურთელებს თავდადებისკენ მოვუწოდო. ძალიან გამიხარდება თუ ჩვენ მიერ დასახულ ამოცანას ახალ მწვრთნელთან ერთად შეასრულებენ. ვინჩენცო მონტელას ახლოს ვიცნობ და მასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. შესანიშნავი ადამიანია და მიხარია, რომ არჩევანი მასზე შეჩერდა. მინდა ვთხოვეო გულშემატკივრებს და გუნდის მესვეურებს, რომ სეზონის ბოლომდე ნუ იქნებიან ზედმეტად მომთხოვნნი. მშვიდად მუშაობის საშუალება მისცენ და შედეგი აუცილებლად მოვა".

პირველი კომენტარი გააკეთა ვინჩენცო მონტელამ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებებს სწორედ ის მიიღებს. ეს თემა იმად გახლავთ აქტუალური, რომ ბევრის აზრით, ახალგაზრდა სპეციალისტს გაუჭირდება ფეხბურთელების დამორჩილება და მათთან ჰარმონიულად მუშაობა. მაგალითად, **ფრანჩესკო ტოტი** წლების განმავლობაში მონტელასთან ერთად თამაშობდა ფეხბურთს და გუნდის წინაშე მასზე მეტი დამსახურებაც აქვს. არც გამოცდილებით ჩამოუვარდება ახალ მთავარ მწვრთნელს და არც ავტორიტეტით. ბევრმა ეს პრობლემად მიიჩნია და მონტელასაც ახსნა-განმარტებების კეთება უწევს: „კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა დამეკისრა და მზად ვარ, ეს ტვირთი მხრებით ვზიდო. ყოველთვის მსურდა „რომას" მთავარი მწვრთნელობა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ მეგონა ეს დღე ასე მალე თუ დადგებოდა. ენთუზიაზმით ვარ აღსავსე და ერთი სული მაქვს, როდის შევუდგები საქმეს. დასაკარგი დრო აღარ გვაქვს, თავდაუზოგავად უნდა ვიშრომოთ, რომ მდგომარეობა გამოვასწოროთ და სეზონი სასურველ პოზიციაზე დავასრულოთ. აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველას აზრს ყურადღებით მოვისმენ, მაგრამ გადაწყვეტილებებს მხოლოდ მე მივიღებ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან შედეგზე პასუხს მე ვაგებ. ფეხბურთელთა უმეტესობა ჩემი ახლო მეგობარია და ეს მხოლოდ დაგვეხმარება წარმატების მიღწევაში. მადლობა პრეზიდენტ როზელა სენსის იმისთვის, რომ ნდობა გამომიცხადა - ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ნდობა გავამართლო. „რომა" ჩემი მშობლიური გუნდია და ყველაზე მეტად სწორედ ამ პოსტზე მუშაობა მსურდა. ისიც კარგად მესმის, რომ მეორედ ასეთი შანსი შეიძლება აღარც მომეცეს - ამიტომ, ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი დადგა ცხოვრებაში და გპირდებით, რომ გუნდისთვის თავს არ დავზოგავ".

მონტელას დებიუტი დღეს შედგება, „რომა" „ბოლონიას" სტუმრობს, სადაც გამოტოვებულ შეხვედრას ჩაატარებს. ბუნებრივია, რომ ახალი მწვრთნელისთვის სადებიუტო შეხვედრაში დადებითი შედეგის მოთხოვნა უგუნური საქციელი იქნებოდა და **როზელა სენსი** ყველაფერს სწორად აფასებს: „ვინჩენცომ ორი დღეა, რაც გუნდი ჩაიბარა და პირველივე შეხვედრაში დადებით შედეგს ვერ მოვთხოვთ. არადა, რთულ მდგომარეობაში ვართ და ქულები ჰაერივით გვჭირდება. იმედია, ბოლომდე დაიხარჯებიან ფეხბურთელები და „ბოლონიას" გასვლაზე დავამარცხებთ. მონტელაზე არჩევანის შეჩერებაზე ახალს და საინტერესოს ვერაფერს გეტყვით, შესანიშნავად იმუშავა პრიმევარაში და ყველა დაგვარწმუნა, რომ როგორც მწვრთნელს დიდი მომავალი აქვს. ენთუზიაზმით მოეკიდა საქმეს და ვგრძნობ, რომ თავის დაზოგვას არ აპირებს. ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება. ფეხბურთელებსაც ვესაუბრე, დადებითად შეხვდნენ ჩემს გადაწყვეტილებას და მონტელასთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. სწორედ ამის შემდეგ მივიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება და მთავარ მწვრთნელად ვინჩენცო დავნიშნეთ".

„ბოლონია" საკუთარ მოედანზე იოლად არაფერს თმობს, ასე რომ, წესით ფიცხელი ბრძოლა უნდა ვიხილოთ. ვნახოთ, როგორი იქნება მონტელას დებიუტი.

**ლაშა ნიკლაური**

● იუვენტუსი

# ანიელი: ყველა თამაში უნდა მოვიგოთ



ანდრეა ანიელი

გასულ ზაფხულს, „იუვენტუსის" მესვეურები **ლუიჯი დელ ნერისა** და **ჯუზეპე მაროტაზე** ჩავიდნენ ფსონს და ახალი გუნდის მშენებლობა მათ მიანდეს. შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მათ მიერ გაწეული შრომის დადებითად შეფასება ნამდვილად გაგვიჭირდება. გამომდინარე აქედან, მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ კლუბის მესვეურები უკმაყოფილონი არიან დელ ნერი-მაროტას ტანდემის მუშაობით და თუ მდგომარეობა უახლოეს მომავალში არ გამოსწორდა, ზომების მიღებას აპირებენ. თუ რა იგულისხმება ზომების მიღებაში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს - მით უმეტეს, **მარჩელო ლიპი** უკვე დიდი ხანია უქმად არის და საინტერესო წინადადების მოლოდინშია. პრესასთან გასაუბრება „იუვენტუსის" პრეზიდენტმა **ანდრეა ანიელიმ** განიზრახა და შემდეგი განაცხადა:

„რა თქმა უნდა, ძალიან იმედგაცრუებული ვარ იმით, რაც ლეჩეში ვიხილე და ამის შესახებ უკვე ვესაუბრე როგორც გუნდის მთავარ მწვრთნელს, ისე ფეხბურთელებს. „ინტერთან" ბრწყინვალე სტილში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ნამდვილად არ მეგონა თუ ასე უსუსურად ვითამაშებდით. ბევრი ამბობს, რომ ეს მარცხი ჯანლუიჯი ბუფონის შეცდომამ განაპირობა. პირადად მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, რადგან არ შეიძლება ერთი ადამიანი იყოს ყველაფერში დამნაშავე. ჩვენ გუნდი ვართ, ვაგებთ ერთად და ვიგებთ ერთად. სამწუხაროა, რომ მარცხს დავეჩვიეთ და ამის გამო, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. თუ გვინდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ, დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმი უნდა ავიღოთ. დიახ, ყველა შეხვედრაში უნდა გავიმარჯვოთ და სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ დავრჩებით ჩემპიონთა ლიგის მიღმა".

ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის გარეშე დარჩენა დიდ ფინანსურ ზარალთან არის დაკავშირებული და ანიელის შფოთვა სრულიად ბუნებრივია. მით უმეტეს, ტურინელებმა ბოლო პერიოდში ბიუჯეტი გვარიანად შეათხელეს - გარდა იმისა, რომ სატრანსფერო ბაზარზე დაიხარჯნენ, ახალ სტადიონს იშენებენ, რომელიც მომდევნო სეზონიდან „ბიანკონერის" საშინაო თამაშებს უმასპინძლებს.

მართალია, ჯოხი ყოველთვის მწვრთნელზე ტყდება, მაგრამ თავისი წილი პასუხისმგებლობა ფეხბურთელებსაც აკისრიათ. სწორედ ამაზე საუბრობს „იუვენტუსის" ნახევარმცველი, **კლაუდიო მარკიზიო**: „ძალიან გაბრაზებულები ვართ და ერთი სული გვაქვს როდის დაიწყება მომდევნო თამაში. ლეჩეში სამი ქულის მოსაპოვებლად ჩავედით და უქულოდ გამოვბრუნდით, ამას არავინ ელოდა. მიზეზი? - ვფიქრობ, რომ გრანდისთვის დამახასიათებელი თვისებები, მაგალითად ცივსისხლიანობა გვაკლია. უნდა გავითავისოთ, რომ „იუვენტუსის" მაისურა გვაცვია და საკუთარი ძალების ბოლომდე ვირწმუნოთ. ზედმეტი არაფერი ვარგა და კარგად ვიცი, რომ თავდაჯერებულობამ შეიძლება გაგვიფუჭოს კიდეც საქმე, მაგრამ ამ შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობაში ვართ. თითქოს არ გვჯერა საკუთარი თავის, რაც დათვურ სამსახურს გვიწევს. „ლეჩესთან" მარცხმა მართლა ძალიან გაგვაბრაზა და იქნებ, ამან მაინც გვიშველოს. აქვე, მინდა მოვუწოდო ჟურნალისტებს, რომ მხოლოდ მწვრთნელის კრიტიკისგან თავი შეიკავონ, ფეხბურთელებსაც ჩვენი წილი პასუხისმგებლობა გვაკისრია"

**ლაშა ნიკლაური**

● ლივერპული



ენდი ქეროლი ახალ გუნდში დებიუტს ელის

# ქეროლი მალე დაბრუნდება

## ხმები პრინცესას შესახებ, ვინც ენფილდს გმირი წაართვა

მინდორზე **ენდი ქეროლის** დაბრუნება იმაზე ადრე იგეგმება, ვიდრე ამას "ლივერპულის" ექიმები ელოდნენ. ვრცელდება ხმები, რომ მერსისაიდელები მომავალი სეზონისთვის "სელტიკიდან" ჰონდურასელი მარცხენა მცველის, 24 წლის **ემილიო ისაგირეს** გადაბირებას გეგმავენ. ყველაფერ ამაზე ქვემოთ მოგითხრობთ.

არის შანსი, რომ ყველაზე ძვირად ღირებული ბრიტანელი ფეხბურთელი ენდი ქეროლი 27 თებერვალს, "ვესტ ჰემთან" 28-ე ტურის მატჩში სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდეს. ექსნიუკასლელის გამოჯანმრთელების პროცესი ექიმების მიერ დადგენილ გრაფიკზე სწრაფად მიდის, გვამცნობს ბრიტანული "მირორი". შეგახსენებთ, რომ "ლივერპულმა" 22 წლის ცენტრფორვარდი "სენტ ჯეიმს პარკიდან" 35 მილიონ ფუნტად იანვრის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს გადაიბირა. თუმცა ენდის ბარძაყის ტრავმის გამო გუნდში ოფიციალური დებიუტი ჯერ არ ჰქონია. ფეხბურთელმა გუნდთან ერთად გუშინ უკვე სრულფასოვნად ივარჯიშა და ამას გართულება არ მოჰყოლია. თავდაპირველად ქეროლის დაბრუნებას 6 მარტს თვით "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ ვარაუდობდნენ, მაგრამ.... რაც შეეხება "ჩაქუჩებთან" დაპირისპირებას, თავისთავად ცხადია, რომ თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდება, თუმცა აუცილებლად იქნება სათადარიგოთა შორის. როგორც პრესა ვარაუდობს, ეს უდიდესი ფსიქოლოგიური მუხტი იქნება მერსისაიდელებისთვის, რადგან სწორედ ენდი მიიჩნევა იმ ფეხბურთელად, ვის გარშემოც შეიძლება მომავალი დიდი "ლივერპულის" აშენება. ინგლისის მრავალგზის ჩემპიონებს თეორიულად ამ სეზონშივე შეუძლიათ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა. ამ შანსისთვის კი ისინი ბოლომდე იბრძოლებენ.

ენდი ქეროლი იესპიენ-ის კორესპონდენტს ახალ კლუბში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებზე ელაპარაკა. მის ნაუბარს აქვე გთავაზობთ: "პროფესიონალი ვარ და თავს უკვე ლივერპულელად ვგრძნობ. თუმცა "ნიუკასლში" ამდენი წლის გატარების შემდეგ იქაურობა ჯერ კიდევ მენატრება. ეს განა რა გასაკვირია?! იმ ვითარებამ, რაც "ლივერპულში" დამხვდა, ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. საერთო ატმოსფერო საოცრად კეთილშობილურია და უკვე ვხვდები, რომ ამ ადამიანების ღალატი არ შეიძლება. უბრალოდ წარმატების მიღწევა ცოტაა, ჩვენი გულშემატკივრები ბევრჯერ უნდა გავახაროთ".

ამასობაში თუ "დეილი მეილს" ვენდობით, მერსისაიდზე უკვე სერიოზულად მუშაობენ სამომავლო გეგმებზე. **კენი დალგლიშის** რჩევით მენეჯერები "სელტიკთან" მოლაპარაკებას უახლოეს მომავალში დაიწყებენ და ემილიო ისაგირეს ყიდვას შეეცდებიან. "ტუტომერკატო" კი წერს, რომ "დიდი კენის" "ოლდ ფირმ დერბიზე" (სელტიკი-რეინჯერსი) დასწრების ერთადერთი მიზანი სწორედ სამხრეთამერიკელის საქმეში ნახვა იყო. ინგლისელებს ემილიოს შეძენა სულ რაღაც 3 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ იმ ჭორების შესახებ, რომელიც ამ დღეებში გავრცელდა. მაშ ასე: აქამდეც ცნობილი იყო, რომ **რომან აბრამოვიჩის** უფროს ქალიშვილ **ანა აბრამოვიჩს** წლების განმავლობაში განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა **ფერნანდო ტორესთან**. ერთხელ საქმე იმაზეც მიდგა, რომ ანამ სახლიდან ლივერპულში გაქცევა სცადა და ის მშობლებმა გზიდან მოაბრუნეს. გაზეთები ქირქილებენ, რომ შესაძლოა რუს მილიარდერს "ელ ნინიო" მხოლოდ "ჩელსის" გაძლიერების მიზნით არ შეეძინაო.

რას არ გაიგებ კაცი...

**ლევან ბიბილაშვილი**

სკანდალი ხორვატიაში



უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი და ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის ლეგიტიმური პრეზიდენტი ვლატკო მარკოვიჩი

# ფიფამ და უეფამ შტიმაცი არ აღიარეს

## ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის ლეგიტიმური პრეზიდენტი ისევ ვლატკო მარკოვიჩია

უეფამ და ფიფამ ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების შედეგები არალეგიტიმურად ცნეს და ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალური წერილით შეატყობინეს, რომ **იგორ შტიმაცს** ახალ პრეზიდენტად არ ცნობენ. ფიფასა და უეფას ოფიციალურ განმარტებაში ნათქვამია, რომ ხორვატიაში ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებმა არ დააკმაყოფილა ფიფასა და უეფას რეგლამენტი, რის გამოც, ევროპისა და მსოფლიო ფეხბურთის ასოციაციები ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის კანონიერ პრეზიდენტად დღესაც **ვლატკო მარკოვიჩს** სცნობენ.

არჩევნები 18 თებერვალს ჩატარდა და ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რა კანონდარღვევებს ჰქონდა ადგილი. ფაქტია, რომ ფიფამ და უეფამ შტიმაცი ახალ პრეზიდენტად არ აღიარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხორვატული ფეხბურთის ლეგიტიმური და ოფიციალური მესაჭე ისევ მარკოვიჩია.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## სიომინი უკრაინის ნაკრებში

რუსი სპორტული ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ უახლოეს თვეებში უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების თავკაცად კიევის "დინამოს" მთავარ მწვრთნელ **იური სიომინს** დაასახელებს. აღნიშნული ინფორმაციის წყაროს ისინი არ ასახელებენ. გუნდს ჯერ კიდევ ჰყავს მოქმედი დამრიგებელი **იური კალიტვინცევი**, თუმცა მას დროებითი დამრიგებლის სტატუსი აქვს. მის შემცვლელად **მირჩა ლუჩესკუ, ოლეგ ბლოხინი** და **მარჩელო ლიპი** სახელდებოდნენ, თუმცა მათთან მოლაპარაკება ოდნავადაც არ წაწეულა წინ და როგორც ჩანს, უკრაინელებმა შედარებით რეალურ ვარიანტებს მოკიდეს ხელი.

## რობი კინი ერთი თვით

"ვესტ ჰემის" ირლანდიელმა ფორვარდმა **რობი კინმა** გუნდის ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, რისი წყალობითაც უახლოეს ერთ თვეს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ 30 წლის ფეხბურთელი "ჩაქუჩებში" "ტოტენჰემიდან" არენდის წესით არის მივლენილი.

## პროგნოზებს უფრთხიან

"ბირმინგემის" 28 წლის ბელარუსმა ვარსკვლავმა **ალექსანდრ გლებმა** განაცხადა, რომ "შეფილდ უენსდეისთან" სათასო შეხვედრაში (3:0) მიღებული ტრავმის შესახებ ექიმებს დასკვნის გაკეთება ჯერ კიდევ უჭირთ. *"როცა მეტოქემ მარჯვენა მხრიდან მუხლში ჩამარტყა, ჩემამდე საშინელმა ხმამ მოაღწია და ტკივილი ვიგრძენი. მაშინვე ვიგრძენი, რომ მინდორს დამოუკიდებლად ვერ დავტოვებდი. ახლა მოძრაობა მხოლოდ კასტილებით შემიძლია. ორშაბათ დილას კლინიკას ვეწვიე გამოკვლევებზე. ექიმებმა ტომოგრაფიის სურათი ლონდონში კოლეგებს გადაუგზავნეს. მხოლოდ ნასადილევს შევიტყვე, რომ საბოლოო პასუხისთვის დამატებითი გამოკვლევებია საჭირო და რამდენიმე დღეში ლონდონს უნდა ვეწვიო. ბირმინგემში ჯერჯერობით მიახლოებით პროგნოზსაც კი არავინ აკეთებს,"* – განუცხადა გულდაწყვეტილმა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს, რადგან მას კვირას "არსენალთან" ლიგის თასის ფინალური შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

## ისე ბექჰემი, ისევ ტოტენჰემი

**დევიდ ბექჰემზე** უბერებელიაო, ვერავინ იტყვის, რადგან მისმა თამაშმა უკვე რა ხანია დაკარგა ძველი ბრწყინვალება. მაგრამ **ჰარი რედნაპს** ვერც იმას დავაბრალებთ, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს არასაფეხბურთო ღირსებების გამო იწვევს გუნდში. არადა, უკვე თვეებია, მიდის ლაპარაკი ბექზისა და "დეზების" შესაძლო რომანზე. "ლოს ანჯელეს გალაქსიმ" ვეტერანის გაშვებაზე ლონდონელებს კატეგორიული უარი უთხრა და მათი დამოყვრების ერთადერთი შანსი ამერიკელებთან კონტრაქტის დასრულების შემდეგ თუ გაჩნდება. ეს დღე შორს ნამდვილად არ არის. დევიდის კონტრაქტს ვადა ნოემბერში გასდის. სწორედ ამით დაიმედებულმა განუცხადა "სქაი სპორტსს" "ტოტენჰემის" თავკაცმა, რომ დევიდთან სრულფასოვანი ხელშეკრულების გაფორმების საკმაოდ დიდი ალბათობა არსებობსო.

## ფალკაო ინტერში

"ინტერს" "პორტუს" 24 წლის თავდამსხმელის, კოლუმბიელი **რადამელ ფალკაოს** შეძენა სურს. ამის შესახებ პორტუგალიური "ა ბოლა" იუწყება. ამასთან გამოცემა იმასაც აღნიშნავს, რომ მილანელები სამხრეთამერიკელს უდინეზელი **ალექსის სანჩესის** ალტერნატივად განიხილავენ. მისით დაინტერესებულები არიან ასევე "არსენალი", "ტოტენჰემი" და "რეალი". ფეხბურთელის განცხადებით კი ის პორტუგალიაში თავს არაჩვეულებრივად გრძნობს და სხვაგან ბედის ძიების სურვილი ოდნავადაც არ აწუხებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ჩავი კუნძულზე ვერ წავა

„ბარსამ" ცოტა ხნით **ჩავი** დაკარგა, ბილბაოს „ატლეტიკთან" 2:1 დასრულებულ მატჩში მან ფეხი დაიზიანა. გადაწყდა, რომ ყოველგვარი გართულებიდან თავის ასაცილებლად, ჩავი ბოლომდე დაასრულებს მკურნალობის კურსს და შემდეგ ტურში „მალიორკას" წინააღმდეგ არ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას" გადამწყვეტი საპასუხო მატჩი აქვს ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ლონდონის „არსენალთან". მოკლედ, ბალეარის კუნძულებზე ლიდერს ძალიან გაუჭირდება - **პეპ გვარდიოლას** არ ეყოლება ძირითადი გოლკიპერი **ვიქტორ ვალდესი**, კაპიტანი **კარლეს პუიოლი** და დისკვალიფიცირებული **დანი ალვეში**.

## იტალიელი ესპანეთს აქებს, ეკვადორელს იტალიაში მიეჩქარება

იტალიისნაკრებისა და „ვილიარეალის" ფორვარდმა **ჯუზეპე როსიმ** „გაძეტა დელო სპორტს" განუცხადა, რომ ევროპაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს ესპანეთში თამაშობენ: *„ფეხბურთში ბურთია მთავარი, უნდა ხშირად შეეხო მას, დაიმორჩილო, კარგი პასებით მოამარაგო თანაგუნდელები. ესპანეთში ამის გაცილებით მაღალი კულტურაა, ვიდრე იტალიაში. რა ვქნა, პატრიოტიზმი კი მეძალება, მაგრამ ქვეყანაში, სადაც სტადიონები მიგდებული და სანახევროდ ცარიელია, სადაც მხოლოდ რამდენიმე გუნდი თამაშობს კარგად, კარიერის გატარება არ მხიბლავს".*

სამაგიეროდ, ესპანეთში, კერძოდ კი „ლევანტეში" მოთამაშე ეკვადორელმა **ფელიპე კაისედომ** განაცხადა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა სერია A-ში. *„ჩემი ოცნებაა იტალიაში, კერძოდ კი მილანში თამაში, იქ ბევრი მეგობარი მყავს და ერთხელაც, ალბათ, მეც მათ შევუერთდები"*, - განაცხადა ვალენსიური კლუბის ბომბარდირმა.

## მოუ ინგლისში შეიჭრა

„ევერტონის" ნახევარმცველი **ჯეკ როდუელი** „სამეფო კლუბის" ინტერესთა სფეროში მოექცა. 19 წლის როდუელი ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ნახევარმცველად მიიჩნევენ. ბევრი დაწერილა მის სავარაუდო ტრანსფერზე „მანჩესტერ იუნაიტედში", მაგრამ გუშინ AШ-მა მკითხველს მოულოდნელი ვერსია შესთავაზა - როდუელის თამაშით „რეალის" პორტუგალიელი თავკაცი **ჟოზე მოურინიო** მოხიბლულა და ზაფხულში მისი ტრანსფერის საჭიროებაში „რეალის" ბოსებიც თითქმის დაურწმუნებია. მერსისაიდური კლუბი როდუელს დაახლოებით 18 მილიონ ევროს აფასებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჯეკ როდუელი

ესპანური მედია და ობიექტურობა

## სადამდე შეიძლება დაეცე...

ესპანური სპორტული მედია, ფაქტობრივად, ორ ბანაკად არის გაყოფილი: „ბარსელონას" ქომაგებს ისეთი გამოცემების ობიექტურობისა არ სჯერათ, როგორიც „მარკა" და AS-ია, ხოლო დედაქალაქში ამრეზით უყურებენ „დონ ბალონსა" და „სპორტს". სხვათა შორის, ორივე მხარეს ამის ობიექტური მიზეზი აქვს. ამიტომაც არის, რომ ტურის სიმბოლური ნაკრების შერჩევისას უფრო ნეიტრალურ წყაროს ვიყენებთ.

აი, ნათელი მაგალითი, როგორ სცოდავს ხანდახან ესპანური მედია: ზედა ფოტო AШ-მა გაზეთში დაბეჭდა, რათა მკითხველისთვის აეხსნა, რომ „ბილბაოს" კარში პირველი გოლი ოფსაიდიდან გავიდა. ქვედა ფოტო კი ვიდეოგამეორების რეალური „სქრინშოთია", წითელი ისრით მონიშნული ბასკი მცველი AШ-ის ფოტოზე „გაქრა". „ტოტალ ბარსა" რუბრიკით უკომენტაროდ აქვეყნებს ამ ფოტოს, ერთადერთი განმარტებით: „სადამდე შეიძლება დაეცნენ"...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ამბები

## ტრავმები იტალიაში



ფაბრიციო მიკოლი

"პალერმოს" ლიდერი **ფაბრიციო მიკოლი** უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ფეხბურთს ვერ ითამაშებს. ფეხბურთელმა აქილევსის მყესი გაიჭიმა. მან დაზიანება "ბოლონიასთან" შეხვედრაში (0:1) მიიღო. თავდამსხმელის თქმით, მან ტკივილი ჯერ კიდევ შეხვედრის დასაწყისში იგრძნო, თუმცა მაინც გადაწყვიტა შეხვედრის გაგრძელება. შედეგი კი აი რა მიიღო... ამასობაში ჯანმრთელობის პრობლემები მოაგვარა და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშს დაუბრუნდა სიცილიელთა მეორე ფორვარდი **მაურისო პინილია**. აღნიშნულ ინფორმაციას "ფუტბოლ იტალია" ავრცელებს.

იმავე გამოცემამ საღამოს კიდევ ორი ინფორმაცია გაავრცელა ტრავმებთან დაკავშირებით: "ჯენოას" შუახაზელი **ომარ მილანეტო** "რომასთან" 4:3-ზე მოგებულ შეხვედრაში დაშავდა და მინდორს ერთი თვე ველარ გაეკარება.

ასევე ერთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს "კატანიას" ბრაზილიელი შემტევი, 23 წლის **რაფაელ მარტინიო**.

## ალი მაკოისტი სამწვრთნელო ასპარეზზე

შოტლანდიური ფეხბურთის ლეგენდა, 48 წლის **ალი მაკოისტი** 2011-12 წლების სეზონიდან "რეინჯერსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **უოლტერ სმიტს** შეცვლის. როგორც სააგენტოები იუწყებიან, "პროტესტანტების" შემადგენლობაში 551 შეხვედრაში 355 გოლის გამტანმა თავდამსხმელმა "ჩაფრებთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ვეტერანი სმიტის სამწვრთნელო შტაბში შედიოდა. ამ პერიოდში მათ ორი საჩემპიონო ტიტული მოიპოვეს. ერთია, რომ მაკოისტს დამოუკიდებელი სამწვრთნელო გამოცდილება ჯერ არასოდეს ჰქონია.

**ლევან ბიბილაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

**ბლეკპული–ტოტენჰემი 3:1**

**ბლეკპული:** კინგსონი - ევატი, კეთკარტი, ბაპტისტი, ერდლი - სილვესტრი (58. საუთერნი) ვონი, ადამი, კემპბელი - ფილიპსი (63. ბიტი), კორნილენკო (63. ორმეროდი).

**ტოტენჰემი:** გომეში - ბასონგი (კრაუჩი 73), დოუსონი, გალასი, ასუ-ეკოტო - პალასიოსი (45. ჯენასი), მოდრიჩი, პიენაარი (59. კრანჩარი), ლენონი, - დეფო, პავლიუჩენკო.

**გოლები:** 1-0 ადამი (18), 2-0 კემპბელი (44), 3-0 ორმეროდი (80), 3-1 პავლიუჩენკო (90)

**გაფრთხილება:** ევატი, ადამი

**კუთხური:** 1-7 **ჯარიმა**- 11-8 **თამაშგარე**- 0-3 **კარში დარტყმა**- 10(4)-26(5) **ბურთის ფლობა**- 51%-49%

**მაყურებელი:** 16 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 26 | 16 | 9 | 1 | 57-25 | 57 |
| 2. არსენალი | 26 | 16 | 5 | 5 | 56-27 | 53 |
| 3. სიტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43-24 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38-31 | 47 |
| 5. ჩელსი | 26 | 13 | 6 | 7 | 46-22 | 45 |
| 6. ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 35-32 | 39 |
| 7. სანდერლენდი | 27 | 9 | 10 | 8 | 33-33 | 37 |
| 8. ბოლტონი | 27 | 9 | 9 | 9 | 38-37 | 36 |
| 9. ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 42-38 | 35 |
| 10. სტოკი | 26 | 10 | 3 | 13 | 31-33 | 33 |
| 11. ბლექბერნი | 27 | 9 | 5 | 13 | 34-42 | 32 |
| 12. ბლეკპული | 27 | 9 | 5 | 13 | 42-51 | 32 |
| 13. ფულჰემი | 27 | 6 | 13 | 8 | 28-28 | 31 |
| 14. ევერტონი | 26 | 6 | 12 | 8 | 33-36 | 30 |
| 15. ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25-35 | 30 |
| 16. ასტონ ვილა | 27 | 7 | 9 | 11 | 31-46 | 30 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 27 | 7 | 7 | 13 | 35-52 | 28 |
| 18. უიგანი | 27 | 5 | 12 | 10 | 27-45 | 27 |
| 19. ვესტ ჰემი | 27 | 5 | 10 | 12 | 30-48 | 25 |
| 20. ვულვზი | 27 | 7 | 4 | 16 | 27-46 | 25 |

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების წინ

# ბაიერნს შურისძიების სურვილი კლავს

## არიენ რობენი: დარწმუნებული ვარ, რომ გოლებს გავიტანთ!

დღეს, 23:45

**ინტერი (იტალია) VS ბაიერნი (გერმანია)**

**23 თებერვალი. მილანი. სან სირო**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინტერი (4-3-2-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, რანოკია, კივუ - ხ. ძანეტი, კამბიასო, მოტა - სტანკოვიჩი, სნეიდერი - ეტო'ო.

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი - ლამი, ტიმოშჩუკი, ბადშტუბერი, ლუის გუსტავო - პრანიჩი, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, რიბერი - გომესი.

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)



მომენტი შარშანდელი ფინალიდან, რომელშიც „ინტერმა“ „ბაიერნი“ 2:0 დაამარცხა

გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ მატჩს, რომელიც მერვედფინალური სტადიის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრაა, „ბაიერნის“ გულშემატკივრები უფრო დიდი მონდომებით ელოდებიან, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებულის, მილანის „ინტერის“ ტიფოზერია. მიზეზი ყველასათვის ნათელია: გერმანელებს შურისძიების სურვილი კლავთ! მიუნხენში, რა თქმა უნდა, არავის დავიწყებია შარშანდელი ფინალი და ის, რომ „ინტერმა“ რეკორდმაისტერი 2:0 დაამარცხა.

შარშანდელის შემდეგ, „ინტერში“ გაცილებით მეტი რამ შეიცვალა, ვიდრე მიუნხენურ კლუბში. მარტო ის რად ღირს, რომ „ნერაძურიმ“ მაისის შემდეგ ორი მწვრთნელი გამოიცვალა - **ჟოზე მოურინიოს** შემდეგ „ინტერს“ ჯერ **რაფაელ ბენიტესი** წვრთნიდა, რომელმაც იმედები ვერ გაამართლა, ახლა კი სათავეში ბრაზილიელი **ლეონარდო** უდგას. ამ უკანასკნელის ხელში მილანური კლუბი აშკარად გამოსწორდა, რაზეც თუნდაც ბოლო შედეგები მეტყველებს: „ინტერმა“ უკანასკნელი 13 მატჩიდან 11-ის მოგება შეძლო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თამაშის ხარისხის მხრივ იტალიის მოქმედი ჩემპიონი მაინცდამაინც ვერ ბრწყინავს. გასულ უქმეებზე „ნერაძურიმ“ „კალიარი“ მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხა და ამ შეხვედრაში ლეონარდომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა - რა თქმა უნდა, „ბაიერნთან“ მატჩისთვის, რომელიც „ინტერისთვის“ სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თამაშია.

„კალიარისთან“ არც „ბაიერნის“ ყოფილ მცველს, **ლუსიოს** უთამაშია, დღეს კი აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში იქნება და სხვათა შორის, ბრაზილიელი დარწმუნებულია, რომ „ინტერი“ მის ყოფილ გუნდს ისევ დაამარცხებს. ლეონარდო დაცვის ცენტრში ლუსიოს გვერდით ვერ ამოუყენებს **ვალტერ სამუელს**, რომელსაც მძიმე ტრავმა აქვს - არგენტინელი უკანახაზელისთვის ეს სეზონი უკვე დამთავრებულია. სწორედ ამიტომ შეიძინეს მილანელებმა იანვარში ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მცველი **ანდრეა რანოკია,** რომელიც სამუელს კარგად ცვლის. დღეს „ინტერის“ რიგებში ვერც შარშანდელი ფინალის გმირს, **დიეგო მილიტოს** ვიხილავთ - გეხსომებათ, ფინალში მან დუბლი შეასრულა. მილიტოს მყესები აქვს გაწყვეტილი და სამუელის დარად, მასაც ხანგრძლივი პაუზა აქვს გამოწერილი. „ნერაძურიმ“ იანვარში გენუის „სამპდორიადან“ იტალიის ნაკრების თავდამსხმელი **ჯამპაოლო პაცინი** კი იყიდა, მაგრამ ამ უკანასკნელს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს, რადგან ამ ტურნირზე უკვე ითამაშა გენუური კლუბის მაისურით. ასე რომ, ლეონარდო პაცინის მხოლოდ სერია A-ში იყენებს.

„ბაიერნის“ მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** გაცილებით ნაკლები, უფრო სწორად, ოდენ ერთი საკადრო პრობლემა აქვს. რეკორდმაისტერს მხოლოდ ხორვატი ფორვარდი **ივიცა ოლიჩი** ჰყავს ტრავმირებული და ეს უკანასკნელი ამ სეზონში ვერცერთ თამაშს ვერ ჩაატარებს. რაც მთავარია, უკვე დიდი ხნის გამოჯანმრთელებულები არიან და საკმაოდ კარგ ფორმაში იმყოფებიან მიუნხენური გრანდის ლიდერები **არიენ რობენი** და **ფრანკ რიბერი**. გასულ უქმეებზე, „მაინცთან“ მოგებული მატჩის (3:1) დროს მეკარე **თომას კრაფტმა** და გოლეადორმა **მარიო გომესმა** მცირე ტრავმები კი მიიღეს, მაგრამ დღევანდელი თამაშისთვის ორივე გამოჯანმრთელდა. ასე რომ, „ჯუზეპე მეაცაზე“ კრაფტიც ითამაშებს და გომესიც. „ბაიერნი“ საკმაოდ კარგ ფორმაშია და ერთადერთი პოზიცია, რომელსაც პრობლემური ეთქმის, დაცვის ხაზია. ვან გაალი დაცვის ცენტრში ნომინალური საყრდენი ნახევარმცველის, **ანატოლი ტიმოშჩუკისა** და ახალგაზრდა **ჰოლგერ ბადშტუბერის** ტანდემს ათამაშებს, რის გამოც ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ სხვა გზა ფაქტობრივად არც აქვს, რადგან სათადარიგოთა სკამზე შარშანდელი ფინალის ანტიგმირი და მრავალგზის შერცხვენილი **დანიელ ვან ბუიტენი** და ასევე ძალიან უნიათო **ბრენო** უზის.

*„ინტერი“ არც შარშან იყო დაუმარცხებელი გუნდი და მით უმეტეს არც ახლაა. ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლის ძალიან კარგი შანსი გვაქვს. ჩემი აზრით, ფინალი „ინტერმა“ კი არ მოიგო, ჩვენ წავაგეთ. ისიც ცხადია, რომ „ინტერი“ ახლა შედარებით უფრო სუსტი გუნდია,“* - ეს „ბაიერნის“ შემტევი ნახევარმცველის, **თომას მიულერის** სიტყვებია.

*„ორივე გუნდი ძალიან ძლიერია და ამ დუელში ფავორიტი არ არსებობს. ფინალის შემდეგ „ბაიერნში“ ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა და თუ შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვავლენთ, ვფიქრობ, მეოთხედფინალში მაინც ჩვენ გავალთ,“* - აცხადებს ლუსიო.

*„არა მგონია, რომ თამაში ზუსტად ისეთი გამოვიდეს, როგორიც ფინალი იყო. რალაც-რალაცები ჩვენთანაც შეიცვალა, „ინტერში“ კი უფრო მეტი ცვლილება მოხდა. ჩემი აზრით, მილანში უნდა მოვიგოთ, ფრეზე თანახმა არ ვარ. კონტრშეტევებზე ვითამაშებთ და რატომღაც მჯერა, რომ ერთ-ორ გოლს აუცილებლად გავიტანთ. ფინალში „ინტერი“ არ გვიტევდა და ჩვენს შეცდომებს ელოდა, ახლა კი იგივე ჩვენ უნდა გავუკეთოთ,“* - ეს კი რობენის მოსაზრებაა.

# ფერგიუსონი დეშამს აფასებს

## სერ ალექსი: მანჩესტერი ფავორიტია, მაგრამ...

დღეს, 23:45

**მარსელი (საფრანგეთი) VS მანჩესტერი (ინგლისი)**

**23 თებერვალი. მარსელი. ველოდრომი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ტაივო, მბია, დიავარა, ჰაინცე - ე. სისე, ლუჩო გონსალესი, შეირუ - აიევი, ბრანდაო, ვალბუენა.

**მანჩესტერი (4-2-3-1):** ვან დერ სარი - რაფაელ და სილვა, ვიდიჩი, სმოლინგი, ევრა - ქერიკი, ფლეტჩერი - ნანი, სქოულზი, გიგზი - რუნი.

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

„ინტერი“-„ბაიერნისგან“ განსხვავებით, ამ წყვილში ფავორიტის ვინაობა მერვედფინალის წილისყრის დასრულებისთანავე ცხადი იყო, მაგრამ მანკუნიანელებს არ უნდა დაავიწყდეთ ერთი რამ: „მარსელში“ იციან, როგორ უნდა ითამაშონ საკუთარ მოედანზე ინგლისური გრანდის წინააღმდეგ, რაც ველოდრომელებმა შემოდგომაზე, „ჩელსისთან“ პაექრობაში დაამტკიცეს. რაკი პირველი მატჩი „ველოდრომზე“ იმართება, ფრანგები ვალდებულები არიან, შეუტიონ, რაც მათ ამოცანას მნიშვნელოვნად ართულებს, რადგან „მანჩესტერს“ ამ სეზონში ძალიან ძლიერი უკანა ხაზი ჰყავს.

„მარსელს“ სეზონის უმნიშვნელოვანესი თამაშის წინ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს: დიდი ხნის ტრავმირებული **სესარ ასპილიკუეტას** და გუნდის ლიდერის, **ანდრე-პიერ ჟინიაკის** არყოფნა „ოლიმპიკისთვის“ დიდი დანაკლისია. ფრანგები ასპილიკუეტას არყოფნას დიდი ხნის შეგუებულები იყვნენ, აი, ჟინიაკმა კი ტრავმა ამ უქმეებზე მიიღო. კითხვის ნიშნის ქვეშაა **ლოიკ რემის** თამაშიც, სამაგიეროდ, ფრანგულ გრანდს **მატიო ვალბუენა** გამოუჯანმრთელდა. ეს უკანასკნელი ორშაბათიდან სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ლოგიკურად დღეს ძირითად შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „მარსელის“ თავკაცი **დიდიე დეშამი** შემტევ სტრატეგიას აირჩევს და მისი ტაქტიკური სქემა „ოლიმპიკისთვის“ მრავალგზის ნაცადი 4-3-3 იქნება. ველოდრომელებმა ჯგუფურ ეტაპზე „ჩელსი“ სწორედ ამ ტაქტიკით დაამარცხეს.



ალექს ფერგიუსონი

დიდიე დეშამი

„მანჩესტერის“ მთავარი მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** კი ჩემპიონთა ლიგის გასვლით შეხვედრებში უმეტესად 4-5-1 ტაქტიკურ სქემას ირჩევს ხოლმე და აქცენტს ნახევარდაცვაზე აკეთებს. დიდი შანსია, რომ „იუნაიტედმა“ „ველოდრომზეც“ ასეთი სქემით იასპარეზოს. თუ ასე მოხდა, მაშინ **დიმიტარ ბერბატოვი** აუცილებლად სათადარიგოთა სკამზე დაჯდება და „მანჩესტერი“ მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდით **(უეინ რუნი)** ითამაშებს. ფერგის **ანტონიო ვალენსია** კი გამოუჯანმრთელდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ არ არის ისეთ ფორმაში, რომ სერ ალექსმა დღეს სასტარტოში ათამაშოს. დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა დაცვის ბურჯ **რიო ფერდინანდის** თამაშიც, რომელსაც **კრის სმოლინგი** შეცვლის.

შეგახსენებთ, რომ „მარსელმა“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ასპარეზობა ძალიან ცუდად დაიწყო - ჯგუფში პირველი ორი თამაში წააგო და მერვედფინალის მიღმა დარჩენის საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ დეშამის შეგირდებმა მერე ძალიან მოინდომეს და დარჩენილი ოთხი მატჩიდან ოთხივე მოიგეს - თანაც, იმ ოთხ თამაშში არცერთი გოლი არ გაუშვიათ (ბურთების შეფარდება: 12:0). „ოლიმპიკი“ საფრანგეთის ჩემპიონატშიც საკმაოდ კარგად გამოიყურება: დეშამის შეგირდებმა ბოლო 12 თამაშიდან მხოლოდ ერთი წააგეს. ამ უქმეებზე კი „მარსელმა“ „სენტ ეტიენი“ 2:1 დაამარცხა.

*„მანჩესტერი“ საკუთარ მოედანზე ძალიან ძლიერია. შესაბამისად, თუ მეოთხედფინალში გასვლა გვინდა, „იუნაიტედს“ „ველოდრომზე“ აუცილებლად უნდა მოვუგოთ, რადგან „ოლდ ტრეფორდზე“ წარმატების მიღწევა ძალიან ძნელი იქნება. ფეხბურთელები ძალიან მოტივირებულები არიან და იმედი მაქვს, რომ სასურველ შედეგს მივაღწევთ,“* - განაცხადა დეშამმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

„მანჩესტერმა“ ჯგუფურ ეტაპზე გაცილებით შთამბეჭდავად იასპარეზა: ფერგის ბიჭებმა 6 თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს და არცერთხელ არ დამარცხებულან. პრემიერლიგაში ფერგიუსონის გუნდს მხოლოდ ერთი წაგება აქვს და სატურნირო ცხრილს დამაჯერებლად ლიდერობს.

„მარსელი“ და „მანჩესტერი“ აქამდე ერთმანეთს მხოლოდ ორჯერ შეხვდრიან - 1999/2000 წლების სეზონში ისინი ერთ ჯგუფში იყვნენ. „იუნაიტედი“ მაშინ ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული იყო. „ველოდრომზე“ „მარსელმა“ **ვილიამ გალასის** გოლით 1:0 მოიგო, „ოლდ ტრეფორდზე“ კი მანკუნიანელებმა გაიმარჯვეს (2:1, გოლები: **კოული, სქოულზი - ბაკაიოკო**).

*„დიდიე დეშამმა „მარსელში“ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა და ამ სპეციალისტს ძალიან ვაფასებ. „ოლიმპიკისა“ და „ჩელსის“ თამაში რამდენჯერმე ვნახე და დავრწმუნდი, რომ „მარსელი“ ძალიან სერიოზული მეტოქეა. თუმცა თუ ჩვენ ჩვენებურად ვითამაშებთ, მეოთხედფინალში აუცილებლად გავალთ,“* - ეს ფერგიუსონის სიტყვებია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# ფრანგთა დღე ლიგაში

## ჟოზესა და რეალს შვებით ამოსუნთქვა არ აცალეს

**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

**ლიონი (საფრანგეთი) 1:1 რეალი (ესპანეთი)**

**22 თებერვალი. ლიონი. სტად დე ჟერლანი. 40 300 მაყურებელი**

**ლიონი (4-5-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ლოვრენი, სისოხო - ბაშტოში (69. ბრიანი), გურკუფი, ტულალანი, კალსტრიომი (77. პიანიჩი), დელგადო (69. პიე) - გომისი.

**რეალი (4-3-2-1):** კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო, არბელოა - დი მარია, ჩაბი ალონსო, ხედირა (68. ლ. დიარა) - იოზილი (75. მარსელო), რონალდო - ადებაიორი (64. ბენზემა).

**გოლები:** 0:1 ბენზემა (65), 1:1 გომისი (83)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: რეალი
პირველი კუთხური: ლიონი
პირველი ჯარიმა: ლიონი
პირველი გაფრთხილება: რეალი

| | | |
|---|---|---|
| 13 (3) | დარტყმა | 7 (3) |
| 20 | ჯარიმა | 17 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 44% | ბურთის ფლობა | 56% |

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)



ჩემპიონთა ლიგის წუხანდელი მატჩები დაახლოებით ისეთი სცენარით წარიმართა, როგორსაც ველოდით - „ლიონსა" და „რეალს" შორის დაძაბული ბრძოლა იყო და ამ წყვილში გამარჯვებულს საპასუხო მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამოავლენს, თუმცა „სამეფო კლუბი" 1:1-ის შემდეგ კიდევ უფრო გამოკვეთილი ფავორიტია. აი, მეორე წყვილში კი, ვფიქრობთ, ყველაფერი გადაწყდა - **კარლო ანჩელოტის** შეუძლია ამოისუნთქოს - მისი „ჩელსი" შემდეგ ეტაპზე ითამაშებს, რადგან ძნელი დასაჯერებელია დანიის დედაქალაქში მოგებული 2:0-ის შემდეგ ლონდონში ამხელა უპირატესობა გაანიავოს. იტალიელი თავკაცი კი ამას ფრანგ ფორვარდ **ნიკოლა ანელკას** უნდა უმადლოდეს.

„ჩელსის" ახალბედა **ფერნანდო ტორესი** პირველად თამაშობდა „ლურჯების" რიგებში ევროთასებზე, მისი თამაში კვლავ ყურადღების ცენტრში იყო, მაგრამ თავი მან კი არა, არამედ ესპანელის პარტნიორმა ანელკამ გამოიჩინა, რომლის დუბლის წყალობით ინგლისელებმა „კოპენჰაგენს" მისსავე არენაზე მოუგეს.

„ჩელსიმ" თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა, კარისკენ **მალუდამ** და **ლემპარდმა** დაარტყეს, ტორესსაც შეექმნა შანსი, მაგრამ უნიათოდ გაისარჯა და **იოჰან ვილანდმა** „კოპენჰაგენი" იხსნა. მე-17 წუთზე **იასპერ გრონკიაერის** შეცდომის შემდეგ ანელკამ ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში „კოპენჰაგენი" ცოტათი გათამამდა, მაგრამ სანამ მასპინძლები საკუთარ ძალებს ირწმუნებდნენ, ანელკამ მეორე გაიტანა - ლემპარდის პასი მიიღო და შორეულ კუთხეში დაარტყა.

ლიონის „სტად დე ჟერნალზე" ყველაზე მეტად ყოფილი ლიონელის **ქარიმ ბენზემას** გამოჩენას ელოდნენ, **ჟოზე მოურინიომ** კი მას **ემანუელ ადებაიორი** არჩია, მაგრამ ტოგოელმა თავი ვერაფრით გამოიჩინა და 64-ე წუთზე მოედანზე მწვრთნელმა ბენზემა გამოუშვა. ზუსტად ერთ წუთში კი გავიდა გოლი, რომელმაც, შეიძლება, ამ გუნდების ორმატჩიანი დაპირისპირების ბედი გადაწყვიტოს, **მესუთ იოზილმა** და ბენზემამ ერთობლივი ძალებით აართვეს ბურთი მეტოქეს, იოზილმა **კრიშტიანო რონალდო** მოძებნა, რომელმაც ერთი შეხებით საჯარიმოში შეჭრილი ფრანგი დაინახა, მან კი დიდებულად გაართვა თავი რთულ ამოცანას და **ლორისს** ფეხებს შორის გაუტანა - 0:1. აქვე გეტყვით, რომ „რეალი" უკეთესი გუნდი იყო, ესპანელებმა ორჯერ გაარტყეს ბურთი ხარიხას - ჯერ რონალდომ, შემდეგ კი - **სერხიო რამოსმა.**

„ლიონს" საპასუხო მატჩის წინ იმედი **ბაფეტიმბი გომისის** გოლმა შეუნარჩუნა, რომელმაც **კასილიასს** თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე გაუტანა. ახსნა თუ არა „ლიონის" ჯადო „რეალს" ჟოზე მოურინიომ, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შევიტყობთ...

წუხანდელ მატჩებში სულ 4 გოლი გავიდა და ოთხივე ფრანგი ფორვარდების ანგარიშზეა.

**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

**კოპენჰაგენი (დანია) 0:2 ჩელსი (ინგლისი)**

**22 თებერვალი. კოპენჰაგენი. პარკენ სტადიონი. 36 700 მაყურებელი**

**კოპენჰაგენი (4-4-2):** ვილანდი - პოსპეხი, ზანკა, ანტონსონი, ვენდტი (75. ბენგტსონი) - ბოლანიოსი, კვისტი, კლაუდემირი, გრონკიაერი (87. ზოჰორე) - სანტინი (46. ვინგაარდი), ნ'დოიე.

**ჩელსი (4-4-2):** ჩეხი - ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული - რამირესი, ესიენი, ლემპარდი, მალუდა (85. ჟირკოვი) - ანელკა (73. დროგბა), ტორესი (92. კალუ).

**გოლები:** 0:1 ანელკა (17), 0:2 ანელკა (54)
**მაყურებელი:** 36 700

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ჩელსი
პირველი კუთხური: ჩელსი
პირველი ჯარიმა: კოპენჰაგენი
პირველი გაფრთხილება: კოპენჰაგენი

| | | |
|---|---|---|
| 14 (6) | დარტყმა | 22 (7) |
| 14 | ჯარიმა | 9 |
| 1 | კუთხური | 3 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

**არბიტრი:** ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია)



**ევროპის ლიგა. პლეი ოფი. I წრე**

**ცსკა-პაოკ 1:1 (1:0)**

**ცსკა (4-4-1-1):** აკინფეევი (66. ჩეპჩუგოვი) - ნაბაბკინი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, შჩენნიკოვი - ტოშიჩი, შემბერასი, მამაევი, ცაუნია (61. ალდონინი) - ვაგნერ ლავი (90. ა. ბერეზუცკი) - ნეციდი.

**პაოკ (4-4-1-1):** კრეშიჩი - შნაუცერი, ჩირილო, კონტრერასი, ლინო - ცუკალასი, პ. გარსია, ივიჩი (87. ათანასიადისი), ვიერინია - სალპინგიდისი - მუსლიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 მუსლიმოვიჩი (67), 1:1 იგნაშევიჩი (80)

ესპანეთი. ტურის რჩეულნი

**XXIV ტურის სიმბოლური ნაკრები**




# ტურის ხილული და უჩინარი გმირები

**„ხორნადა-24" ლეო მესის გაბრწყინებით აღინიშნა, რომლის გოლმაც „ბარსელონას" 5-ქულიანი უპირატესობა შეუნარჩუნა მადრიდის „რეალთან". ვნახოთ, კიდევ ვინ გამოიჩინა თავი ამ ტურში ინტერნეტ-პორტალ Goal.com-ის მიხედვით. სხვათა შორის, ამ ტურში ძალიან ცოტა გოლი გავიდა - 10 მატჩში სულ 17, თანაც ერთი გოლკიპერის ანგარიშზეა. ამ ტურის სიმბოლურ ნაკრების „ტაქტიკური სქემა" 4-4-2-ია.**

### მეკარე

**დანიელ არანსუბია (დეპორტივო):** „ალმერიასთან" მატჩის 95-ე წუთზე, როცა მისი გუნდი 0:1-ს აგებდა წინ წავიდა და ჩამოწოდებულ კუთხურს თავი დაუხვედრა, რითაც გალისიურ კლუბს ქულა გადაურჩინა.

### მცველები

**პაბლო პინილიოსი (რასინგი):** მარსელინოს ხელში სანტანდერული კლუბი სულ სხვაგვარად ათამაშდა, ახალმა მწვრთნელმა ორიდან ორივე თამაში მოიგო. მარჯვენა მცველმა მთელი თამაში საიმედოდ იმოქმედა თავის ფლანგზე, ბოლო წუთებზე კი გამარჯვების პენალტი ნერვის აუტოკებლად შეასრულა.

**რიკარდო კარვალიო (რეალი):** პორტუგალიელს დაცვის ცენტრში თანამემამულე **პეპესთან** მხარდამხარ თამაში ურჩევნია. პეპეს არყოფნაში დაცვის ხაზის ლიდერობა სწორედ მან ითავა, ტაიმის მიწურულს კი რონალდოს საჯარიმო ჩამოწოდება გოლად აქცია. მას უკვე 3 გოლი აქვს პრიმერადივიზიონში, ყველაზე მეტი მცველებს შორის.

**ალბერტო ბოტია (სპორტინგი):** „ბარსელონას" ყოფილი მცველი ტოპფორმაშია: ჯერ თავის ყოფილ გუნდთან, ახლა კი „მესტალიაზე" „ღამურების" წინააღმდეგ ბოტიამ შეუცდომლად ითამაშა. ამ ორ ტურში „სპორტინგის" მცველი გაუვალი კედელივით იყო.

**ლუის პერეა (ატლეტიკო):** პერეას ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ ამჯერად კოლუმბიელმა ცენტრალურმა მცველმა დიდი წვლილი შეიტანა „ატლეტიკოს" გამარჯვებაში.

### ნახევარმცველები

**ანხელ დი მარია (რეალი):** სადებიუტო სეზონში ესპანურ ლიგაში იშვიათად თუ ბრწყინავს ასე ფეხბურთელი, როგორც ეს 23 წლის არგენტინელს გამოსდის. სანამ ბენზემას პირველ გოლს გაატანინებდა, დი მარია ერთდროულად სამ მცველს გასცდა (რომელთაც კიდევ 2 აზღვევდა).

**ჩავი (ბარსელონა):** „ბარსას" ერთობ გაუჭირდა ამ კვირაში, მეტოქეებმა თითქოს გასაღები მოუძებნეს ამ გუნდის თამაშის სტილს, მაგრამ ბასკებთან თამაშში ჩავის დიდებულება კიდევ ერთხელ გამოჩნდა - მართალია, ორივე საგოლე პასი **დანი ალვეშისაა**, მაგრამ ორივე შემთხვევაში საგოლე კომბინაცია მან დაიწყო.

**ივან რაკიტიჩი (სევილია):** „შალკეს" ყოფილი ნახევარმცველი ძალიან მალე შეეწყო ახალ კლუბს. მოედნის სიღრმიდან მისი დრიბლინგები **გრეგორიო მანსანოს** გუნდს ერთობ ეხმარება უპირატესობის მოპოვებაში. „სევილიას" რიგებში პირველი გოლი გაიტანა და **ლუიშ ფაბიანოსთან** კომბინაციური თამაში ძალიან კარგად ააწყო.

**ჯავად ნეკუნამი (ოსასუნა):** სანამ ირანელი აზიის თასის გამო პრიმერას მატჩებს აცდენდა, **ხოსე კამაჩოს** თანამდებობის დატოვებამ მოუწია. მისმა დუბლმა პირველივე ტაიმში „ესპანიოლის" კარში **ხოსე ლუის მენდილისაბარს** სადებიუტო მატჩში დიდი ანგარიშით გამარჯვება მოუტანა.

### თავდამსხმელები

**სერხიო აგუერო (ატლეტიკო):** „სარაგოსას" კარში გოლით არგენტინელმა ორთვიანი საგოლე შიმშილი დაასრულა და, შესაძლოა, კიკე ფლორესს თანამდებობა შეუნარჩუნა.

**ლეო მესი (ბარსელონა):** მესიმ მოატყუა ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... გოლი არ გასულა, მაგრამ... ტურის საუკეთესო ფეხბურთელია.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



დანიელ არანსუბიას საოცარი გასროლა

თავისუფალი ჭიდაობა

# კაკალაძემ შვიდეული შეავსო

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცმა **ზაზა თურმანიძემ** ოფიციალურად დაასახელა 29-30 მარტს დორტმუნდში, ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა. თუმცა ეს დამალული არც აქამდე იყო - წინასწარი შეპირებით, ევროპაზე ქვეყნის ჩემპიონები იჭიდავებენ. გაურკვეველი მხოლოდ 66 კილოგრამი იყო. აქ საქართველოს ჩემპიონი გორელი **ცოტნე ბარამიძე** გახდა, მაგრამ ფილას მიერ მოქალაქეობის შეცვლის შესახებ მიღებული ახალი წესით, ჩვენი სახელით გამოსვლის ნება აღარ აქვს. ამ წესით მოქალაქეობის შეცვლა მხოლოდ ერთხელ შეიძლება. ამდენად, ამიერიდან ის მხოლოდ ყაზახეთის სახელით თუ იჭიდავებს, თურმანიძეს კი მისი შემცვლელის ძებნა ქვეყნის პრიზიორებს შორის მოუხდა. კანდიდატი ისევ გორელი ვიცე-ჩემპიონი **ილია ხუციშვილი** და ბათუმელი მესამე პრიზიორი, იმავდროულად ევროპის ვიცე-ჩემპიონი **კობა კაკალაძე** იყვნენ (მან მეორე ბრინჯაოს მფლობელი, **მიხეილ ზარქუა** დაამარცხა და მთავარი მესამე ნომერი გახდა. ზარქუა ამიტომ არ იყო კანდიდატთა შორის). თურმანიძემ 10 დღის წინ ორივე სტამბოლში გამოსცადა იაშარ დოგუს სახელობის საერთაშორისო ტურნირში, სადაც უფრო უკეთ კაკალაძე გამოვიდა - ბრინჯაოსთვის იჭიდავა, თუმცა წააგო და მეხუთეზე დარჩა. ამის მიუხედავად, მთელ რიგ შეხვედრებში კაკალაძემ მაინც დაიმსახურა მწვრთნელთა მოწონება და ვაკანსიაც მის ხარჯზე შეავსეს, სხვა წონებში კი დორტმუნდში საქართველოს ჩემპიონები გამოვლენ: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120). ჩვენი ნაკრები გერმანიაში 27 მარტს გაემგზავრება, ჩემპიონატი კი 29-ში დაიწყება. იმ დღეს 60, 74 და 96-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები კი 30-ში შეეცდებიან წარმატების მოპოვებას.

### ჩემპიონატამდე...

ევროპის ჩემპიონატამდე ჩვენს „თავისუფლებს" კიდევ ორი შეჯიბრება ელოდებათ - 4-5 მარტს მინსკში **ალექსანდრ მედვედის** სახელობის საერთაშორისო ტურნირია, 19-20 მარტს კი მახაჩყალაში მსოფლიოს თასი იმართება, ოღონდ ორივეგან სათადარიგოები წავლენ. ნაკრების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ლიდერებს მეტი საშეჯიბრო პრაქტიკა არ სჭირდებათ, რადგან ნოემბერში საქართველოს პირველობაც იჭიდავეს. თან, უკვე ევროპამდე ბევრი დროც არ რჩება და ამ პერიოდში შეჯიბრებაზე წასვლა მართლაც არაა მიზანშეწონილი. მინსკში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **გიორგი ედიშერაშვილი, გივი დავიდოვი, ლაშა ლომთაძე** (სამივე - 55), **დავით ბერძნიშვილი, გიორგი ბალიაშვილი** (60), ილია ხუციშვილი (66), **არჩილ ქიტიაშვილი, ირაკლი მარსაგიშვილი** (84), **ლერი ქეთიშვილი** (96), **გიორგი საკანდელიძე** (120). მახაჩყალაში **ბესარიონ გოჩაშვილი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **შალვა მუზიაშვილი** (66), **გელა სალირაშვილი** (74), **ბექა ჭელიძე** (84), **დავით ქერაშვილი** (96), **გიორგი საკანდელიძე, ლევან ბერიანიძე** (120) იჭიდავებენ.

მინსკის ტურნირი ჩვეულებრივი ფორმატით ტარდება და ამიტომ აგზავნიან იქ გაფართოებულ შემადგენლობას, დაღესტანში კი გუნდური შეჯიბრებაა, სადაც მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია. შემადგენლობაც ამან განაპირობა. წინასწარი მონაცემებით, მახაჩყალაში ძალიან ძლიერი შეჯიბრება იქნება. რუსეთში და კონკრეტულად - ჩრდილო კავკასიაში ახლა რომ სპორტის ბუმია, არაერთხელ დაგვიწერია, მათთვის ტრადიციულ თავისუფალ ჭიდაობაში კი ეს ორმაგად თვალში საცემი პროცესია - იქაურებისთვის რაღა ჭიდაობა და რაღა რელიგია! ამიტომ ყოველ შეჯიბრებას უდიდესი ინტერესით ეკიდებიან და იქაურმა საჭიდაო ტურნირებმა საპრიზო ფონდებით უკვე რეკორდები მოხსნა - ჩეჩნეთის პრეზიდენტმა **რამზან კადიროვმა** შარშან პირველად ჩაატარა თავისი სახელობის შეჯიბრება და გამარჯვებულებს მანქანებთან ერთად ჯილდოდ 20 ათასი დოლარი მისცა. თუმცა ჩეჩნები უკვე ჭიდაობასაც გასცდნენ და მშობლიური „ტერეკის" საფეხბურთო კლუბის მწვრთნელად სახელოვანი ჰოლანდიელი **რუუდ გულიტი** ხომ მიიწვიეს, აგერ, ახლა ბრაზილიასთან გაჯიბრებაც მოინდომეს და გროზნოში რა დონის ვარსკვლავებს ეპატიჟებიან!.. მართალია, რეგიონის სხვა ქვეყნები მთლად ასე შორს ჯერ არ წასულან, მაგრამ სპორტს ისინიც დიდ ყურადღებას უთმობენ, მოჭიდავეთა ზემოაღნიშნული მსოფლიოს თასის საორგანიზაციო კომიტეტს კი სათავეში დაღესტნის პრეზიდენტი **მაგომედსალამ მაგომედოვი** უდგას. ის და რესპუბლიკის სპორტის მინისტრი **არსენალი მურთაზალიევი** იანვრიდან მოყოლებული, როცა მახაჩყალამ ოფიციალურად მიიღო ტურნირის გამართვის უფლება ყოველდღიურად მკაცრად აკონტროლებენ მზადების პროცესს. შეჯიბრების საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარია.

როგორც ვხედავთ, საკანდელიძე ორივე შემადგენლობაშია - მინსკშიც იჭიდავებს და მახაჩყალაშიც. მწვრთნელები ენდვნენ მას, როგორც ახალგაზრდა სპორტსმენს და მიაჩნიათ, რომ ეს მისთვის დაუძლეველი დატვირთვა არ იქნება. კაცმა რომ თქვას, ეს კითხვა რუსეთში, ჩრდილო კავკასიაში და კიდევ ბევრ ქვეყანაში არც დაისმებოდა, მაგრამ ჩვენთან მიუჩვევლები არიან მსგავს დატვირთვებს, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ალბათ, შეამჩნევდით იმასაც, რომ მინსკში წასაყვან შემადგენლობაში 74-ში მონაწილე არ გვეყოლება - აქ თითქოს **გიორგი მარსაგიშვილის** დაყენებას აპირებდნენ, მაგრამ ის მერე ინდოეთში გაუშვეს შეჯიბრებაზე. მოგეხსენებათ, ინდოეთში ქართველი მწვრთნელი **ვლადიმერ მესტვირიშვილი** მუშაობს (სწორედ მის ხელში გახდნენ **რენე** და **სუშილ კუმარები** მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი). ინდოელები ამ დღეებში ზედიზედ ატარებენ ორ ტურნირს და ჩვენებისთვის სამი მოჭიდავის გაშვება უთხოვიათ. რაკი ყველანაირ ხარჯს ისინი იღებდნენ, არც ამათ უთქვამთ უარი და მარსაგიშვილთან ერთად მიხეილ ზარქუა და მძიმეწონოსანი **გიორგი ნიკურაძე** გაუშვეს.

დასასრულს იმასაც გეტყვით, რომ „თავისუფალთა" ნაკრები დუშეთშია შეკრებაზე, რომელსაც 4 მარტს დაამთავრებს, მერე კი იქაურობას ამავე სტილის ახალგაზრდები დაიკავებენ. მინსკში გუნდი 3 მარტს გაფრინდება **დავით ოთიაშვილისა** და **ალექსანდრე კახნიაშვილის** ხელმძღვანელობით.

> რუსეთში და კონკრეტულად - ჩრდილო კავკასიაში ახლა რომ სპორტის ბუმია, არაერთხელ დაგვიწერია, მათთვის ტრადიციულ თავისუფალ ჭიდაობაში კი ეს ორმაგად თვალში საცემი პროცესია - იქაურებისთვის რაღა ჭიდაობა და რაღა რელიგია!

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. პეტროვის მემორიალი

# ბურგასში მძიმე დანაკლისით

ამ დილით საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები ბულგარულ ბურგასში გაფრინდა, სადაც 25-27 თებერვალს ნიკოლა პეტროვის მემორიალში გამოვა. ესაა დასკვნითი შეჯიბრება აპრილის პირველსავე რიცხვებში დორტმუნდში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. იქ გამოჩნდება, ვინ რა კომპონენტში მოისუსტებს, ვისთვის რა რჩება „აქილევსის ქუსლად", დარჩენილ დროში კი მწვრთნელებმა ამ ხარვეზების აღმოფხვრაზე უნდა იმუშაონ.

ჩვენი ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** ბურგასში უმთავრესად დორტმუნდში წამსვლელი კანდიდატების წაყვანას აპირებდა, მაგრამ ვარჯიშზე ფეხი იტკინა და გუნდს გამოაკლდა **რევაზ ლაშხი** (60), საქართველოს ჩემპიონატზე მიღებული ტვინის შერყევის გამო ვერც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მანუჩარ ცხადაია** (66, თუმცა მას ამჯერად 74-ში უნდა ეჭიდავა) მიდის, **გენადი გოგიშვილს** (74) კი ხელი სტკივა. ცხადაიას და გოგიშვილის ტრავმები ძველია, ლაშხი კი ბოლო დღეებში დაშავდა – ეს მოულოდნელი და საკმაოდ მძიმე დანაკლისია, რადგან ლაშხი ევროპაზე წასვლის უმთავრესი კანდიდატი იყო.

დარჩიას საბოლოო განაცხადი ასეთია: **ლაშა გოგიტაძე** (55), **არჩილ თურმანიძე, ანტონ მამაგეიშვილი** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე, სანდრო დიხამინჯია** (96), **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120). ამათგან ყველაზე ბოლოს ჯავახიშვილის საკითხი გაირკვა – მასაც ტრავმა აწუხებდა, მაგრამ მოირჩინა. დაშავებული იყო გოგიტაძეც, თუმცა ექიმები ამ ეტაპისთვის მის მწყობრში ჩადგომას გვპირდებოდნენ და მწვრთნელებმა ის თამამად შეიყვანეს წინასწარ განაცხადში. სამაგიეროდ, ფრიად მოულოდნელია ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ კვირკველიას წასვლა, რადგან ის თავდაპირველ სიაში არ მოიაზრებოდა. ტურნირის პირველ დღეს – 25-ში ბერძენ-რომაელთაგან (ეს შეჯიბრება ქალთა და თავისუფალ სტილში მოჭიდავე ვაჟთა შორისაც ტარდება, მაგრამ იქ არ ვმონაწილეობთ) 74 და 96-ის ფალავნები იჭიდავებენ, მეორე დღეს 60, 84 და 120-ის წარმომადგენლები, 27-ში - 55 და 66-ის ფალავნები.

ცხადია, დორტმუნდში წასვლის კანდიდატები ბურგასულ გუნდშია საძიებელი. არსებითად, სპეციალისტებისთვის მათი ვინაობა ისედაც ცნობილია, მაგრამ რამდენიმე წონაში კონკურენცია ჯერ კიდევ გაურკვეველია. სავარაუდოდ, მწვრთნელი ბურგასის შემდეგ ოფიციალურად დაასახელებს ევროპის პირველობაზე წასაყვან ნაკრებს.

ბულგარეთიდან დაბრუნებული ჩვენი გუნდი 2 მარტს მინსკში გაფრინდება, სადაც „სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე ერთობლივ შეკრებას გაივლის. იქ წასვლა თავიდანვე დაიგეგმა, მაგრამ ერთი პერიოდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა – ბელორუსებს ერთობლივი წვრთნების გავლა თურქებმა შესთავაზეს და თავისთანაც მიიწვიეს, საბოლოოდ თავად გადაწყვიტეს მინსკში წასვლა. დასკვნით შეკრებას ჩვენი ნაკრები დუშეთში გაივლის.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ვარშავის ტურნირი

# სათადარიგოების შანსი

ეს ეგრეთ წოდებული B ნაკრებია, ანუ სათადარიგოები, თუმცა მასში რამდენიმე ლიდერიცაა – ასუმბანი, პაპოშვილი, ავალიანი თავიანთ წონებში ამის საფუძვლიან პრეტენზიას აცხადებენ. დანარჩენები ჯერ წონების პირველ ნომრებად არ მოიაზრებიან, მაგრამ სატურნირო პრაქტიკის მიღების შანსს აძლევენ. იმათგან ლვინიაშვილი საქართველოს ვიცე-ჩემპიონია, ცოციაშვილი – ბრინჯაოს მედალოსანი. ამ გუნდიდან წლეულს უცხოეთში მხოლოდ სამმა იჭიდავა – ასუმბანმა, პაპოშვილმა და ოქრუაშვილმა, დანარჩენებისთვის კი ეს პირველი საზღვარგარეთული შეჯიბრება იქნება. ტურნირი 26-27 თებერვალს გაიმართება, ნაკრებს კი ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** უხელმძღვანელებს, რადგან ავსტრიელი **პეტერ ზაიზენბახერი** იაპონიაშია გუნდთან ერთად. ნაკრები იქ დიუსელდორფიდან გაფრინდა ერთობლივ შეკრებაზე, სადაც ზაიზენბახერმა გერმანიაში ნაჭიდავები შემადგენლობა წაიყვანა ასუმბანისა და მძიმეწონოსან **ზვიად ხანჯალიაშვილის** გამოკლებით – **ამირან პაპინაშვილი** (60), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ლევან წიკლაური, ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ირაკლი ცირეკიძე** (100), **ნოდარ მეტრეველი** (+100).

**გამოცხადდა ვარშავის მსოფლიოს თასზე წამსვლელი შემადგენლობა:**

**დავით ასუმბანი** (60), **გიგა შოშიაშვილი** (66), **ამბაკო ავალიანი, თენგიზ პაპოშვილი** (73), **პაატა ლვინიაშვილი** (81), **გიორგი ცოციაშვილი** (90), **დავით ლორიაშვილი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** (+120).

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი



# ფავორიტებმა მოგებით დაიწყეს

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის" აუზში სტარტი აიღო წყალბურთელთა საქართველოს ჩემპიონატმა, რომელშიც ხუთი გუნდი მონაწილეობს. პირველ ტურში კარგად ითამაშეს შარშანდელმა ჩემპიონმა „თბილისმა" და ვერცხლის პრიზიორმა „ლიგამუსმა", რომლებმაც გათამაშების ცხრილში გამარჯვებები ჩაიწერეს.

**„ივერია"-„ლიგამუსი" 2:11 (0:4, 1:2, 0:4, 1:1)**

**„ივერია":** შუბლაძე, ჩიქვინიძე, ბულაძე, დავითური, ცანკაშვილი (1), სხალაძე, ქართველიშვილი, გელაშვილი, ურუშაძე (1), სულაძე, გოჩიტაშვილი, ფეიტრიშვილი, კაპანაძე, მწვრთნელი ჩომახიძე.

**„ლიგამუსი":** ჭუმბურიძე, ბაქრაძე, კორდიჩი (1), შენგელია, ხვედელიანი (3), რუსიშვილი (2), რურუა (4), გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი (1), სტრუიჩი, მწვრთნელი ისელიძე.

**„თბილისი"-„ზვიგენები" 21:6 (5:1, 3:1, 8:2, 5:2)**

**„თბილისი":** ნამორაძე, ქენქაძე (4), კოტარია (5), ჩომახიძე, კინწურაშვილი (3), მანძულაშვილი (1), ლაითაძე, ბალათურია (4), ქავთარაძე, ყაველაშვილი, გოგავა, ალიბეგაშვილი (4), ჭელიძე, ჯანგავაძე, ბაბუნაშვილი, მწვრთნელი კინწურაშვილი.

**„ზვიგენები":** ჩიხლაძე, დაუშვილი, ქერქაძე, შარვაშიძე (2), ბერიშვილი, თორდია (1), გოგელია (2), ჯანჯღავა, ჩხეიძე (1), კოხოძე, გიორგაძე, ჩუბინიძე, მოსაშვილი, გურგენიძე, ხოსროშვილი, მწვრთნელი ასათიანი.

როგორც ვხედავთ, „თბილისი" და „ლიგამუსი" უმთავრესად საქართველოს ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული და, უეჭველია, ჩემპიონობისთვის წლეულსაც ეს ორი გუნდი იბრძოლებს. მთავარი კი მაინც ევროპის ჩემპიონატის მატჩებისთვის მომზადებაა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა კონტინენტის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირის სტარტზე შინ ბრიტანეთის ნაკრებს სძლია. მეორე ტურის მატჩსაც თბილისში გამართავს - საბერძნეთის ეროვნულ გუნდს „ოლიმპიკის" აუზში 30 მარტს დაუხვდება. მანამდე კი სტამბოლში თურქეთის ნაკრებთან ერთობლივ წვრთნას გაივლის, მარტის მესამე დეკადაში კი თბილისის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში სახელოვანი მოკრივე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი

**ნოდარ თორთლაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუპერლიგა. XIV ტური

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ქ. | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 13 | 286 | 22 |
| 2. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 12 | 252 | 21 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 11 | 206 | 18.73 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 212 | 17.67 |
| 5. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 12 | 208 | 17.33 |
| 6. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 12 | 206 | 17.17 |
| 7. ზუზა კვიმსაძე | ქუთაისი | 11 | 186 | 16.91 |
| 8. კოტე ტულუში | არმია | 12 | 199 | 16.58 |
| 9. ივანე მაისურაძე | ბათუმი | 10 | 157 | 15.7 |
| 10. რევაზ ჩაჩანიძე | აგრარული | 13 | 204 | 15.69 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | მეტ. | საკ. | ჯამი | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 13 | 63 | 95 | 158 | 12.15 |
| 2. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 12 | 32 | 99 | 131 | 10.92 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 51 | 74 | 125 | 10.42 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 10 | 36 | 60 | 96 | 9.6 |
| 5. კარლ დამუსი | სოხუმი | 13 | 51 | 65 | 116 | 8.92 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 12 | 21 | 85 | 106 | 8.83 |
| 7. დავით უგრეხელიძე | არმია | 9 | 37 | 41 | 78 | 8.67 |
| 8. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 13 | 40 | 72 | 112 | 8.62 |
| 9. ილია ლონდარიძე | თსუ | 13 | 44 | 66 | 110 | 8.46 |
| 10. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 12 | 38 | 59 | 97 | 8.08 |
| 11. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 13 | 31 | 74 | 105 | 8.08 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | პ. | პ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 13 | 86 | 6.62 |
| 2. კოტე ტულუში | არმია | 12 | 70 | 5.83 |
| 3. ბექა წიწნიაძე | ენერჯი | 13 | 66 | 5.08 |
| 4. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 12 | 55 | 4.58 |
| 5. ტარიელ თავართქილაძე | სამედიცინო | 12 | 54 | 4.5 |
| 6. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 12 | 53 | 4.42 |
| 7. ზუზა კვიმსაძე | ქუთაისი | 11 | 48 | 4.36 |
| 8. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 12 | 52 | 4.33 |
| 9. დავით არწივიძე | აგრარული | 7 | 28 | 4 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ჩ. | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ირაკლი გულისაბედაშვილი | სამედიცინო | 13 | 40 | 3.08 |
| 2. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 13 | 39 | 3 |
| 3. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 12 | 31 | 2.58 |
| 4. ზუზა ბერიშვილი | ქუთაისი | 12 | 31 | 2.58 |
| 5. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 12 | 30 | 2.5 |
| 6. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 11 | 27 | 2.45 |
| 7. ზვიად ანთაძე | სოხუმი | 12 | 27 | 2.25 |
| 8. ნოდარ სიგუა | აგრარული | 9 | 20 | 2.22 |
| 9. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 13 | 28 | 2.15 |
| 10. გიორგი მარხვაშვილი | თსუ | 9 | 19 | 2.11 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | დ. | დ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. სამუელ ლამუ | ენერჯი | 13 | 24 | 1.85 |
| 2. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 13 | 20 | 1.54 |
| 3. დავით იმნაძე | შსს | 10 | 14 | 1.4 |
| 4. ბექა ბექაური | სამედიცინო | 13 | 17 | 1.31 |
| 5. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 15 | 1.25 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | შ. | შ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 12 | 62 | 5.17 |
| 2. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 10 | 38 | 3.8 |
| 3. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 13 | 48 | 3.69 |
| 4. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 13 | 48 | 3.69 |
| 5. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 40 | 3.33 |
| 6. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 12 | 40 | 3.33 |
| 7. გუგა პატარაია | დინამო | 12 | 38 | 3.17 |
| 8. ირაკლი სორდია | სოხუმი | 13 | 41 | 3.15 |
| 9. მაიკ მაქძერი | სოხუმი | 8 | 25 | 3.13 |
| 10. გიორგი ტეტელაშვილი | სსაუ | 12 | 37 | 3.08 |

### რეკორდები

**ქულა**

37 - ბექა ჩიკვილაძე (სტუ)
2-ქულა: 8/10. 3-ქულა: 5/10. საჯარიმო: 6/10.
18.12.10 სამედიცინო-სტუ

**მოხსნა**

19 - დავით ბარბაქაძე (შსს)
მეტოქის ფარზე: 11. საკუთარზე: 8.
30.11.10 სტუ-შსს

19 - რიჩარდ დამუსი (სოხუმი)
მეტოქის ფარზე: 6. საკუთარზე: 13.
27.11.10 დინამო-სოხუმი

19 - ილია ლონდარიძე (თსუ)
მეტოქის ფარზე: 8. საკუთარზე: 11.
19.02.11 თსუ-სამედიცინო

**პასი**

13 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ)
01.11.10 სტუ-თსუ

**ჩაჭრა**

9 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ)
05.02.11 თსუ-სტუ

**დაფარება**

5 - ანატოლი ბოისა (არმია)
13.11.10 სტუ-არმია

5 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ)
26.11.10 ბათუმი-სტუ




ილია ლონდარიძე - ტურის MVP

# მოცეკვავე კალათბურთელი

მე-19 ჩემპიონატში ტურის საუკეთესო კალათბურთელად აქამდე ის მოთამაშეები სახელდებოდნენ, რომლებსაც მანამდე ან სუპერლიგაში გამოუჩენია თავი, ან - საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში. შესაბამისად, ჩვენი გაზეთის მკითხველი მათ ტურის MVP-ად არჩევამდეც იცნობდა.

მე-14 ტურში კი №1 კალათბურთელად ის მოთამაშე დავასახელეთ, რომელსაც „ლელოში" „დებიუტი" აქვს - **ილია ლონდარიძეს** ჩვენი გაზეთის მკითხველი ჯერ არ შეხვედრია.



**დოსიე**

ილია ლონდარიძე (თსუ)
დაიბადა: 15.09.1989
სიმაღლე: 205 სმ.
წონა: 87 კგ.
ამპლუა: მძიმე ფორვარდი

| კარიერა | თ | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2008-09 მაქაბი | 16 | 26.9 | 11.9 | 9.9 | 1.0 | 1.6 | 0.5 |
| 2009-10 დინამო | 18 | 24.6 | 15.2 | 9.7 | 1.2 | 1.1 | 0.8 |
| 2010-11 თსუ | 13 | 20.9 | 9.5 | 8.5 | 0.8 | 0.6 | 0.8 |

ვიდრე მასთან დიალოგს შემოგთავაზებდეთ, ორი წლით უკან გადავიხედოთ. 2008-09 წლების სეზონში „მაქაბი" ჩემპიონატის აუტსაიდერი იყო - სეზონის წინ გუნდი **გიორგი შერმადინმა** დატოვა და „პანათინაიკოსში" გადავიდა. „მაქაბი" ახალგაზრდული შემადგენლობით ასპარეზობდა: იყო შემთხვევები კალათბურთელებს ერთ დღეს უმაღლეს ლიგაშიც უწევდათ თამაში და 20-წლამდელთა ჩემპიონატშიც. სწორედ იმ დროს გუნდში გამოჩნდა გამხდარი, ტანმაღალი ილია ლონდარიძე, რომელსაც თანაგუნდელები „წეროს" ეძახდნენ. ისევე როგორც **გიორგი ცინცაძეს** მეტსახელი „ბუ" დღემდე შემორჩა (უცხოელი მწვრთნელებიც „ბუდ" მოიხსენიებენ), მწვრთნელები ლონდარიძესაც „წეროდ" იცნობენ. შეიძლება „ავტორმა" მას ეს მეტსახელი სიმაღლის გამო შეარქვა, მაგრამ ფაქტია, რომ ლონდარიძე ძალიან მსუბუქი, სწრაფია და ამიტომაც უჭირთ მისი შეჩერება მეურვეებს.

იგი სუპერლიგაში „მაქაბიში" გამოჩნდა, შარშან „დინამოში" ერთ-ერთი გამორჩეული იყო, ხოლო წლეულს...

თსუ-ს მწვრთნელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** კარგად გათვალა სეზონის დასაწყისში ლონდარიძე რომ დაიმატა - სწრაფ **გიორგი გაფრინდაშვილს** (შემდეგ მას **მიხეილ ჩიტაშვილი** შეუერთდა) ლონდარიძისავით მოძრავი მეფარე ნამდვილად სჭირდებოდა. ილიასაც ჩემპიონატის აუტსაიდერიდან საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსი მიეცა. როგორ გამოიყენებს ამ შანსს და როგორ განაგრძობს თამაშს, ამას სეზონის ბოლოს ვნახავთ, მანამდე ინტერვიუს მივხედოთ.

**- „სამედიცინოსთან" ბოლო ტურის მატჩში საუკეთესო კალათბურთელად დაგასახელეთ. თუ მიგაჩნია, რომ სხვა მატჩებიც არანაკლებად ჩაატარე?**

- ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალში „სოხუმის" წინააღმდეგ მთელმა თსუ-მ კარგად ითამაშა და საუკეთესო ფორვარდად დამასახელეს. ის მატჩიც დასამახსოვრებელი იყო. პირველ წრეშიც არაერთი კარგი შეხვედრა გვქონდა...

**- „სამედიცინოსთან" დაპირისპირება რის ხარჯზე მოიგეთ?**

- ვიბრძოლეთ, არაფერი დავთმეთ, სროლაც წაგვივიდა და გავიმარჯვეთ.

**- ამ შეხვედრაში დაგიბრუნდათ ტრავმამოშუშებული მიხეილ ფანჩულიძე.**

- მან დიდი ხნის შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა. მართალია, ჯერ სათანადო ფორმაში არ არის, მაგრამ ძალიან დაგვეხმარა. იმედია, გიორგი მარხვაშვილიც მალე მოირჩენს ტრავმას და პლეი ოფებს საბრძოლო შემადგენლობით შევხვდებით.

**- ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, დიდი ხანია რიჩარდ მათიაშვილის გვერდით თამაშობდი...**

- ერთმანეთს კარგად ვუგებთ. რიჩოც მეხმარება, გაფრინდაშვილიც, ჩიტაშვილიც, კოხრეიძეც... მოკლედ, თსუ მეგობრული გუნდია, რაც მოედანზეც კარგად ჩანს.

**- თსუ-ს სათამაშო სტილსაც კარგად მოერგე.**

- კმაყოფილი ვარ. გუნდის სტრატეგიასთან შეგუება რომ არ გამჭირვებია, პირველ რიგში მწვრთნელების დამსახურებაა. მინდა მათ მადლობა ვუთხრა. ვეცდები, ბოლომდე ვიბრძოლო და იმედები გავუმართლო.

**- თსუ-მდე „დინამო" იყო...**

- „დინამოში" შარშანდელი სეზონი გავატარე. მწვრთნელი დავით თორთლაძე ძალიან დამეხმარა. იგი გუნდში მეორე წრიდან მოვიდა და, ვფიქრობ, გავუმართლე.

**- სუპერლიგაში ყვითელი მაისურით გამოჩნდი...**

- „მაქაბიშიც" ერთი წელი ვითამაშე. ამ გუნდში დიდი გამოცდილება შევიძინე - უმაღლეს ლიგაშიც ვთამაშობდი და დუბლებშიც. იყო შემთხვევა, ერთ დღეში ორი მატჩის ჩატარება მიწევდა.

**- „მაქაბიმდე" „ნიკე" იყო...**

- „ნიკეში" გურამ მეგრელაძემ დამიძახა. ახალგაზრდულ ჩემპიონატში ძლიერი გუნდების წინააღმდეგ გვიწევდა თამაში და მწვრთნელიც მენდობოდა. ბატონმა გურამმა ბევრი რამ მასწავლა, ერთი ზაფხული მე დამითმო, სათანადოდ მამუშავა, რამაც შედეგი გამოიღო.

**- „ნიკეში" საიდან მოხვდი?**

- „იმედიდან", რომელსაც ლევან ინწკირველი წვრთნიდა. კალათბურთზე პირველად სწორედ მასთან მივედი.

**- „იმედში" რამდენი წელი ივარჯიშე?**

- ერთი.

**- კალათბურთის თამაში რა ასაკში დაიწყე?**

- 16 წლისამ. მანამდე, 7 წლის განმავლობაში ცეკვაზე დავდიოდი, მაგრამ სიმაღლეში ძალიან რომ მოვიმატე, სცენაზე პარტნიორის პოვნა გართულდა და კალათბურთზე მისვლა გადავწყვიტე.

## ლეგიონერი



# ვალგა ვარგა

ესტონეთის ჩემპიონატში **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა" 25-ე მატჩი ჩაატარა და 23 გამარჯვება მოიპოვა. ორით მეტი შეხვედრა და ორით ნაკლები მოგება აქვს „როკერთა" კონკურენტ „კალევს".

25-ე ტურში ცინცაძის თანაგუნდელები „ვალგას" ეწვივნენ. ამ გუნდთან „ტარტუს" მოგება არასოდეს გასჭირვებია და ამჯერადაც იოლად მოგებას გეგმავდა, მაგრამ „ვალგამ" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია - 30-ე წუთისთვის 62:53-ს იგებდა. თუმცა, „როკმა" ბოლო რაუნდში 31:10 იმარჯვა და საფინალო ანგარიშიც სათავისოდ დააფიქსირა - 84:62.

მწვრთნელმა **ინდრის ვესპაანუმ** ცინცაძე 9 წუთი ათამაშა. ქართველმა 1 ქულა (2-დან 1 საჯარიმო), 2 მოხსნა და 4 პასი მიითვალა.

## სუპერლიგა

# ირაკლი შსს-ს დაუბრუნდა

**ირაკლი** და **დავით ბერიშვილებმა** სეზონი შსს-ში დაიწყეს, თუმცა იანვარში მათი და გუნდის გზები გაიყო. ტყუპები სუპერლიგას მსაჯების რანგში მოევლინენ და ამ საქმიანობას კარგად ართმევდნენ თავს. თუმცა გუშინ შსს-ს პრეზიდენტმა **ლევან მიქაბერიძემ** ახალი ამბავი გვითხრა - ირაკლი ბერიშვილი გუნდში დაბრუნდა და სეზონის დასკვნით მონაკვეთს შსს-ში ჩაატარებს.

რაც შეეხება დათოს, იგი კალათბურთში მსაჯის ამპლუაში დარჩება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**



ქართული სპორტი

ჩოგბურთი

# ანა, ჟიზელა და, როგორც იქნა, ნაღდი პერსპექტივა



2011 წელი იმედიანად დაიწყო ჩოგბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის - 21 წლის **ანა ტატიშვილი** ძალზე ახლოსაა მსოფლიო ელიტასთან - ქალ ჩოგბურთელთა მოწინავე ასეულთან. ჩვენებურს სულ 27 საფეხური აშორებს მიზნამდე და **ირაკლი ლაბაძის** შემდეგ პირველი ქართველი გახდება, რომელიც ტოპ-100-ში შეაღწევს. საქმე მხოლოდ რეიტინგიც არ არის - ანა გაუშინაურდა WTA-ს ტურნირებს და ასეულის წევრებთან ტოლ-სწორად თამაშს. და კიდევ, მის აქტივში უკვე არის ერთი ტიტული, ტატიშვილმა მიდლენდის 100-ათასიანი ტურნირი მოიგო, ოღონდ წყვილთა შორის.

შესავალი გაგვიწელა - გუშინ დილით, ანა ტატიშვილმა მექსიკის ქალაქ აკაპულკოში წარმატებით დაასრულა საკვალიფიკაციო ბადეში თამაში. WTA-ს ეს ტური 220-ათასიანი საპრიზო ფონდით იწონებს თავს, ანა კი საკვალიფიკაციოში პირველ ნომრად იყო განთესილი. ბოლო წრეში ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი ჩეხი **პეტრა ცეტკოვსკა** (143) იყო, რომელთანაც აქამდე ყველა დაპირისპირება ანას წაგებული ჰქონდა. ახლაც ცუდად დაიწყო თამაში, ჩეხი დაწინაურდა, მაგრამ ტატიშვილმა შეძლო მეორე სეტში თამაში გარდატეხის შეტანა - 4:6, 6:3, 6:4. ამ ბადის მოგებით ჩვენებურმა 17 სარეიტინგო ქულა გაინაღდა (თუმცა რეალურად 11 შეემატება, რადგან შარშანდელი 6 დააკლდება). მაგრამ მთავარი ისაა, რომ ტატიშვილი WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეში გავიდა.

კენჭისყრამ ტატიშვილი მე-4 ნომრად განთესილ არგენტინელ **ხიზელა დულკოს** (73) შეახვედრა. 26 წლის დულკო წყვილებში სულაც მსოფლიოს პირველი ჩოგანია! ერთეულებში კი ყველაზე მაღლა, 26-ე ადგილზე იყო მსოფლიო კლასიფიკაციაში. დულკო ძალზე არასტაბილური ჩოგბურთელია, მას შეუძლია მოუგოს პლანეტის უძლიერეს სპორტსმენებს, მაგრამ უშანსოდ დამარცხდეს უცნობებთან. გამარჯვების შემთხვევაში ანა 30 სარეიტინგო ქულას და 2 950 დოლარს გაინაღდებს. სხვათა შორის, ბოლო ორი წლინადი აკაპულკოს ტურნირს **ვინუს უილიამსი** იგებდა.

ანას წლევანდელი მონაგარი ერთეულთა თანრიგში ასეთია: ნაახალწლევს გაალწია ბრისბენის WTA-ს ტურნირის ძირითად ბადეში, სადაც პირველ წრეში დამარცხდა; ავსტრალიის ღია პირველობაზე II საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა; მიდლენდის ტურნირის მერვედფინალში გავიდა და მემფისის ტურნირის პირველ წრეში წააგო.

როგორც იქნა, საჩოგბურთო სეზონს ვაჟთა შორის საქართველოს პირველი ჩოგანი **ნიკოლოზ ბასილაშვილიც** (635) იწყებს - ნიკა დღეს 19 წლის შესრულდება, ბოლოს მან ნოემბერში ითამაშა. ბასილაშვილისგან წლეულს გადამწყვეტ წინსვლას ველით. ჩვენებური ტეხასის შტატის ქალაქ ბრაუნსვილის 15-ათასიან ტურნირშია, სადაც პირველ წრეში ამერიკელ **ტაილერ ჰოჩვოლტს** (588) ეთამაშება. წყვილებში ის ბულგარელ **ბორის ბაკალოვთან** (857) ერთად თამაშობს. თურქულ ანთალიაში (10 ათასი დოლარი) **ეკა გორგოძე** (550) ბელგიელ **ანუკ დელეფორტრიეს** (744) ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ნანამ სტარტზევე სძლია კონკურენტს


ჰამფი კონერუსა და ნანა ძაგნიძის პირველი ტურის პარტიის I სვლა ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა გააკეთა.

გუშინ ყატარში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა გრანპრის გათამაშების ბოლო მე-6 ეტაპი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 12 წარმომადგენელი წრიული სისტემით 11 ტურად შეხვდება ერთმანეთს. უკვე გაუწყეთ, რომ დოჰას ბატალიებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძისთვის** (2550), რადგან პირველ ან მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში წლის ბოლოს ჩინელ **ჰოუ იფანს** შეხვდება მსოფლიოს ჩემპიონობისთვის. კონკურენტად რეიტინგით პლანეტის მეორე მოჭადრაკე ქალი - ინდოელი **ჰამფი კონერუ** (2607) ჰყავს. კენჭისყრამ პირველი ტურში სწორედ ისინი შეახვედრა ერთმანეთს, თანაც ჩვენებურს შავი ფიგურები არგუნა. ქართველ დიდოსტატზე ფერს ზეგავლენა არ მოუხდენია - პირველი სვლებიდან ფინიშამდე შემართებით იბრძოდა და პარტიაც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. იყო მომენტი, სადაც კონერუს შეეძლო, უფრო გაბედულად ეთამაშა, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. გამართლდა ძაგნიძის ამჟამინდელი მწვრთნელის უკრაინელი **ადრიან მიხალჩიშინის** სიტყვები: კონერუს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით პრობლემები აქვს - გადამწყვეტ მომენტში გადამწყვეტ ნაბიჯებს ვერ დგამს. ალბათ, დოჰაშიც ასე იქნებაო.

ასეა თუ ისე, ნანამ ბოლო 10 სვლაში კლასიკური გაკვეთილი ჩაუტარა ინდოელს. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაში უკომენტაროდ თავადაც დარწმუნდებით.

ძაგნიძე



კონერუ

**31. h4 exf5 32. hxg5** *(კომპიუტერული ანალიზითაც დადასტურდა, რომ ეს თეთრების უსუსტესი სვლა იყო)* **კxe4**

| | | | |
|---|---|---|---|
| 33. gxh6 | კxc2 | 34. ლg5+ | მg6 |
| 35. h7+ | მფh8 | 36. კxd4 | ლxd4+ |
| 37. ეf2 | კe4 | 38. ლh6 | ლxf6 |
| 39. ლe3 | ლa1+ | 40. მფh2 | ლd4 |

**41. ლxd4+** *და თეთრები დანებდნენ, რადგან შავების ორი გამსვლელი პაიკის შეჩერება შეუძლებელია.*

ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ** (2502) მონგოლ **ბათჰუიაგ მონგონთუულთან** (2410) შეხვედრისას სასურველი პოზიცია მიიღო, მაგრამ ბოლომდე ვერ შეძლო მისი გამოყენება. უფრო მეტიც - 76-ე სვლაზე დასანანი მარცხი იწვნია.

პირველი ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **მარტა ფიერრო** (ეკვადორი, 2363)-**ჟუ ჩენი** (ყატარი, 2495) 1:0, **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2546)-**სიუ იუჰუა** (ჩინეთი, 2484) 0:1, **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2516)-**ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი, 2475) 0,5:0,5, **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2489)-**ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 2454) 0:1.

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: ძაგნიძე-მონგონთუული, დანიელიანი-ჩიბურდანიძე, სიუ იუჰუა-სებაგი, მკრტიჩიანი-სტეფანოვა, ჟუ ჩენი-კრამლინგი, კონერუ-ფიერრო.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის გამარჯვებული 160 ქულას (120 + ბონუსი 40 ქულა) დაიმსახურებს, მეორეადგილოსანი - 130 (110 + 20) ქულას, მომდევნო ადგილებზე გასულნი: III-120 (110 + 10), IV-90, V-80, VI-70, VII-60, VIII-50, IX-40, X-30, XI-20, XII-10 ქულას.

ტურნირის საპრიზო ფონდი - 40 ათასი ევრო ასე განაწილდება: I ადგილი-6500, II-4750, III-4000, IV-3750, V-3500, VI-3250, VII-3000, VIII-2750, IX-2500, X-2250, XI-2000, XII-1750 ევრო.

გრანპრის ექვსივე გათამაშების მიხედვით გამოვლენილი 9 საუკეთესო მოჭადრაკე დაჯილდოვდება: I ადგილი-15000, II-10000, III-8000, IV-7000, V-6000, VI-5000, VII-4000, VIII-3000 და IX- 2000 ევროთი.

**ვაჟა დანელია**



ჯანმრთელობის ფასი რა არის...

„ლელოს" საკონსულტაციო დარბაზი

# მოძრაობა გვეხმარება აზროვნებაში

ოდითგანვე ცნობილი იყო, რომ მოძრაობა ხელს უწყობს აზროვნებას. არისტოტელემ, მაგალითად, შექმნა ეგრეთ წოდებულ პერიპათეტიკთა (მოსეირნეთა) სკოლა, სადაც გაკვეთილების ჩატარების დროს მოწაფეებთან ერთად სეირნობდა. პერიპათეტიკები ამტკიცებდნენ, რომ როცა სხეული სეირნობისაგან ხურდება, აზრი უფრო ცხოველი ხდება. ჟან-ჟაკ რუსო თვლიდა აგრეთვე, რომ სიარული და ფიზიკური ვარჯიში ხელს უწყობს ტვინის მოძრაობასა და აზროვნებას.

ფიზიკურ კულტურას დიდად აფასებდნენ ძველი ბერძნები და რომაელები, ხოლო ისეთი ცნობილი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ სოკრატე, პლატონი, დემოსთენე, ცეზარი და სხვანი, რეგულარულად ვარჯიშობდნენ. პლატონი, მაგალითად, „კოჭლს" უწოდებდა იმ ადამიანს, ვისაც არათანაბრად აქვს განვითარებული სული და სხეული.

> სოკრატე, პლატონი, დემოსთენე, ცეზარი და სხვანი, რეგულარულად ვარჯიშობდნენ. პლატონი, მაგალითად, „კოჭლს" უწოდებდა იმ ადამიანს, ვისაც არათანაბრად აქვს განვითარებული სული და სხეული

პითაგორა ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ მუშტი-კრივში. კროტონში მის მიერ დაარსებულ მათემატიკურ სკოლაში ის თავის მოწაფეებს არა მარტო ალგებრასა და ფილოსოფიას ასწავლიდა, არამედ კრივისა და ფარიკაობის საფუძვლებსაც. თქმულება გვაუწყებს, რომ პითაგორა დაიღუპა ფანატიკოსი არისტოკრატებისაგან, მოხელეთა და მოვაჭრეთაგან თავისი სკოლის დაცვის დროს. იგი დაიღუპა ბრძოლაში, სადაც მის თითოეულ მოწაფეზე თითქმის ას-ასი მომხდური მოდიოდა.

ისააკ ნიუტონი სიამაყით აცხადებდა: „რამდენადაც ნებას მაძლევს ჩემი საქმეები, მე მუდამ ვასრულებ ფიზიკურ ვარჯიშებს".

„მუყაითი გონებრივი შრომის დროს უმოძრაოდ უფრო მეტად შეიგრძნობა სევდა. თუ არ გავიარე ან არ წავიმუშავე ხელებით და ფეხებით თუნდაც ერთ დღეს, საღამოს უკვე არაფრად ვვარგივარ; არც კითხვა შემიძლია, არც წერა და სხვათა ყურადღებით მოსმენაც კი; თავბრუ მეხვევა, თვალებში თითქოს ვარსკვლავები მიელავს და ღამით უძილობა მტანჯავს". ეს სიტყვები ლევ ტოლსტოის ეკუთვნის. მის ოთახში რგოლები და ტრაპეციები ეკიდა; იასნია პოლიანაში ეზოში ძელი იდგა, მწერალი ტანვარჯიშისა და ფარიკაობის კურსებს ესწრებოდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ლევ ტოლსტოიმ 65 წლის ასაკში ისწავლა ველოსიპედით სიარული, 75 წლისა კარგად სრიალებდა ციგურებით, ეჯიბრებოდა ახალგაზრდებს და გამარჯვებებს აღწევდა. 60 წლისამ მან ექვს დღეში 200 კილომეტრი გაიარა მოსკოვიდან ტულამდე.

„თუ ფიზიკურად არა ხარ ნაწრთობი, გონებას არ შეუძლია კარგად მუშაობა", - ხშირად უმეორებდა პავლოვი თავის მოწაფეებს. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი მათგანი - აკადემიკოსი პ. ანოხინი მერე თავად ასე მოძღვრავდა მოწაფეებს: „ჩვენი ტვინი გამუდმებით საჭიროებს თავის ჰანტელებს, ძელებსა და ტანვარჯიშის სხვა იარაღებს".

ალმოჩნდა, რომ ნობელის პრემიის ლაურეატებს შორის არიან არამარტო ცნობილი სპორტსმენები, არამედ ოლიმპიადების პრიზიორები და ოლიმპიური ჩემპიონიც კი! მაგალითად, 1945 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა ბიოქიმიაში, ამერიკელმა ბ. ჩეინსმა სამეცნიერო ჯილდოს მიღებიდან შვიდი წლის შემდეგ ოლიმპიადაზე აფროსანთა შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიპოვა. ამბობენ, რომ ისეთი ცნობილი ფრანგი სწავლულიც კი, როგორიც ფრედერიკ ჟოლიო-კიურია, თავის დროზე არჩევანის წინაშე იდგა პროფესიონალი ფეხბურთელი გამხდარიყო, თუ თავი მეცნიერებისათვის შეეწირა.

შემთხვევითი როდია, რომ დიდ სწავლულებს, ხელოვნების მოღვაწეებს, მწერლებს თავიანთი იდეების გააზრება ფეხით სეირნობისას უყვარდათ. კითხვაზე, თუ უფრო ხშირად როდის ჩნდება ვარაუდები და დასკვნები, რომელთაც საკვლევი პრობლემის გადაწყვეტამდე მივყავართ, ბევრმა ამერიკელმა მეცნიერმა უპასუხა, რომ საუკეთესო აზრები მოსდით ან დილით, როდესაც სახლიდან ფეხით მიდიან ლაბორატორიაში, ან იქიდან უკან დაბრუნებისას.

მეცნიერებმა უაღრესად საინტერესო შედეგები მიიღეს: ბაგის ასაკის ბავშვთა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ პატარები, რომელთაც არ ზღუდავენ მოძრაობაში, სიტყვათა დიდ მარაგს ფლობენ და ხმარობენ ამ სიტყვებს უფრო გააზრებულად, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც ნაკლებად მოძრაობენ. რაც მთავარია, ცნებათა ფორმირების პროცესი მოძრავ ბავშვებთან უფრო კარგადაც მიმდინარეობს და უფრო ადვილადაც. მაშასადამე, ბავშვის ხვალინდელ ინტელექტსა და მის დღევანდელ უმოძრაობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.

ლიტველმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები ფიზიკურადაც უფრო სუსტად არიან განვითარებული.

ფიზიკური ვარჯიში ორმაგ გავლენას ახდენს ფსიქიკურ ფუნქციებზე. ერთი მხრივ იგი ხელს უწყობს მათ განვითარებას, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს გონებრივი შრომისუნარიანობის სიმყარეს. კარგად თქვა უშინსკიმ: „სუფთა ჰაერზე გასეირნებას და საერთოდ ყველაფერს, რაც ნერვებს ამაგრებს, დიდი მნიშვნელობა აქვს... მეხსიერებისათვის".

> ნობელის პრემიის ლაურეატმა ბიოქიმიაში, ამერიკელმა ბ. ჩეინსმა სამეცნიერო ჯილდოს მიღებიდან შვიდი წლის შემდეგ ოლიმპიადაზე აფროსანთა შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიპოვა

გონებრივი შრომისუნარიანობის დაქვეითების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით შეიძლება ფიზიკურ ვარჯიშთა დახმარებით, რომელთა საფუძველს შეადგენს თავის ძირს დახრა, მიბრუნება, ტრიალი. სასარგებლოა აგრეთვე კომბინირებული ვარჯიშები, როცა თავი და ხელები ერთდროულად მოძრაობს. რეკომენდებულია ამგვარი სავარჯიშოები შესრულდეს გონებრივი მუშაობისას ყოველ 1,5-2 საათში 2-3 წუთის განმავლობაში (სკოლაში, დასვენების დროს).

მძიმე გონებრივი დაძაბულობისას (მაგალითად გამოცდებისთვის მზადების დროს) თავის ქალის ქვეშ განლაგებულ სისხლძარღვებზე ჩვეულებრივზე ძლიერი მოქმედებაა საჭირო, ამ მიზნით სპეციალისტები გვირჩევენ ისეთ ფიზიკურ ვარჯიშებს, როგორიცაა ზურგზე წოლისას ფეხების აწევა, ყოველგვარი დგომა ყირაზე (იდაყვებზე, ბეჭებზე, თავზე, ხელებზე), მაგრამ თუ მოზარდს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება აქვს, ვარჯიშების შესრულება ექიმის ნებართვის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მიქაუტაძე და ჩილაჩავა ისევ ლიდერობენ


ბურთით გიორგი მენაბდიშვილი, მარცხნივ ვიქტორ კოლელიშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში ესპუართა ანუ სათადარიგო გუნდების გათამაშებაში მე-13 ტურის შემდეგ, ისევ **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“ ლიდერობს. ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად ითამაშა „პერპინიანთან“ და დაძაბულ ბრძოლაში 20:14 გაიმარჯვა.

ტულონელებს ახლა 42 ქულა აქვთ და უახლოეს მდევარ, **ვიქტორ კოლელიშვილისა** და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონს“ ათი ქულით უსწრებს. უმცროსი „ვულკანების“ შეხვედრა შინ აჟენთან დიდთოვლობის გამო გადაიდო.

**მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ“ შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი“ - 41:15. ეს გუნდები სატურნირო ცხრილში მეზობლები არიან. „ალპელებს“ 27 ქულა აქვთ, მე-7 საფეხური უჭირავთ და „მონპელიეს“ ორი ქულით უსწრებენ.

**ესპუართა ლიგა**

**XIII ტური**

**ბაიონი-პო 33:19, პერპინიანი-ტულონი 14:20, მონპელიე-გრენობლი 41:15, ტულუზი-ბურგუენი 23:6, კლერმონი-აჟენი (გადაიდო)**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 42 ქულა, 2. კლერმონი - 32, 3. ტულუზი - 31, 4. პერპინიანი - 28, 5. აჟენი - 28, 6. ბაიონი - 27, 7. გრენობლი - 27, 8. მონპელიე - 25, 9. ბურგუენი - 25, 10. პო - 25.

IRB-ის ერთა თასი

# ივნისში ისევ ბუქარესტში

საქართველოს ნაკრები ივნისში ტრადიციულ IRB-ის ერთა თასზე იასპარეზებს, რომელიც, ისევე როგორც წინა წლებში, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართება.

შეჯიბრებაში ექვსი გუნდი იასპარეზებს. „ბორჯღალოსნები“ სამ შეხვედრას გამართავენ, მეტოქეები სამხრეთ აფრიკის „კინგზი“, არგენტინის „იაგუარები“ (A ნაკრები) და ნამიბიის ეროვნული ნაკრები იქნებიან.

ამ გუნდების გარდა IRB-ის ერთა თასისთვის იბრძოლებენ, რუმინეთისა და პორტუგალიის ნაკრებები.

**IRB-ის ერთა თასი**

**10 ივნისი**

**საქართველო-სამხრეთ აფრიკა კინგზი, რუმინეთი-ნამიბია, პორტუგალია-არგენტინის იაგუარები**

**15 ივნისი**

**საქართველო-არგენტინის იაგუარები, რუმინეთი-სამხრეთ აფრიკა კინგზი, პორტუგალია-ნამიბია**

**19 ივნისი**

**საქართველო-ნამიბია, პორტუგალია-სამხრეთ აფრიკა კინგზი, რუმინეთი-არგენტინა იაგუარები.**

ერთა თასი

# რუსები ბელეკში, რუმინელები კი შინ ემზადებიან

ევროპის ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების ძირითადი კონკურენტები, რუსეთისა და რუმინეთის ეროვნული გუნდები, მესამე ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ჯერ კიდევ 20 თებერვალს თურქეთის საკურორტო ქალაქ ბელეკს მიაშურა და „სტეუარის“ წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადება.

რუსთა ნაკრებს მწვრთნელთა შტაბში ახალი წევრი ჰყავს. ინგლისელმა **სტივ დაიმონდმა** გუნდი დატოვა და მის ნაცვლად შერკინების მწვრთნელად უელსელი **კინგსლი ჯოუნზი** მიიწვიეს. ის შერკინების მესამეხაზელი იყო და უელსის ეროვნულ გუნდში 10 კეპი მოუხვეჭავს. მოგვიანებით კი ინგლისური „სეილ შარქსის“ მთავარი მწვრთნელი და ტექნიკური დირექტორი გახლდათ.

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** თურქეთის შეკრებაზე 26 მორაგბე იხმო. გუნდს მხოლოდ ერთი ტრავმირებული მორაგბე, მეორეხაზელი **კირილ კულემინი** (აჟენი) აკლია.

სამაგიეროდ საგრძნობლადაა შესუსტებული რუმინეთის ეროვნული გუნდი. ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეს, ერთბაშად ხუთი წამყვანი მორაგბე დააკლდება: **მარიუშ ტინკუ, ალექსანდრუ მანტა, იონ პაულიკა, ბოგდან ბალანი** და **იონუც დიმოფტე**. რუმინელთა გუნდს დაუბრუნდა კაპიტანი **სორინ სოკოლი**, რომელმაც პირველი ტურის შეხვედრა, პორტუგალიაში, დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ტრავმები მოიშუშეს და გუნდთან ერთად ემზადებიან, ცხრა ნომერი **ლუჩიან სირბუ** და გარემარბი **კატალინ ფერკუ**.

**რუმინეთის ნაკრები**

პირველი ხაზი: **ვასილე მარისკარიუ (ბობინი), პეტრუ ტამბა (დინამო ბუქარესტი), სეზარ პოპესკუ (მაკონი), მიჰაიტა ლაზარი (ექსი), ნიკოლაე ნერე, ბოგდან ზებეგა (ორივე-სტიაუა), ანდრეი რადოი (ბაია მარე)**

მეორე ხაზი: **სორინ სოკოლი (ლურდი), კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ვალენტინ პოპირლანი (ბუქარესტი), მარიან დრენკეანუ (ტიმიშოარა)**

მესამე ხაზი: **სტელიან ბურეა (ტიმიშოარა), ვიორელ ლუკაჩი, დანიელ ლანუსი (ორივე-სტიაუა), მიჰაი მაკოვეი (ბაია მარე), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), დანიელ კარპო (ფარული)**

**№9: ლუჩიან სირბუ (მიო), ვალენტინ კალაფეტეანუ (ტიმიშოარა), ფლორინ სურუგიუ (ბუქარესტი)**

**№10: დანუც დუმბრავა (სტიაუა), გაბრიელ კონაკე (ტიმიშოარა).**

**№12-13: ჩაბა გალი (ბაია მარე), კონსტანტინ გეარა (ფარული), რობერტ დესკალუ, იონელ კაზანი (ორივე-სტიაუა)**

**№11-14: კატალინ ფერკუ, მადალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), მარიან აპოსტოლი, კატალინ ნიკოლაე (ორივე-ფარული)**

**№15: იულიან დუმიტრაში (ლურდი), ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა).**

**რუსეთის ნაკრები**

პირველი ხაზი: **ვალერი ცნობილაძე (სმენა), კარლო მალლაკელიძე (პენზა), ალექსანდრ ხროკინი, ალექსეი ტრავკინი, ვლადისლავ კორშუნოვი (სამივე-ვვა), ივან პრიშეპენკო (კრასნი იარი), ევგენი პრონენკო (ენისეი).**

მეორე ხაზი: **ანდრეი ოსტრიკოვი (ორიაკი), ალექსანდრ ვოიტოვი (ვვა).**

მესამე ხაზი: **არტიომ ფატახოვი, ალექსეი პანასენკო, ევგენი მატვეევი, კირილ კუშნარიოვი, ვიქტორ გრესევი (ყველა-ვვა), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი)**

**№9: ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი (ვვა)**

**№10: იური კუშნარიოვი (ვვა)**

**№12-13: მიხაილ ბაბაევი (ვვა), იგორ გალინოვსკი, ალექსეი მაკოვეცკი (კრასნი იარი)**

**№11-14: ვასილი არტემიევი, ანდრეი კუზინი (ორივე -ვვა), ვლადიმირ ოსტროუშკო (კრასნოდარი)**

**№15: კონსტანტინ რაჩკოვი (სტად ფოსენი), იგორ კლუჩნიკოვი (ვვა).**

**ერთა თასი**

**III ტური, 26 თებერვალი**

**პორტუგალია-საქართველო, რუმინეთი-რუსეთი, ესპანეთი-უკრაინა**

**IV ტური, 12 მარტი**

**საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი**

**V ტური, 19 მარტი**

**რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +119 | 10 |
| 2. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | +9 | 8 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +2 | 5 |
| 4. ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -64 | 1 |
| 5. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6. უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -59 | 0 |

სტიქია



# ტრაგედია ქრაისთჩერჩში

ახალზელანდიური ქალაქი ქრაისთჩერჩი შვიდბალიანმა მიწისძვრამ თითქმის მიწასთან გაასწორა. ქალაქის შენობათა ნაწილი მთლიანად დანგრეულია, ნაწილი კი მნიშვნელოვნად დაზიანებული. ამ დროისთვის ნაპოვნია 65 ადამიანის გვამი. რამდენიმე ასეული დაკარგულად მიიჩნევა.

არადა, სექტემბერში ეს ქალაქი მსოფლიო თასის ერთ-ერთი მთავარი მასპინძელი უნდა ყოფილიყო. საქართველოს ნაკრებს აქ განრიგის მიხედვით სამი დღე უნდა ეცხოვრა და 18 სექტემბერს ინგლისის ნაკრებთან ეთამაშა.

*„სინანულს გამოვთქვამთ და ვუსამძიმრებთ მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს. საშინელი ტრაგედია მოხდა. ახლა მთავარია, ამ სტიქიური უბედურებით გამოწვეული მძიმე შედეგები დროულად აღმოიფხვრას. ჩვენთვის ჯერ უცნობია, დაზიანდა თუ არა ის სტადიონი, რომელზეც მსოფლიო თასის გათამაშების მატჩები უნდა გამართულიყო“* - თქვა IRB-ის პრეზიდენტმა **ბერნარ ლაპასემ.**

უკვე ცნობილია, რომ მთლიანად განადგურებულია ტურისტული ინფრასტრუქტურა, დანგრეულია სასტუმროები, სადაც გუნდებსა და მათ ქომაგებს უნდა ეცხოვრათ. ძნელი წარმოსადგენია დარჩენილ მოკლე დროში ქალაქის სრულად აღდგენა მოხდეს. რაგბის საერთაშორისო საბჭოს იმედი აქვს, რომ ახალზელანდიელები, საჭიროების შემთხვევაში, სათადარიგო ქალაქს გამონახავენ.

ერთი სიტყვით, ქრაისთჩერჩს მსოფლიო თასი შეიძლება არ ეწვიოს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ზე რაგბის მატჩი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზსა“ და სამხრეთაფრიკულ „ნატალ შარქს“ შორის არ გაიმართება, რადგან აეროპორტი დაკეტილია.

ექვსი ერი

# ლე ბლეს მისია — შეაჩერეთ ეშტონი

საფრანგეთის ნაკრები შაბათს, „თვიქენემზე“ ექვსი ერის მესამე ტურის მატჩში, ინგლისის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. შესაძლოა, ამ თამაშში შეჯიბრების გამარჯვებული გამოვლინდეს, რადგან „ლე ბლე“ და „პომები“ აქამდე უდანაკარგოდ ასპარეზობენ და უმთავრეს ფავორიტებად ითვლებიან.

ფრანგთა თავკაცმა **მარკ ლივერმონმა** გუნდში ოთხი ცვლილება განახორციელა. ამათგან ორი, საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. მან ძირითადი ცხრა ნომერი **მორგან პარა** სათადარიგოთა სკამზე დასვა. მის ადგილს კი ქართული წარმოშობის **დიმიტრი იაშვილი** დაიკავებს. თადარიგში გადაინაცვლა შუამარბმა **დამან ტრაიმაც**, რომელსაც **ორელიან რუჟერი** შეცვლის.

ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა მესამეხაზელი **ჟულიენ ბონერი.** მას ლივერმონმა **სებასტიან შაბალი** არჩია. ფულბეკის პოზიციას კი, **კლემან პუატრენოს** ნაცვლად **მაქსიმ მედარი** დაიკავებს. ტულუზელ „მფრინავს“ მიკროტრავმა აქვს და ამჟამად ექიმების მეთვალყურეობით ვარჯიშობს.

*„უწინარესად ინგლისელებს სათამაშო არე უნდა დავუხშოთ. არაფრით შეიძლება ისინი ბურთს ხშირად ფლობდნენ. იტალიის ნაკრებთან მატჩში იმიტომ გაილაღეს, რომ ხელდახელ თავისუფლად ბურთაობის საშუალება მისცეს. ჩვენი ამოცანაა, შევაჩეროთ „პომების“ გარემარბი ბრაიან ეშტონი“* - თქვა მარკ ლივერმონმა.

**საფრანგეთი: 15. მაქსიმ მედარი, 14. იოან უგე, 13. ორელიან რუჟერი, 12. იანიკ ჟოზიონ, 11. ვინსან კლერი, 10. ფრანსუა ტრინ-დუკი, 9. დიმიტრი იაშვილი. 1. ტომა დომინგო, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლა მასი, 4. ჟულიენ პიერი, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. იმანოლ არინორდოკი, 8. სებასტიან შაბალი**

**16. გიომ გურადო, 17. სილვენ მარკონე, 18. ჟერომ ტიონი, 19. ჟულიენ ბონერი, 20. მორგან პარა, 21. დამიენ ტრაი, 22. კლემან პუატრენო.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


ბურთით დიმიტრი იაშვილი

msy.gov.ge

● კალათბურთი

# კარმელო ნიქსშია!



კარმელო და ამარე ერთად ითამაშებენ

როგორც იქნა დასრულდა **კარმელო ენტონის** სატრანსფერო ისტორია. გაირკვა, რომ NBA-ის ვარსკვლავი **ამარე სტაუდმაიერს** შეუერთდება და „ნიუ იორკ ნიქსში" გააგრძელებს კარიერას. ნიუიორკულმა კლუბმა სამგუნდიანი მასშტაბური ტრეიდი განახორციელა, რომელშიც „დენვერის" გარდა „მინესოტაც" იყო ჩართული.

მაშ ასე, „ნიუ იორკმა" „დენვერის" მიმართულებით გაუშვა **უილსონ ჩენდლერი, რეიმონდ ფელტონი, დანილო გალინარი** და **ტიმოფეი მოზგოვი**. გარდა ამისა, „ნაგეტსმა" ხელში ჩაიგდო 2014 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის უფლება, 2012 და 2013 წლების დრაფტების მეორე რაუნდის არჩევანი და აგრეთვე სამი მილიონი დოლარი.

კარმელო ენტონის „ნაგეტსიდან" „ნიუ იორკში" მიჰყვებიან **ჩონსი ბილაპსი, შელდენ უილიამსი, ენტონი პარკერი** და **რენალდო ბოლკმენი**. გარდა ამისა, „ნიქსი" „მინესოტას" სასარგებლოდ შეელია **ენტონი რენდოლფსა** და **ედი კარის**, მათ ნაცვლად კი **კორი ბრიუერი** მიიღო.

მიმდინარე სეზონში ენტონი საშუალოდ 25.2 ქულასა და 7.6 მოხსნას აგროვებს. თებერვალში მისი შედეგიანობა ხუთი ქულით გაიზარდა. კარმელოს ახალი გუნდი - „ნიუ იორკი" 54 მატჩში 28 მოგებით მეექვსეა აღმოსავლეთ კონფერენციაში. „დენვერს" 57 მატჩში 32 მოგებით მეშვიდე ადგილი უკავია დასავლეთში.

*„მოხარული ვარ, რომ ეს ისტორია დასასრულს მიაუხლოვდა. გუნდის შექმნა თავიდან იწყება. რა თქმა უნდა, გარკვეული სინანული არსებობს, მაგრამ ცხოვრება გრძელდება"*, - განაცხადა „დენვერის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯორჯ კარლმა**.

ცნობილ სპეციალისტს ყველაზე მეტად ჩონსი ბილაპსის წასვლამ დაწყვიტა გული, რადგან ამ კალათბურთელს „დიად ჩემპიონად" მიიჩნევს.

# ისინიც ადამიანები არიან

**„ყველა ვარსკვლავის მატჩის" წინ ESPN-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა საინტერესო მასალა „ოლ სტარის" მონაწილე 24 კალათბურთელის შესახებ. აქ მოყვანილია NBA-ის ვარსკვლავების ცხოვრებისეული ფაქტები და ისტორიები...**

- **კრის პოლის** ბაბუა ტრაგიკულად დაიღუპა. „ნიუ ორლეანის" მომავალმა ვარსკვლავმა გამთამაშებელი. საყვარელი ბაბუას დაღუპვის დღეს 61 ქულა დააგროვა - სწორედ ამდენი წელი იცოცხლა ბაბუამისმა.

- **კობი ბრაიანტი** ბევრ ინტერვიუში ხაზს უსვამს ევროპული ფეხბურთისა და კერძოდ „ბარსელონასადმი" სიყვარულს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობა მილანში გაატარა და თავის დროზე „როსონერის" ფანი იყო. კობიმ ზაფხულში სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე სტუმრობაც მოასწრო.

- **კარმელო ენტონი** დენვერში საპარიკმახეროს მფლობელია, რომელსაც „სტუდია 15" ჰქვია და იქ „დენვერის" ვარსკვლავი ახალგაზრდებისთვის აქციებს მართავს - გარკვეულ დღეებში მათ უფასოდ შეუძლიათ გალამაზება. და კიდევ, ენტონის დაბადების რიცხვი და თვე ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პრეზიდენტის **ჯონ კენედის** დაბადების თარიღს ემთხვევა.

- **კევინ დურანტის** ერთ-ერთ საუკეთესო მეგობრად რჩება **მაიკლ ბიზლი**, რომელთანაც დურანტი ბავშვობიდან მეგობრობს. ხოლო ბავშვობაში კევინის კერპი **ვინს კარტერი** იყო.

- **კევინ ლავი** დისნეის ტელეარხის სერიალ The Suite Life on Deck-ის ერთ-ერთი ეპიზოდში გამოჩნდა **დუაიტ ჰოვარდთან** და **დერონ უილიამსთან** ერთად. მანამდე „მინესოტას" მძიმე ფორვარდს მცირე ტელეგამოცდილება ჰქონდა - სერიალ Entourage-ში შეასრულა ეპიზოდური როლი.

- რომ არა კალათბურთი და გარკვეული გარემოებები, „სან ანტონიოს" ლეგენდა **ტიმ დანკანი**, შესაძლოა, წარმატებული მოცურავე გამხდარიყო. ვირჯინიის კუნძულებზე დაბადებული სპორტსმენი 1992 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლასაც კი აპირებდა. მაგრამ ქარიშხალმა „ჰიუგომ" დაანგრია კუნძულზე ერთადერთი ნორმალური აუზი, ამიტომაც ტიმი კალათბურთზე გადაერთო.

- **მანუ ჯინობილი მაიკლ ჯორდანისა** და **დიეგო მარადონას** დიდი თაყვანისმცემელია, უყვარს ფილმები - „მეექვსე გრძნობა" და „ფორესტ გამპი", ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია, რაშიც თავად დარწმუნდებით, თუ მის პირად გვერდებს იხილავთ Twitter-სა და Facebook-ზე.

- **რასელ უესტბრუკი** კალიფორნიის ქალაქ ლონგ ბიჩიდანაა, სადაც **სნუპ დოგი** და **ნიკოლას ქეიჯი** დაიბადნენ. ბავშვობაში ოკლაჰომელი **მეჯიქ ჯონსონის** ფანი იყო.

- ესპანელი **პაუ გასოლი** კი ახალგაზრდობაში ექიმობაზე ოცნებობდა და ერთი წელი ბარსელონის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯშიც კი ისწავლა. მაშინ 18 წლის იყო. მაგრამ კალათბურთმა მის გეგმებს ხაზი გადაუსვა.

- სპორტული ოჯახიდან (დედაც და მამაც პროფესიონალი სპორტსმენები იყვნენ) გამოსული **დირკ ნოვიცკი** თავისუფალ დროს გიტრაზე და საქსოფონზე დაკვრას ალმერთებს.

- **დერონ უილიამსის** საყვარელი დევიზია: *„ყველაფერი, რაც არ გვკლავს - უფრო ძლიერად გვაქცევს"*.

- სუპერდებიუტანტმა **ბლეიკ გრიფინმა** მოიფიქრა, როგორ გამოიყენოს კაცობრიობის საკეთილდღეოდ თავისი ნიჭი. ის ყოველი საკუთარი ჩატენვისთვის 100 დოლარს ხარჯავს ქველმოქმედებაში.

- მართალია **დერიკ როუზი** ლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ათლეტია, მაგრამ მეტსახელად „პუჰი" ჰქვია. ბავშობაში ის ძალიან ჰგავდა **მილნის** ზღაპრის ცნობილ გმირს და ბებიამაც შვილიშვილს ასეთი სახელი მოუგონა.

- **დუეინ უეიდს** ყველა Flash-ს („ანთება", „აფეთქება") ეძახის, მაგრამ ბევრმა არ იცის ამ მეტსახელის წარმოშობის ისტორია. მისი ავტორი ენაკვიმატი **შაკილ ო'ნილია**. ის მღეროდა „ქუინის" კომპოზიციას („ის საუკეთესოა მთელს მსოფლიოში"), რომელიც შესულია ფილმში - Flash Gordon.

- **ლებრონ ჯეიმსის** შესახებ უამრავი ფაქტისა და ისტორიის მოყვანა შეიძლება, რადგან მისი ყოველი ნაბიჯი აქტიურად შუქდება პრესაში. Twitter-ში ლებრონის პირადი გვერდის გაცნობისას ასეთ ფაქტებს წააწყდებით: პატივს სცემს **ენტონი ჰოპკინსს**, ალმერთებს ქალაქ ნიუ იორკს, გატაცებულია ამერიკული ფეხბურთით და ა.შ.

- გასულ წელს **ამარე სტაუდმაიერმა** თავისი ფესვების გამოკვლევა გადაწყვიტა. მანამდე დედამისმა განაცხადა, რომ ისინი წარმოშობით ებრაელები არიან. ამიტომაც ამარე ისრაელს ეწვია მშობლიური კულტურის გასათავისებლად.

- სუპერმენი **დუაიტ ჰოვარდი** „გოსპელის" ჟანრის დიდი თაყვანისმცემელია, შესაბამისად, ის სიამოვნებით დადის ეკლესიაში რელიგიური მოტივებზე შექმნილი მუსიკის მოსასმენად.

- **რაჟონ რონდოს** უყვარს რეპი, განსაკუთრებით T.I. და Jay-Z, პატივს სცემს ჩოგბურთს, გულშემატკივრობს ბეისბოლის გუნდ „რედ სოქსს", ალმერთებს ძილს. მისი საყვარელი კალათბურთელია... რაჟონ რონდო.

- სამქულიანების რაოდენობით NBA-ის რეკორდსმენ **რეი ალენს** ერთგვარი ნერვული აშლილობა აქვს, რაც აკვიატებულ აზრებსა და მოძრაობებში გამოიხატება. მაგალითად, თუ ის იატაკზე ქაღალდს ნაგლეჯს შენიშნავს, აუცილებლად დაიხრება მის ასაღებად.

- **პოლ პირსისთვის** ბავშვობაში საუკეთესო გასართობი ტელევიზორში „ლეიკერსისა" და „სელტიქსის" მატჩების ყურება იყო. მეტსახელი - „სიმართლე", რა თქმა უნდა, შაკმა მოუგონა.

- **კევინ გარნეტი** სულაც არ არის გურმანი. თავის საყვარელ კერძებად პიცას, ჰამბურგერსა და შემწვარ კარტოფილს ასახელებს. ძალიან სასარგებლო კვებაა სპორტსმენისთვის!

- **კრის ბოშმა** „მაიამიში" გადასვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ის დაასახელა, რომ ფლორიდაში NBA-ის ყველა მატჩის ხილვის საშუალება ექნებოდა. მისი თქმით, ტორონტოში შეუძლებელი იყო საჭირო არხის მონახვა.

- **ელ ჰორფორდი** დომინიკის რესპუბლიკაში დაიბადა. ამიტომაც მისთვის გართობის საყვარელი სახეობაა პლაჟზე ან აუზზე ნებივრობა. გარდა ამისა, მას ძალიან კარგად შეუძლია მაგიდის ჩოგბურთის თამაში.

-"ატლანტას" კიდევ ერთი კალათბურთელის **ჯო ჯონსონისთვის** საუკეთესო გასართობია ბოულინგის თამაში, კინოში სიარული და ამერიკული ფეხბურთი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ბოსტონის დიდი ოთხეული

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „სან ხოსე შარქსის" მეკარე **ანტი ნიემი** დაასახელა. ამ გოლკიპერმა სამ მატჩში საშუალოდ 0.98 გოლი გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 96.3 პროცენტი მოიგერია. მისმა გუნდმა სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა და დასავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ფინელმა 81 დარტყმიდან 78 მოიგერია. 17 თებერვალს „კოლორადოსთან" მატჩში ნიემიმ 25 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეხუთე „შათაუტი" შეასრულა.

მეორე ვარსკვლავი „ნიუ ჯერსის" მეკარე **იოჰან ჰედბერგი** გახდა. ამ გოლკიპერმა სამ მატჩში საშუალოდ 1.00 გოლი გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 95.6 პროცენტი მოიგერია. სამი შეხვედრიდან ერთში ჰედბერგმა სეზონში მეორე „შათაუტი" შეასრულა. 6 თებერვლიდან მოყოლებული, 37 წლის შვედი მეკარე ტრავმირებულ **მარტინ ბროდოს** ცვლის და მას შემდეგ ექვსიდან ექვსი მატჩი მოიგო.

მესამე ვარსკვლავია „ედმონტონ ოილერზის" ფორვარდი **ალეშ ჰემსკი**. 27 წლის ჩეხი გასული კვირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - სამ მატჩში 7 ქულა (4+3) დააგროვა. ჰემსკი „ედმონტონის" ლიდერის ქულების რაოდენობით - 40 ქულა (13+27) 42 მატჩში. ფორვარდმა ბოლო რვა მატჩში 11 ქულა დააგროვა და ახლა შვიდი ქულა აკლია კარიერაში 400-ქულიანი ზღვრის მისაღწევად.

**აილენდერსი-ფლორიდა 5:1**

**2:0, 2:0, 1:1**

**გოლები**: 1:0 მოულსონი-24 (ტავარესი-29, ჰამონიკი-14), 2:0 მოულსონი-25 (პარენტო-24, ჰამონიკი-15), 3:0 მარტინეკი-2 (ნილსენი-24), 4:0 ბეილი-9 (კომო-20, ენდრიუ მაკდონალდი-18), 4:1 სანტორელი-17 (გარისონი-8, ვიდემანი-24), 5:1 მოულსონი-26 (ჰილენი-10, კონოპკა-6).

**სტ. ლუისი-ჩიკაგო 3:5**

**2:0, 0:4, 1:1**

**გოლები**: 1:0 ენდი მაკდონალდი-13 (ბერგლუნდი-22, პიეტრანჯელო-26), 2:0 ბოიესი-12 (ოში-15, ვინჩესტერი-5), 2:1 სტალბერგი-9 (კოპეცკი-23, რ. ჯონსონი-1), 2:2 ბოლანდი-13 (მარიან ჰოსა-21, ბიკელი-17), 2:3 პ. კეინი-20 (ტეუვზი-35, შარპი-23), 2:4 ტეუვზი-20 (პ. კეინი-31, სიბრუკი-28), 3:4 პიეტრანჯელო-7 (ოში-16, ბერგლუნდი-23), 3:5 მარიან ჰოსა-13 (სიბრუკი-29, რ. ჯონსონი-2).

**პიტსბურგი-ვაშინგტონი 0:1**

**0:0, 0:1, 0:0**

**გოლი**: 0:1 ოვეჩკინი-24 (მ. იოჰანსონი-8, ნუბლი-10).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფილადელფია* | 59 | 39 | 15 | 5 | 83 |
| 2. ტამპა ბეი* | 59 | 34 | 18 | 7 | 75 |
| 3. ბოსტონი* | 59 | 33 | 19 | 7 | 73 |
| 4. პიტსბურგი | 61 | 36 | 20 | 5 | 77 |
| 5. ვაშინგტონი | 61 | 32 | 19 | 10 | 74 |
| 6. მონრეალი | 60 | 31 | 22 | 7 | 69 |
| 7. რეინჯერსი | 61 | 31 | 26 | 4 | 66 |
| 8. კაროლინა | 60 | 28 | 24 | 8 | 64 |
| 9. ბაფალო | 58 | 27 | 25 | 6 | 60 |
| 10. ატლანტა | 60 | 25 | 25 | 10 | 60 |
| 11. ფლორიდა | 59 | 25 | 27 | 7 | 57 |
| 12. ტორონტო | 59 | 25 | 27 | 7 | 57 |
| 13. ნიუ ჯერსი | 59 | 25 | 30 | 4 | 54 |
| 14. აილენდერსი | 60 | 23 | 30 | 7 | 53 |
| 15. ოტავა | 59 | 19 | 31 | 9 | 47 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვანკუვერი* | 60 | 38 | 13 | 9 | 85 |
| 2. დეტროიტი* | 59 | 37 | 16 | 6 | 80 |
| 3. ფინიქსი* | 60 | 32 | 19 | 9 | 73 |
| 4. სან ხოსე | 60 | 33 | 21 | 6 | 72 |
| 5. ნეშვილი | 59 | 31 | 20 | 8 | 70 |
| 6. კალგარი | 61 | 31 | 22 | 8 | 70 |
| 7. მინესოტა | 59 | 31 | 22 | 6 | 68 |
| 8. დალასი | 59 | 31 | 22 | 6 | 68 |
| 9. ლოს ანჯელესი | 59 | 32 | 23 | 4 | 68 |
| 10. ანაჰაიმი | 60 | 32 | 24 | 4 | 68 |
| 11. ჩიკაგო | 60 | 31 | 23 | 6 | 68 |
| 12. კოლამბუსი | 58 | 29 | 23 | 6 | 64 |
| 13. სტ. ლუისი | 58 | 27 | 22 | 9 | 63 |
| 14. კოლორადო | 59 | 25 | 27 | 7 | 57 |
| 15. ედმონტონი | 59 | 19 | 32 | 8 | 46 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| დანიელ სედინი (ვან) | 77 (32+45) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 75 (40+35) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 72 (14+58) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 69 (20+49) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 66 (32+34) |
| კორი პერი (ანა) | 66 (30+36) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 65 (17+48) |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 63 (24+39) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 62 (24+38) |
| ერიკ სტაალი (კარ) | 58 (27+31) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 40 |
| რაიან კესლერი (ვან) | 33 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 32 |
| დანიელ სედინი (ვან) | 32 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 31 |
| კორი პერი (ანა) | 30 |
| დენი ბრიერი (ფილ) | 28 |
| ბობ რაიანი (ანა) | 28 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 58 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 49 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 48 |
| დანიელ სედინი (ვან) | 45 |
| კით იენდლი (ფინ) | 41 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 39 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 38 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 38 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 38 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 38 |

● ჩოგბურთი. ტურნირები

# ერთი ფავორიტით ნაკლები

ამ კვირას ჩოგბურთელებმა ხუთ ტურნირზე აიღეს სტარტი. ყველაზე მეტ ყურადღებას დოჰაში ქალებისა და დუბაიში მამაკაცების შეჯიბრებები იპყრობს.

პირველ დღეს დოჰაში მხოლოდ სამი მატჩი ჩატარდა, მაგრამ უკვე დაფიქსირდა ერთი მოულოდნელობა. ჩეხმა **ლუსი საფაროვამ** ბრძოლას გამოთიშა მეშვიდე ნომრად განთესილი პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა**, რომელმაც ავსტრალიის ღიაზე კარგად წარმოაჩინა თავი.

პოლონელმა ძალიან კარგად დაიწყო შეხვედრა და პირველ პარტიაში 5:1 დაწინაურდა, მაგრამ ამ სეტში საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც უკვე ფსიქოლოგიური უპირატესობა საფაროვას მხარეს იყო და მან პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტში კი ყველაფერი გაცილებით სწრაფად განვითარდა - ჩეხმა მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო მეტოქეს და დამაჯერებლად შეაბიჯა მეორე წრეში.

ტურნირში ჩაება ორი რუსი - **ნადეჟდა პეტროვა** და **ალისა კლეიბანოვა**. პეტროვამ წინა კვირას იტალიელ **რობერტა ვინჩისთან** წაგებისთვის რევანში აიღო, კლეიბანოვამ კი, რომელმაც ერთი კვირის წინ მსოფლიოს მესამე ჩოგანი **ვერა ზვონარევა** დაამარცხა, ამჯერად ვერაფერი მოუხერხა ფრანგ **მარიონ ბარტოლის**.

დოჰას ტურნირში უნდა ეთამაშა სერბ **ანა ივანოვიჩს**, მაგრამ მას მუცლის კუნთის დაჭიმვის გამო განაცხადის გამოტანა მოუხდა.

*„ამ ამბავმა ძალიან გამანაწყენა, რადგან ძალიან მოტივირებული ვიყავი. ეს ტრავმა ზღუდავს ჩემს შესაძლებლობებს, განსაკუთრებით მოწოდების დროს. ამიტომაც მკურნალობის თავიდან დაწყება და დასვენება მომიწევს“*, - განაცხადა ივანოვიჩმა.

■ ■ ■

მამაკაცებს შორის დელრეი ბიჩის ტურნირში უკვე აიღო სტარტი მესამე ნომრად განთესილმა **სემ კუერიმ**, რომელმაც **დასტინ ბრაუნი** სამ სეტში დაამარცხა და ამ მეტოქესთან ურთიერთშეხვედრებში ანგარიში გაათანაბრა.

ამერიკელმა მხოლოდ ექვსი ეისი ჩააწოდა - ექვსით ნაკლები, ვიდრე მისმა იამაიკელმა მეტოქემ, მაგრამ ბრეიკ-პოინტების უკეთესმა რეალიზაციამ სემს ეს შეხვედრა მოაგებინა.

მასპინძელ ჩოგბურთელს დარჩა გამარჯვება ამერიკულ-გერმანულ დუელში - **ჯეიმს ბლეიკმა** მეშვიდე ნომრად განთესილი **ბენიამინ ბეკერი** დაამარცხა. სხვათა შორის, იმ დღეს კიდევ ერთმა გერმანელმა წააგო - **რაინერ შუტლერი** სამ სეტში დამარცხდა **რიკარდო მელოსთან**.

ტურნირს ერთი ამერიკელიც გამოემშვიდობა - 11 ეისის მიუხედავად, **რაიან ჰარისონმა** სამ სეტში წააგო **ფლორან სერასთან**.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ დელრეი ბიჩის ტურნირი პირველ ნომრად განთესილი **ენდი როდიკის** გარეშე დარჩა. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ჯერ კიდევ გასულ კვირას, მემფისის ტურნირის ფინალის წინ იგრძნო თავი ცუდად და ახლა დასვენებას გადაწყვიტა, რათა უკეთ მოემზადოს 5-6 მარტს დევისის თასზე ჩილესთან გასამართი მატჩისთვის.

დუბაის ტურნირს გამოაკლდა ერთი განთესილი - ივან ლუბიჩიჩმა ტრავმის გამო ვერ გააგრძელა მატჩი უკრაინელ **სერგეი სტახოვსკის** წინააღდეგ. სავარაუდოდ, ხორვატს ამ დაზიანების გამო ინდიან უელსის მასტერსის გამოტოვება მოუწევს.

დღის სხვა მატჩები პროგნოზისამებრ დასრულდა და განთესილებმა წარმატებით გაიარეს პირველი წრის ბარიერი. **ერნესტ გულბისმა** შეწყვიტა სამმატჩიანი წაგებათა სერია. ლატვიელს საათ-ნახევარი ებრძოდა **მიხაელ ბერერი**. გერმანელს მხოლოდ სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ვერც ერთი ვერ გამოიყენა. ამის მიზეზი გულბისის 10 ეისიც იყო.

**რიშარ გასკე გრიგორ დიმიტროვს** ეთამაშებოდა და 64 წუთში იოლ გამარჯვებას მიაღწია. ასევე დამაჯერებელი იყო თავისი მოწოდებებისას **ფილიპ პეტცშნერი** - 14 ეისი დაეხმარა **ანდრეას სეპის** სამ პარტიაში დამარცხებაში. **ფლორიან მაიერმა** ფინელ **იარკო ნიემინენთან** მატჩში ათიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და 65 წუთში ჩაეტია. დაბოლოს, **ტომაშ ბერდიხს** არანაირი პრობლემა არ ჰქონია **ჟერემი შარდისთან** მატჩში.

## ATP

### Dubai Tennis Championships

დუბაი (საემიროები). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 619 500 დოლარი

**ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-ანდრეას სეპი (იტა) 3:6, 7:6, 6:2; **ერნესტ გულბისი (ლატ, 8)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:3, 6:4; **რიშარ გასკე (საფ)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 6:2, 6:4; **ფლორიან მაიერი (გერ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:4, 6:2; **ლუკაშ როლოსი (ჩეხ)**-კაროლ ბეკი (სლოვაკ) 7:6, 6:3; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 3)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:2, 6:3; **სერგეი ბუბკა (უკრ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 5) 6:1, 0:1 უარი.

### Abierto Mexicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 995 000 დოლარი

**სანტიაგო გონსალესი (მექ)**-დანიელ გარსა (მექ) 6:2, 7:6; **ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-ფედერიკო ჟილი (პორ) 6:1, 3:6, 6:4; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 7:5, 6:0; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 6)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 7:5, 6:2; **სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-ალბერტ რამოს-ვინოლასი (ესპ) 4:6, 7:5, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 1)**-ადრიან უნგური (რუმ) 6:1, 6:3.

### International Tennis Championships

დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 442 5000 დოლარი

**ფლორან სერა (საფ)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 3:6, 6:3, 7:5; **რიკარდო მელო (ბრა)**-რაინერი შუტლერი (გერ) 2:6, 6:2, 6:3; **სემ კუერი (აშშ, 3)**-დასტინ ბრაუნი (იამ) 6:3, 5:7, 6:3; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ, 7) 7:5, 6:4; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-ჯონ ისნერი (აშშ, 4) 6:4, 5:7, 7:6.

## WTA

### Qatar Ladies Open

დოჰა (კატარი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 721 000 დოლარი

**მარიონ ბარტოლი (საფ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 7:5, 6:2; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7) 7:6, 6:3; **ნადეჟდა პეტროვა (რუს)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:4, 6:2.

### Abierto Mexicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**არანჩა პარა-სანტონხა (ესპ, 6)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 7:6, 7:6; **სორანა კირსტეა (რუმ)**-პატრისია მეირი (ავსტრია) 6:2, 6:4; **ჯულია გორჯესი (გერ, 1)**-ხიმენა ერსომო (მექ) 6:1, 6:2; **პოლინ პარმენტიე (საფ)**-ლუცია ონდრაშკოვა (ჩეხ) 6:3, 7:5.



აგნიეშკა რადვანსკა

# ანჩიჩი ინფექციამ დაამარცხა

ცნობილმა ხორვატმა ჩოგბურთელმა **მარიო ანჩიჩმა** პროფესიული კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 26 წლის მოთამაშეს პროფესიულ ტურში სამი ტურნირი აქვს მოგებული - ორჯერ ჰერტოგენბოში (2005, 2006) და ერთხელ სანკტ-პეტერბურგში (2006), გარდა ამისა, ხუთჯერ გაიმარჯვა წყვილთა თანრიგში. „დიდი სლემის“ ტურნირებზე ანჩიჩის საუკეთესო შედეგია 2004 წელს უიმბლდონის ნახევარფინალში გასვლა.

2007 წელს ხორვატს მონონუკლეოზის დიაგნოზი დაუსვეს. მარიომ რამდენჯერმე სცადა დიდ სპორტში დაბრუნება, მაგრამ დევისის თასის 2005 წლის ჩემპიონს ტრავმებმა არ მისცეს სრული ძალით თამაშის საშუალება. ბოლო მატჩი ანჩიჩმა გასული წლის მაისში მიუნხენის ტურნირზე ითამაშა, სადაც პირველივე წრეში წააგო ავსტრიელ **დანიელ კოლერერთან**.

ანჩიჩის საუკეთესო მაჩვენებელი ATP-ის რეიტინგში მეშვიდე ადგილი იყო.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი** არ ითამაშებს საჩვენებელ ტურნირში (Nike Clash of the Champions), რომელიც 8 მარტს ამერიკის ქალაქ პორტლენდში გაიმართება. ჩოგბურთელმა, რომელიც შარშანდელი ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციის კურსს გადის, ექიმების რჩევის შემდეგ თქვა უარი პორტლენდში თამაშზე.

ამ საჩვენებელი ტურნირის მონაწილეთა შორის იქნებიან **როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი, მარია შარაპოვა** და **ვიქტორია აზარენკა**, რომელიც სერენას ადგილს დაიკავებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● TV პროგრამა

## 23 თებერვალი. ოთხშაბათი

### I არხი

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. მარსელი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

### რუსთავი 2

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბაიერნი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

20:45 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-სევილია (LIVE).
23:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. მარსელი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
04:45 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე-ნასიონალი (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

22:25 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. კადეტენი-ჩეხოვსკიე მედვედი (LIVE).
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-სან ხოსე (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

18:55 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეი ოფი. I მატჩი. ეკზაჩიბაში-ტურკ ტელეკომი (LIVE).
23:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. მარსელი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

### НТВ-პლუსი (კლასიკა)

23:10 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეი ოფი. I მატჩი. ვოლერო-სკავოლინი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)

14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა (LIVE).

### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

20:35 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. პანათინაიკოსი-ლეტუვოს რიტასი (LIVE).
23:40 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ოლიმპია-რომა (LIVE).
04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ჩიკაგო (LIVE).

### SPORT+

21:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-რომა (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბაიერნი (LIVE).

### EUROSPORT

16:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
22:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
03:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).

● ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ჩემპიონთა ლიგა

#### 1/8 ფინალი. I მატჩები

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ჩელსი | 0:2 |
| ლიონი-რეალი | 1:1 |

### ევროპის ლიგა

#### 1/16 ფინალი. II მატჩი

| | |
|---|---|
| ცსკა-პაოკ | 1:1 (1:0) |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| სილკებორგი-კარპატი | 1:2 |
| ჟიჟკოვი-იჰლავა | 1:1 |
| სევასტოპოლი-ვენტსპილსი | 2:0 |
| კარტახენა-სტაბეკი | 0:3 |
| ჰიუსტონი-სიეტლი | 2:2 |
| ელფსბორგი-ორგრიტე | 3:1 |

### ინგლისი

| | |
|---|---|
| ბლეკპული-ტოტენჰემი | 3:1 |

### ჩემპიონშიპი

| | |
|---|---|
| კარდიფი-ლესტერი | 2:0 |
| ქოვენთრი-სუონსი | 0:1 |
| დერბი-ჰალი | 0:1 |
| ლიდსი-ბარნსლი | 3:3 |
| ნორვიჩი-დონკასტერი | 1:1 |
| ნოტინგემი-პრესტონი | 2:2 |
| პორტსმუთი-კრ. პალასი | 1:0 |
| სკანთორფი-შეფილდი | 3:2 |
| უოტფორდი-ბრისტოლი | 1:3 |
| ქუინზ პარკი-იფსვიჩი | 2:0 |
| რედინგი-მილუოლი | 2:1 |

### I ლიგა

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-უენსდი | 0:0 |
| ბრენტფორდი-ტრანმერი | 2:1 |
| ბრაიტონი-პლიმუტი | 4:0 |
| კარლაილი-ექსეტერი | 2:2 |
| დაგენჰემი-ჰადერსფილდი | 1:1 |
| ჰარტლპული-საუთჰემპტონი | 0:0 |
| მილტონი-ოლდჰემი | 0:0 |
| პიტერბრო-კოლჩესტერი | 1:1 |

### II ლიგა

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-კრიუ | 3:2 |
| ბრედფორდი-ჩესტერფილდი | 0:1 |
| ჩელტენემი-ტორკი | 2:2 |
| ჰერეფორდი-ნორთჰემპტონი | 1:1 |
| მაკლსფილდი-მორეკამბი | 2:0 |
| პორტ ვეილი-სტევენეიჯი | 1:3 |
| საუთენდი-ბარნეტი | 2:1 |
| უიკომბი-ბარტონი | 4:1 |

### კონფერენსი

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-რექსჰემი | 0:1 |
| ალტრინჩემი-იორკი | 0:0 |
| ბაროუ-ტამუორტი | 0:2 |
| ბეტი-ნიუპორტი | 2:2 |
| ქროული-საუთპორტი | 1:0 |
| დარლინგტონი-კიდერმინსტერი | 1:1 |
| გრიმსბი-ფორესტ გრინი | 1:1 |
| ჰისტონი-კემბრიჯი | 0:2 |
| კეტერინგი-გეიტშიდი | 1:4 |
| რაშდენი-ისტბურნი | 2:0 |

### იტალია

#### სერია B

| | |
|---|---|
| პესკარა-ემპოლი | 1:0 |

### გერმანია

#### III ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| შტუტგარტი A-ჰაიდენჰაიმი | 2:1 |

### შოტლანდია

| | |
|---|---|
| აბერდინი-ჰემილტონი | 1:0 |
| სტ. ჯონსტონი-დანდი იუნ | 0:0 |

#### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| მორტონი-პარტიკი | 1:0 |
| ქუინი-სტირლინგი | 2:2 |
| რეითი-დანდი | 1:2 |
| როსი-დანფერმლაინი | 0:0 |

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| დამბარტონი-პიტერჰედი | 3:0 |
| ეირდრი-ფორფარი | 2:0 |
| ბრეჩინი-ლივინგსტონი | 1:0 |

#### III დივიზიონი

| | |
|---|---|
| ქუინზ პარკი-ანენი | 3:0 |
| ბირუიკი-მონროუზი | 1:0 |
| კლაიდი-ალბიონი | 0:1 |

### სლოვენია

| | |
|---|---|
| ოლიმპია-რუდარი | 2:2 |

### ჩილე

| | |
|---|---|
| ო'ჰიგინსი-უნ. კატოლიკა | 2:3 |

## კალათბურთი

### ევროთასი

| | |
|---|---|
| ბუდიველნიკი-არისი | 73:78 |
| ცედევიტა-ჰემოფარმი | 73:71 |
| ნიმბურკი-ესტუდიანტესი | 86:88 |
| გალათასარაი-კაზერტა | 54:64 |
| ალბა-ბენეტონი | 74:82 |
| ლე მანი-გოტინგენი | 77:83 |
| სევილია-პანელინიოსი | 84:71 |
| გრან კანარია-უნიქსი | 76:73 |

### ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| პროსტეევი-ზადარი | 99:82 |
| სპარტაკი-ლუკოილი | 86:80 |
| ვენტსპილსი-ნორჩეპინგი | 104:69 |
| ლოკომოტივი-ოსტენდე | 70:62 |
| მაკაბი (ჰ)-ნეთანია | 74:77 |
| კრკა-პინარი | 86:81 |
| გრაველინი-ბენფიკა | 91:82 |
| ანტვერპენი-მონსი | 58:65 |

## ჰოკეი

### ავსტრია

| | |
|---|---|
| აკრონი-გრაცი | 1:3 |
| ალბა-ლინცი | 5:0 |
| ვენა-ოლიმპია | 4:3 |
| ზალცბურგი-ვილახი | 3:2 (ო) |
| კლაგენფიურტი-ზაგრები | 1:4 |

### ბელარუსი

| | |
|---|---|
| ბრესტი-ნემანი | 3:6 |
| გომელი-შინიკი | 5:2 |
| ლიეპაიასი-მეტალურგი | 5:1 |
| ხიმიკი-იუნოსტი | 0:7 |
| ხიმვოლოკნო-ვიტებსკი | 4:1 |
| სოკილი-შახტარი | 2:3 (ბ) |

### გერმანია

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 2:1 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სტიორნენი-მანგლერუდი | 3:4 (ბ) |
| ფრისკ ასკერი-რუსენბორგი | 5:1 |
| ლილეჰამერი-სტორჰამარი | 2:1 (ო) |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| საიპა-ტაპარა | 5:2 |
| ილვესი-პელიკანსი | 5:4 |
| იუვიასკიულა-ჰიფკ | 4:2 |
| კალპა-ჰპკ | 3:2 |
| კერპეტი-ტპს | 4:3 (ო) |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბილი-ამბრი | 4:0 |
| დავოსი-რაპერსვილი | 2:0 |
| სერვეტი-კლოტენი | 3:4 |
| ფრიბურგი-ლუგანო | 2:3 (ო) |
| ცუგი-ლანგნაუ | 7:2 |
| ციურიხი-ბერნი | 1:4 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| აიკ-ბრიუნასი | 4:1 |
| მოდო-ჰვ71 | 3:2 |
| ტიმრა-ლულეო | 2:4 |
| ფერიესტადი-ლინჩოპინგი | 3:2 (ო) |
| შელეფტეო-სიოდერტალე | 4:3 |

## ჩოგბურთი

### ATP. დუბაი

| | |
|---|---|
| **ჯოკოვიჩი**-ლოდრა | 6:3, 6:3 |
| ტროიცკი-**კოლშრაიბერი** | 1:6, 6:7 |
| **დავიდენკო**-გარსია ლოპესი | 6:2, 6:0 |
| ბალდატისი-**გოლუბევი** | 0:6, 0:6 |
| **ფ. ლოპესი**-ლუ | 6:0, 6:0 |
| ტურსუნოვი-**გრანოლერსი** | 1:6, 3:6 |
| **ფედერერი**-დევარმანი | 6:3, 6:3 |
| იუჟნი-**სიმონი** | 3:6, 5:7 |

### ATP. დელრეი ბიჩი

| | |
|---|---|
| **ანდერსონი**-იანგი | 6:7, 7:6, 6:2 |
| **დოდიგი**-კუნიცინი | 6:4, 2:6, 6:3 |
| **ნიშიკორი**-დაბული | 6:2, 7:6 |
| **სელა**-მატოშევიჩი | 3:6, 6:1, 6:2 |
| **ტიპსარევიჩი**-კარლოვიჩი | 7:6, 7:6 |
| ანდრეევი-**სვიტინგი** | 2:6, 3:6 |
| **ფალა**-ჰაიეკი | 6:1, 6:0 |
| **ფიში**-ფაუ | 6:0, 6:0 |

### ATP. აკაპულკო

| | |
|---|---|
| **მონტანიესი**-ხიმენო ტრავერო | 6:2, 6:1 |
| **ბერლოკი**-მუნიოსი | 6:3, 5:7, 6:1 |

### WTA. დოჰა

| | |
|---|---|
| **პენეტა**-ჟენგი | 6:2, 6:2 |
| კუზნეცოვა-**პეერი** | 2:6, 4:6 |
| გროტი-**ხიბულკოვა** | 4:6, 6:4, 6:7 |
| მ. სანჩესი-**დუშევინა** | 6:4, 1:6, 6:7 |
| აზარენკა-**ჰანტუხოვა** | 6:4, 1:6, 2:6 |
| **ზაკოპალოვა**-დულგერუ | 7:6, 6:2 |
| **იანკოვიჩი**-ალ ნაბანი | 6:1, 6:3 |
| იოვანოვსკი-**მირზას** | 2:6, 5:7 |

### WTA. აკაპულკო

| | |
|---|---|
| ოპრანდი-**ვორაკოვა** | 4:6, 6:4, 4:6 |
| ჰალეპი-**პოუს ტიო** | 3:6, 7:6, 3:6 |
| **მედინა გარიგესი**-პლიშკოვა | 6:2, 6:1 |
| მოისბურგერი-**ლარსონი** | 1:6, 6:3, 0:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



ფელიპე მასა

# ბოლო დღეს მასასია

ბარსელონაში დასრულდა ტესტების მორიგი სერია, რომელზეც საუკეთესო დრო აჩვენა "ფერარის" პილოტმა **ფელიპე მასამ**. ბრაზილიელი არა მარტო მეოთხე დღის, არამედ მთელი ტესტების ლიდერი გახდა წუთითა და 22.625 წამით. მასამ 0.8 წამით გაუსწრო „რედ ბულის" პილოტ **მარკ უებერს**.

გარდა ამისა, ფელიპემ მეოთხე დღეს ყველაზე დიდი მანძილი გაიარა - მის ანგარიშზე 121 წრე იყო. სხვათა შორის, მან და უებერმა თავიანთი საუკეთესო წრეები ორწრიანი მოკლე მონაკვეთისას აჩვენეს. ლიდერთა სამეულში მოხვდა „ტორო როსოს" პილოტი **სებასტიან ბუემი**.

მიუხედავად იმისა, რომ „ლოტუს-რენოს" KERS-ის სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, **ნიკ ჰაიდფელდმა** 95 წრის გავლა მოასწრო და მეოთხე ადგილი დაიკავა. შემდეგ მოდიან **ლუის ჰემილტონი** და **პასტორ მალდონადო**, რომელიც ამ სესიის შეწყვეტის მიზეზი გახდა.

**IV დღე**

| | |
|---|---|
| 1. მასა (ფერარი) | 1:22.625 (121 წრე) |
| 2. უებერი (რედ ბული) | +0.817 (69) |
| 3. ბუემი (ტორო როსო) | +0.925 (90) |
| 4. ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) | +1.032 (95) |
| 5. ჰემილტონი (მაკლარენი) | +1.378 (107) |
| 6. მალდონადო (უილიამსი) | +1.432 (121) |
| 7. სუტილი (ფორს ინდია) | +1.552 (64) |
| 8. პერესი (ზაუბერი) | +1.890 (74) |
| 9. დ'ამბროზიო (ვირჯინი) | +3.876 (50) |
| 10. შუმახერი (მერსედესი) | +4.454 (114) |
| 11. ტრული (ლოტუსი) | +7.367 (18) |

# ბერნი ოპოზიციამ დაამარცხა

ოფიციალურად დადასტურდა, რომ ფორმულა 1-ის ახალი ჩემპიონატის პირველი ეტაპი - ბაჰრეინის გრან-პრი ქვეყანაში არეული პოლიტიკური სიტუაციის გამო გაუქმდა. თანაც ეს გადაწყვეტილება არა ფორმულა 1-ის ბოსმა **ბერნი ექლსტოუნმა**, არამედ ბაჰრეინის მთავრობამ მიიღო. გასაგებია, რომ ქვეყანაში, სადაც არ წყდება ანტისამთავრობო გამოსვლები, ავტოსპორტისთვის არ სცხელათ.

სახალხო მღელვარება, რომელმაც აზიისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნები მოიცვა, ბაჰრეინსაც გადაედო. თუმცა აქ განსაკუთრეული სპეციფიკა არსებობს - არეულობა რელიგიურ ნიადაგზე მოხდა. მაგრამ ფორმულა 1-სთვის მსგავსი აღმოსავლური თავისებურებები საინტერესო არ არის. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ქვეყანაში უსაფრთხოება იყოს დაცული. დემონსტრაციები, მასობრივი საპროტესტო აქციები, სისხლიანი შეტაკებები, სროლა ქუჩებში, მსხვერპლი... ამ ყველაფრის მოწმენი გახდნენ გასულ კვირას GP2 Asia-ის სერიის მონაწილეები.

მიუხედავად ამისა, GP2 Asia-ს ეტაპის ორგანიზატორები ბოლო მომენტამდე წელავდნენ რბოლის გაუქმების გადაწყვეტილებას - ხუთშაბათს დილით ერთი დღით გადადეს თავისუფალი პრაქტიკა, ხოლო რბოლა რამდენიმე საათის შემდეგ გააუქმეს. ისიც ფორმალური მიზეზით - საჰირის ავტოდრომზე სამედიცინო პერსონალი არ იყო. ექიმები ბაჰრეინის საავადმყოფოებში არიან გადანაწილებულნი.

ექლსტოუნმა ფორმულას გრან-პრის გარშემო არსებული პრობლემები ორი დღით ადრე დაადასტურა: *„წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდება იქ. მაგრამ საფრთხე აშკარაა"*. ბერნის გასაჭირი გასაგებია - სასტარტო გრან-პრის გაუქმება მას დიდ თანხად დაუჯდება. მაგრამ თავის მოტყუება და ბაჰრეინში გამგზავრება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ადგილობრივ რადიკალებს თავისუფლად შეეძლოთ ფორმულა 1-ის ეტაპის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება. მაყურებლებსა თუ გუნდების პერსონალს შორის მსხვერპლი საშინელი დარტყმა იქნებოდა „დიდი ცირკის" პრესტიჟისთვის. ასე რომ, ექსლტოუნი ბაჰრეინის მთავრობისგან სრული უსაფრთხოების გარანტიას ითხოვდა ან იმის დადასტურებას, რომ მათ არ შეეძლოთ ასეთი გარანტიის მიცემა.

■ ■ ■

ამასობაში, სიტუაცია სულ უფრო იძაბებოდა. თავიდან ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ (სწორედ ამ ქვეყანაში აქვთ ფორმულა 1-ის მონაწილე გუნდების უმრავლესობას ბაზები) დაბეჯითებით ურჩია თავის მოქალაქეებს თავი შეეკავებინათ ბაჰრეინში მგზავრობისგან. შემდეგ გუნდებმა გადაწყვიტეს ბაჰრეინში 3-6 მარტს დანიშნული ტესტების გაუქმება (მოგვიანებით ტესტების დასკვნითი სერია 8-11 მარტს ბარსელონაში დანიშნეს). იმ მომენტისთვის გრან-პრის ჩატარების ალბათობა 10 პროცენტით ფასდებოდა. ორშაბათს კი ეს შანსი ნული პროცენტი გახდა.

*„მიგვაჩნია, რომ დღეს ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მთელი ყურადღება იმ პრობლემების მოგვარებაზე გადაიტანოს, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს უკავშირდება"*, - განაცხადა ბაჰრეინის გრან-პრის შეფმა და მემკვიდრე პრინცმა **სალმან ბინ ჰამად ბინ ისა ალ ჰალიფმა**. 41 წლის პრინცი ახლა ოპოზიციასთან მოლაპარაკებებით არის დაკავებული და რბოლებისთვის არ სცალია - ძალაუფლება აქვს შესანარჩუნებელი. ეს ექლსტოუნსაც კარგად ესმის. მან პრინცს კონფლიქტის სწრაფად მოგვარება და ბაჰრეინში რბოლების დაბრუნება უსურვა.

■ ■ ■

ასე რომ, 2011 წლის ჩემპიონატი ორი კვირის დაგვიანებით - 27 მარტს მელბურნში დაიწყება. საგულისხმოა, რომ მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ავსტრალიური ეტაპი ხსნიდა ფორმულა 1-ის სეზონს, მაგრამ 2006 წელს ჯერ დროებით დაუთმო ეს უფლება ბაჰრეინს (თანამეგობრობის თამაშების გამო), 2010 წლიდან - სამუდამოდ. ამბობდნენ, რომ ბაჰრეინმა კალენდარში პრესტიჟული ადგილისთვის დიდი ფული გადაიხადა.

არ არის გამორიცხული, საჰირის ავტოდრომზე რბოლა წელს მაინც გაიმართოს. ისევ და ისევ კომერციული მოსაზრებით. ეს შეიძლება სეზონის მეორე ნაწილში მოხდეს. არის 20 ნოემბრის ვარიანტი - საემიროებისა და ბრაზილიის ეტაპებს შორის. თუ, რა თქმა უნდა, ქვეყანაში პოლიტიკური პრობლემები მოგვარდება.

მაყურებელი სულაც არ დარჩენილა აღფრთოვანებული დამატებითი ორკვირიანი მოლოდინის გამო, სამაგიეროდ, კმაყოფილნი არიან გუნდები და პილოტები. ახლა მათ არ მოუწევთ სიცოცხლის გარისკვა ან ეტაპის თვითნებური ბოიკოტი, რაც ბერნისგან მკაცრ ფინანსურ სანქციებს გამოიწვევდა.

**2011 წლის კალენდარი**

27 მარტი - ავსტრალიის გრან-პრი
10 აპრილი - მალაიზიის გრან-პრი
17 აპრილი - ჩინეთის გრან-პრი
8 მაისი - თურქეთის გრან-პრი
22 მაისი - ესპანეთის გრან-პრი
29 მაისი - მონაკოს გრან-პრი
12 ივნისი - კანადის გრან-პრი
26 ივნისი - ევროპის გრან-პრი
10 ივლისი - ბრიტანეთის გრან-პრი
24 ივლისი - გერმანიის გრან-პრი
31 ივლისი - უნგრეთის გრან-პრი
28 აგვისტო - ბელგიის გრან-პრი
11 სექტემბერი - იტალიის გრან-პრი
25 სექტემბერი - სინგაპურის გრან-პრი
9 ოქტომბერი - იაპონიის გრან-პრი
16 ოქტომბერი - კორეის გრან-პრი
30 ოქტომბერი - ინდოეთის გრან-პრი
13 ნოემბერი - აბუ დაბის გრან-პრი
27 ნოემბერი - ბრაზილიის გრან-პრი




ბაჰრეინში სტუმრებს აღარ ელიან

ჩოგბურთი

# მარიას მეორე პროფესია



რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფულის გამომუშავება არა მხოლოდ კორტზე, არამედ მის მიღმაც შეუძლია. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ბრენდ Cole Haan-ის მოდური ტანსაცმლის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მოდელები თავად მარიას დიზაინით არის შექმნილი.

ადრე შარაპოვამ უკვე შექმნა ამ მარკისთვის ფეხსაცმელი, ახლა კი ტანსაცმლის საზაფხულო კოლექცია წარმოადგინა. შარაპოვას მიერ შექმნილი ტანსაცმელი ახალგაზრდა და აქტიური გოგონებისთვის არის გათვლილი, რადგან ზოგიერთი სამოსი სპორტულ სტილშია გადაწყვეტილი.

შარაპოვამ Facebook-ში საკუთარ ვებგვერდზე დაწერა, რომ ეს კოლექცია საუკეთესოა, რაც აქამდე Cole Haan-თვის შეუქმნია. ფოტოსესია ნიუ იორკშია გადაღებული და ის ერთგვარად მარიას არასპორტულ ცხოვრებას ასახავს.



სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# თასი თითქმის ივიცასია

სამთო-სათხილამურო სპორტში სეზონის დასრულებამდე 11 სტარტია დარჩენილი, მაგრამ თითქმის გარკვეულია გამარჯვებული კაცებს შორის საერთო ჩათვლაში - **ივიცა კოსტელიჩი** ძალიან დამაჯერებლად ლიდერობს სიას.

გარდა ამისა, ხორვატის მომავალ ტრიუმფს ხელს უწყობს უშუალო კონკურენტების პრობლემები. შვეიცარიელი **დიდიე კუში** და ნორვეგიელი **აქსელ-ლუნდ სვინდალი** მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პაუზის აღებას აპირებენ, ასე რომ, კოსტელიჩმა შეიძლება კიდევ უფრო გაიმყაროს ლიდერობა.

კუშმა მსოფლიოს ჩემპიონატის დროს თითი მოიტეხა, ოპერაცია გაიკეთა და მხოლოდ ნორვეგიის კვიტფიელის ეტაპზე დაბრუნდება. ეს სტარტი 12-13 მარტს არის დანიშნული.

სვინდალს კი სურს მეტი დრო დაუთმოს მუხლის მკურნალობას, რომელიც დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევს. *„მინდა პაუზა ავიღო და დავაკვირდე მკურნალობის პროცესს"*, - განაცხადა ნორვეგიელმა მოთხილამურემ.

საერთო ჩათვლის მეოთხე ნომერ **სილვენ ცურბრიგენს** კოსტელიჩის დაწევის მიზერული შანსები აქვს. შვეიცარიელი ხორვატს 546 ქულით ჩამორჩება. მეხუთე ადგილზე მყოფ **რომედ ბაუმანს** კოსტელიჩამდე 674 ქულა აკლია. შეგახსენებთ, რომ სამთო-სათხილამურო სპორტში გამარჯვებისთვის 100 ქულა იწერება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**